# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 25 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 221 (6078)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## ნინო ბურჯანაძე: ქვეყანაში ახალი ხელისუფლება უნდა მოვიყვანოთ!..

3-4





6

## უნივერსიტეტი თუ ფულის მკეთებელი ორგანიზაცია?

## გიხაროდენ, ბატონო ზურაბ პოლიტიკაში ბრუნდება!

7



## პრემიერ-ყოფილმა ენა ამოიდგა!

9

## ნატო-საქართველოს პერსპექტივა და... გაიტანეთ ბენდუქიძე!..

2

## ფერი ფერს და მადლი ღმერთს,

## დაგეგმილი პროვოკაცია თუ მიზანდასახული ტერაქტი?

2 3

ანუ აქა ამბავი ლეხ კაჩინსკისა და მიხეილ სააკაშვილის კორტეჟის „დაცხრილვისა“



დღის კარიკატურა

SIC!

# პროვოკაცია თუ ტერაქტი?

**უცხოური მედია ახალგორთან მომხდარ ინციდენტს აქტიურად ეხმაურება.**

**ტელეკომპანია SNN-ის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი მომხდარში ცალსახად რუსულ მხარეს ადანაშაულებს და ინციდენტს პროვოკაციად აფასებს. ამავე ანალოგიური ბრალდებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გამოდის.**

ტელეკომპანიამ მაყურებელს რუსულ-ქართული ომის ქრონოლოგიაც შეახსენა. კონფლიქტის დასაწყისად ტელეკომპანიამ 29 აპრილი დაასახელა, როდესაც რუსეთმა აფხაზეთში დამატებითი ძალები შეიყვანა.

რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და საქართველოში სტუმრად მყოფ პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის კორტეჟს ცეცხლი გაუხსნეს. კაჩინსკი და მიხეილ სააკაშვილი სოლიდარობის დღესთან დაკავშირებით სოფელ მეტეხში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების მოსანახულებლად უნდა ჩასულიყვნენ, თუმცა მანამდე მათ ახალგორის მიმართულებით გადაწყვიტეს წასვლა, რომლის დროსაც ცეცხლი გაიხსნა.

* * *

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტებს რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით პროვოკაციაში ადანაშაულებს.**

ის რაც მოხდა, საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების მხრიდან სერიოზულად დაგეგმილი პროვოკაციაა. ევროკავშირი კარგად უნდა დაფიქრდეს, ღირს კი ისეთ ქვეყნებთან მეგობრობა, როგორიც საქართველო და პოლონეთია, რომლებიც მუდმივად ცდილობენ რუსეთის პროვოცირებას და რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციას, — განაცხადა კოკოითიმ.



ოს სეპარატისტთა ლიდერის ინფორმაციით, ე.წ სამხრეთ ოსეთის საზღვარს მიუახლოვდა არა პრეზიდენტების კორტეჟი, არამედ მხოლოდ ერთი ავტომობილი.

თუ ამ ავტომობილში ნამდვილად იმყოფებოდა ორი პრეზიდენტი, მაშინ მათ სერიოზული ნაბიჯი გადადგეს, რომელიც მიმართული იყო მედვედევი-სარკოზის შეთანხმების ჩასაშლელად, — აცხადებს დე ფაქტო პრეზიდენტი.

**პოლონეთის სახელმწიფო მინისტრი მიხალ კამინსკი გუშინ ახალგორთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ცეცხლი რუსული მხარის მიერ გაიხსნა. ამის შესახებ „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, მან პოლონური ტელევიზიის ეთერით განაცხადა.**

როდესაც რუსულ პატრულს მივუახლოვდით, მათი მხრიდან გასროლის ხმა გაისმა, სროლის სულ მცირე სამი სერია იყო, პრეზიდენტი სიმშვიდეს ბოლომდე ინარჩუნებდა. ყველა შემთხვევაში ცეცხლი რუსული მხრიდან გახსნეს, თუმცა დასადგენია ისინი ჰაერში ისროდნენ თუ ჩვენი მიმართულებით, — განაცხადა პოლონეთის სახელმწიფო მინისტრმა.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მომხდართან დაკავშირებული ფაქტები აუცილებლად უნდა გამოიძიონ.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ბორის ატოევი არ უარყოფს, რომ საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების კორტეჟი ოსმა მესაზღვრეებმა ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. ამის შესახებ სააგენტო „რეს“-ი იუწყება.

დაახლოებით 17:00 საათზე ახალგორის რაიონის სოფელ მოსაბრუნთან მდებარე სამხრეთ ოსურ სასაზღვრო პოსტთან საქართველოს მხრიდან კორტეჟი მივიდა, რომელიც 30 ავტომობილისგან შედგებოდა. კორტეჟი პოსტთან შეჩერდა, წინა ავტომობილიდან სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანები გადმოვიდნენ, რომლებმაც განაცხადეს, რომ მანქანაში საქართველოსა და პოლონეთის პრზიდენტები იმყოფებოდნენ და ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე მათი შეშვება მოითხოვეს. მათ უარი მიიღეს და პოსტის ტერიტორიის დატოვება ურჩიეს, — აღნიშნა ატოევმა.

მისივე თქმით, ამის მიუხედავად რამდენიმე ავტომობილმა პირველი ბარიერის გავლა სცადა, რის შემდეგაც კორტეჟი მათი ქმედებების უკანონობის შესახებ ხელმეორედ გააფრთხილეს. თუმცა, ატოევი არ აკონკრეტებს, რა იგულისხმება ხელმეორედ გაფრთხილებაში.

კორტეჟი შეტრიალდა და საქართველოს მიმართულებით წავიდა, — განაცხადა მან.

* * *

**რუსეთის თავდაცვის სამინისტრო კი პრეზიდენტების — მიხეილ სააკაშვილისა და ლეხ კაჩინსკის კორტეჟისთვის ცეცხლის გახსნის ფაქტს უარყოფს. ამის შესახებ სააგენტო „რეგნუმი“ იუწყება.**

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნულ ინფორმაციას „პროვოკაციაზე მეტი“ უწოდა. ფაქტი უკვე უარყო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც.

რუსული საოკუპაციო ჯარების წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტებზე განხორციელებულ თავდასხმას მოსკოვი „ქართული მხარის მორიგ პროვოკაციას“ უწოდებს.

**რუსული მედია ცინიკურად აღნიშნავს, რომ ქართული მედიით გამოცხადებული პრეზიდენტებზე მომხდარი ე.წ. თავდასხმის შემდეგ „ჯანმრთელი და საღ-სალამათი ორივე პრეზიდენტი თბილისში ბრიფინგს მართავდა და ე.წ. პროვოკაციაზე და რუსულ მხარეზე საუბრობდა“.**

რუსეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, ქართული მხარის ბრალდებებს უარყოფენ და აღნიშნავენ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან საქართველოს მხარეს ცეცხლი საერთოდ არ გახსნილა და ყოველივე „სააკაშვილის გამონაგონია“.

საქართველოს სპეცსამსახურების მხრიდან მსგავსი არაერთი უნიჭოდ დაგეგმილი პროვოკაციის მომსწრენი ვიყავით. ამ შემთხვევაშიც ასეა, ქართული მხარე უნიჭოდ იყო მომზადებული ამ პროვოკაციისთვის, ჩვენ ამას უკვე მივეჩვიეთ, თუმცა დროთა განმავლობაში იქ შეიძლება რამე ახალიც მოიფიქრონ, — წერს რუსული მედია.

**ინტერპრესნიუსი**

გვეშველა!

# ორი პარტია საერთო ხედვით გაერთიანდა

**„ახალი მემარჯვენეები“ და „რესპუბლიკური პარტია“ საერთო ხედვის გარშემო ერთიანდებიან. ამის შესახებ „მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა. მისი თქმით, ჯერჯერობით ალიანსზე საუბარი ნაადრევია, თუმცა ორივე პარტია აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ საკუთარი ხედვები კიდევ უფრო დააახლოვოს.**

— ჩვენ ვხვდებით, რომ გვაქვს საერთო პოლიტიკური ხედვები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და ვცდილობთ ეს ხედვები კიდევ უფრო დავაახლოვოთ. ფაქტობრივად, ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ერთობა ხორციელდება მსგავსი ხედვის გარშემო, — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

**ხო-ეიჩ-ენი**

ხედვა

## სოსო ცისკარიშვილი:

# ნატო — საქართველოს პერსპექტივა და... გაიტანეთ ბენდუქიძე!..



***ვალენსიაში** გამართულმა ნატო-ს 54-ე საპარლამენტო ასამბლეამ „ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების მომავლის შესახებ“ სპეციალური რეზოლუცია მიიღო. ასამბლეამ შეშფოთება გამოთქვა რუსეთის მიერ საქართველოში ძალის არაპროპორციულ გამოყენებასთან დაკავშირებით და მოსკოვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვისკენ, მათთან ურთიერთობებისას გაეროსა და ევროსაბჭოს გაცხადებული პრინციპებით ხელმძღვანელობისკენ მოუწოდა.*

*რეზოლუციის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის გამო მუშაობა შეწყვიტა ნატო-რუსეთის სამუშაო ჯგუფმა. ასამბლეამ აღიარა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.*

*აღსანიშნავია, რომ ასამბლეამ დაადასტურა აგვისტოში საომარი მოქმედებების დაწყებამდე ქართულ სოფლებზე გაძლიერებული იერიშების რეალობა და მოუწოდა ნატოს წევრ ქვეყნებს, წვლილი შეიტანონ აგვისტოს მოვლენების გამოძიებაში, დაეხმარონ საქართველოს განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენაში და იმაში, რომ რუსეთმა ბოლომდე შეასრულოს სარკოზი-მედვედევის მიერ 12 აგვისტოსა და 8 სექტემბერს მიღწეული შეთანხმებები.*

*ასამბლეას აშშ-ს ახლად არჩეული პრეზიდენტის ბარაკ ობამას სპეციალური წერილით მიმართა სენატორმა ჯონ ტერნერმა, რომელიც ასამბლეას მომავალი წლიდან უხელმძღვანელებს.*

*ბარაკ ობამამ თავის წერილში ნატოს პრიორიტეტებად, სამ ძირითად გამოწვევად ავღანეთის პრობლემა, საქართველოს მშენებლობა და რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგება დაასახელა.*

*ნატოს 54-ე ასამბლეა იმითაც იყო საინტერესო, რომ რუსეთის პროტესტის მიუხედავად, ასამბლეის ტრიბუნა დაეთმო საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც აგვისტოს მოვლენების მომზადებასა და პროვოცირებაში რუსული მხარე დაადანაშაულა. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მომავალი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსშია.*

*საქართველოსთვის ნატოს 54-ე ასამბლეის შედეგების მნიშვნელობასა და ქართულ მედიაში ეკონომიკურ საკითხებში პუტინის ყოფილი მრჩევლის ანდრეი ილარიონოვის მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებებზე “ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ **სოსო ცისკარიშვილს** ესაუბრა.*

**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით საქართველოსთვის ნატოს 54-ე ასამბლეის შედეგებს?**

— ნატოს ასამბლეისგან საქართველომ ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანი მესიჯები მიიღო. საინტერესო მესიჯებია ყველა მიმართულებით - ევროპისკენ, რუსეთისკენ, დაეჭვებულებისთვის, თავდაჯერებულებისთვის...

ნატო საქართველოს პერსპექტივის მკაფიოდ განსაზღვრისთვის ლიდერის ფუნქციას რეალურად იღებს, რაც, ჩემი აზრით, მაინც არ ნიშნავს ღია გზას საქართველოსთვის ამ ორგანიზაციაში შესასვლელად. მიუხედავად ამისა, ევროკავშირისგან განსხვავებით, ნატო არ საუბრობს რუსეთის მიერ სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ყველა მუხლის შესრულებაზე.

ასამბლეამ მკაფიო დასკვნა გააკეთა და, იმავე ევროკავშირისგან განსხვავებით, არ წავიდა რუსეთთან ურთიერთობების განახლებასა და დათმობაზე.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში სიმწვავე რომ რეალურად არსებობს, ასახულია ნატოს პოზიციაში. სექტემბერ-ოქტომბერში ევროკავშირიც ნატოს თანაბარი მუხტით იყო გამსჭვალული საქართველოში მომხდარის გამო, მაგრამ ნატო უფრო ამერიკულ გავლენათა სფეროში მოიაზრება, ვიდრე - ევროპული გავლენებისა. ამჯერად ნატოს ასამბლეამ გააჟღერა აშშ-ს ახალი პრეზიდენტის ხედვა ალიანსის სამომავლო განვითარების მიმართ. ის, რომ აშშ-ს ახალმა პრეზიდენტმა ნატოს სამ ძირითად გამოწვევაში საქართველოს საკითხი დაასახელა, ჩვენი ქვეყნისთვის სერიოზული მესიჯია.

ჩვენ, როგორც ქვეყანა, უნდა ვიყოთ მზად და, შესაბამისად, ადეკვატურ სიმაღლეზე, რომ გავამართლოთ აშშ-ს ახალი პრეზიდენტისგან ასეთი ავანსი და ისიც არ შევარცხვინოთ რაიმე ტიპის დაუფიქრებელი ქმედებებით. ახლა მთავარია, მასაც არ ავალებინოთ ხელი საქართველოსთან კეთილი დამოკიდებულების სურვილზე.

**— თქვენი აზრით, ევროკავშირი რუსეთისადმი უფრო ლოიალური რატომ აღმოჩნდა, ხოლო ნატო გაცილებით მკაცრი და მომთხოვნი?**

— ნატო უფრო კონსოლიდირებული ორგანიზაციაა, ვიდრე - ევროკავშირი. ნატოს მისწრაფებები და საქმიანობის სფერო დაკავშირებულია უსაფრთხოების საკითხებთან და უფრო მკაფიო სისტემა გახლავთ.



ევროკავშირის წევრ 27 ქვეყანას ევროკავშირის სისტემაში დამოუკიდებლობის ხარისხი მეტად აქვთ შენარჩუნებული, ვიდრე ნატოში. ეს განაპირობებს საკუთარი ინტერესების დაცვისა და საკუთარი ხედვის გამოხატვის დივერსიფიცირების ფართო საშუალებას.

იხ. 4 გვ.

◎ ასპარეზზე ახალი პარტია გამოდის




## ნინო ბურჯანაძე:

# ქვეყანაში ახალი ხელისუფლება უნდა მოვიყვანოთ!..

**„ვარდების რევოლუციის“ მეხუთე წლისთავზე, გიორგობის დღეს, ამ რევოლუციის ერთ-ერთმა შემოქმედმა ნინო ბურჯანაძემ ახალი პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გამართა. პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ მთავარ საბჭოში ცნობილი პიროვნებები გაერთიანდნენ, რომლებიც უწინარესად პროფესიონალიზმით შეირჩნენ.**

ამ თვისებაზე ვერის პარკის საკალათბურთო დარბაზში თავად ქალბატონმა ნინომ გაამახვილა ყურადღება. თუმცა, მანამდე საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან ჩამოსულმა 1800-ზე მეტმა დელეგატმა პარტიის თავმჯდომარის 45-წუთიანი საკმაოდ მწვავე მოხსენება მოისმინა.

მან გაიხსენა 2003 წლის 23 ნოემბერი, როცა ქუჩაში გამოსულმა საზოგადოებამ ხელისუფლება შეცვალა და ძალაუფლება გადასცა დღევანდელ პოლიტიკურ ძალას, რადგან მისი სჯეროდა. მაგრამ დაპირებული ერთობის, ტერიტორიების დაბრუნებისა და ღირსეული დემოკრატიული გამთლიანების მაგივრად ქვეყნისთვის უმძიმესი ვითარება მივიღეთ. ქვეყანა მძიმე რეალობისა და საფრთხის წინაშე დგას. წაგებულ ომს, ჩვენი მიწა-წყლის ნაწილის ოკუპირებას, ასობით დაღუპულ ადამიანს, ათასობით დევნილს, ქვეყნის შელახულ ავტორიტეტს ემატება არა მხოლოდ ხელისუფლებისადმი უნდობლობა ქვეყნის შიგნით და გარეთ, არამედ, ისიც, რომ ხელისუფლება ტყუილისა და უპასუხისმგებლობის გზას ირჩევს.

იხ. 4 გვ.

ჩვენ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ დამფუძნებლები, შევიკრიბეთ, რათა საქართველოს მოსახლეობას, საერთაშორისო თანამეგობრობას და მომავალ თაობას განვუცხადოთ ჩვენი ურყევი ნება, დავაფუძნოთ პოლიტიკური ერთობა. ამ ერთობას განსაზღვრავს პრინციპები, რომლებსაც ასახავს

## «დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს» ქარტია:

ჩვენ ვერთიანდებით, ვინაიდან ჩვენთვის უზენაესია:

**ჩვენი სამშობლოს – საქართველოს გაერთიანება, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა, სახელმწიფოებრიობის და ეროვნული ინტერესების დაცვა.**

– პარტიულ და პოლიტიკურ ჭიდილში, ჩვენთვის უმთავრესი ღირებულება და მიზანი მხოლოდ ეროვნული ინტერესების დაცვა იქნება.

**ქართული კულტურა და სულიერი ღირებულებები, საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალი და ჩვენი რწმენა – ის საგანძურია, რომელიც წინა თაობებმა შექმნეს და შეუნარჩუნეს არა მარტო ქართველებს, არამედ მთელ კაცობრიობას.**

– ჩვენი ძალისხმევა მიმართული იქნება ამ საგანძურის დაცვისა და გაძლიერებისაკენ. მისი ღირსეული ჩართვისთვის მსოფლიო პროცესებში. ჩვენი პოლიტიკური საქმიანობის ქვაკუთხედად სწორედ ამ ღირებულებების დაცვას ვაკანონებთ.

**ადამიანი და მისი სიცოცხლის, თავისუფლებისა და ღირსების დაცვა, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა.**

– პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ამ უმთავრესი ღირებულებებით, რადგანაც ურყევად გვწამს, რომ ნებისმიერი ადამიანი დაბადებულია, რომ იყოს თავისუფალი და იმსახურებს ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას. ჩვენი პოლიტიკური ძალისთვის უმთავრესია, შეუქმნას თითოეულ ადამიანს შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისათვის საჭირო გარემო.

**ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია.**

– საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ჩვენ ვიხელმძღვანელებთ საერთაშორისო სამართლის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით.

**ამ უზენაესი პრინციპების განხორციელებისა და საქართველოს ღირსეული განვითარებისთვის ჩვენ აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო მმართველობის ფორმად რეალურად იქცეს დემოკრატია. ჩვენ მზად ვართ მის გასაძლიერებლად და დასაცავად.**

– ჩვენი პოლიტიკური ძალის მიზანია თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, რაც გულისხმობს ხალხის არჩევანის და ნების უზენაესობას, ხალხის ჩართვას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას ხალხის წინაშე. გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობას, ძალაუფლების რეალურ დანაწილებას ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის; სამართლიან სასამართლოს, თავისუფალ მედიას, თავისუფალ ეკონომიკას, საკუთრების ხელშეუხებლობას, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების გარანტირებულ დაცვას. განსხვავებულ აზრთა ჭიდილში იბადება გონივრული გადაწყვეტილება.

**ამ სულისკვეთებით გაერთიანებულნი, ჩვენ ვაცხადებთ, რომ მზად ვართ, ჩვენი ცოდნა, გამოცდილება და ძალისხმევა სრულად მივმართოთ ამ მიზნების მისაღწევად და ამ პრინციპების დასაცავად.**

**შემოგვიერთდით!**

**ერთად ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!**

თბილისი, 2008 წლის 23 ნოემბერი

◎ ბლეფი?!

# ფერი ფერს და მადლი ღმერთს,

## ანუ აქა ამბავი ლეხ კაჩინსკისა და მიხეილ სააკაშვილის კორტეჟის „დაცხრილვისა“

**როგორც იქნა, ვარდების რევოლუციის მეხუთე წლისთავზე, 23 ნოემბერი პირველ რიგში, როგორც გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულად გაგვითენდა და არა ვითომ მორწმუნე „ნაცების“ მიერ საიუბილეო ზეიმად. ხელისუფლებამ ამჯერად ვერ გაბედა რევოლუციის 5 წლისთავის პომპეზურად აღნიშვნა „მი-შა! მი-შა!“ ისტერიული სკანდირების ფონზე.**

თუმცა ჩვენი პრეზიდენტი რისი „მაგარი მიშა“ იქნებოდა, რომ, რბილად თუ ვიტყვით, უცნაური სიურპრიზები არ შემოეთავაზებინა. სინამდვილეში კი, თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, უგუნურებასთან შეზავებული მორიგი თავხედობა ვიხილეთ ჩვენი პრეზიდენტისა.

მაშ, რა იყო, თუ არა თავხედობა, როცა რელიგიურ დღესასწაულზე, სამების საკათედრო ტაძრის ამბიონზე გაბედა შედგომა და იქიდან ერისთვის ნოტაციების კითხვა. და, სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის პრეზიდენტის მკრეხელობისა. საინტერესოა, რატომ აძლევს ამის უფლებას ამ უწმინდურს ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია II?

ესეც არ გვაკმარა ჰალსტუხჭამიამ, საღამოს თავის სტუმართან ერთად, რომელსაც მხოლოდ სიგრძით აღემატება, თორემ ლეხ კაჩინსკი ისეთივე პოპულარული და საყვარელია პოლონეთში, როგორც მიშა საქართველოში, აშკარად პროვოკაციულად გადაადგილდნენ ახალგორის მიმართულებით.

პროვოკაციულობაში მხოლოდ იმას არ ვგულისხმობ, რომ სროლა ატყდა. ისე, ისიც საკითხავია, ვინ ვის ესროდა. ყოველ შემთხვევაში, „რუსთავი-2“-ის პიარ-ანონსში რომ გვპირდებოდნენ, პრეზიდენტთა კორტეჟის დაცხრილვის კადრებს გაჩვენებთო, რაც რეალურად გვანახეს, მე იქიდან ვერაფერი გავიგე.

თავად ის ფაქტი, რომ შებინდებისას გაუსკდა ახალგორის სიყვარულის ბუშტი ჩვენს პრეზიდენტს და როცა იქ მივიდნენ, უკვე ღამე იყო, ბევრ კითხვას ბადებს!

სხვათა შორის, ავლაბრის რეზიდენციაში ორი „გმირი“ პრეზიდენტის ბრიფინგზე ერთმა პოლონელმა ჟურნალისტმა პირდაპირ „აჯახა“ თავის ლეხსაც და ჩვენ მიხასაც — ხომ არ იყო ეგ თქვენი თავგადასავალი წინასწარ დაგეგმილ-დადგმული სპექტაკლიო.

ეს პირდაპირ ეთერში ვნახეთ და მოვისმინეთ, რაც უკვე მეორე დღის, ანუ 24-ნოემბრის 12-საათიან „კურიერში“ უკვალოდ გაქრა. ამ შეკითხვის ადგილი ისევ უნიჭო პროპაგანდამ და ევროპის მიმართ მორიგმა მოწოდება-ჭკუის სწავლებამ დაიკავა — ხომ ხედავთ ვისთან გვაქვს საქმე, რუსეთს მუშტი ახლა მაინც დაურტყით მაგიდაზეო.

ეგეც არ იყოს, რომელი ნორმალური ადამიანი დაიჯერებს, რომ ჩვენი პრეზიდენტი ასე მშვიდად გამოიყურებოდა ტყვიების წვიმაში, როცა მთელმა მსოფლიომ იხილა ის სამარცხვინო კადრები, როცა თვითმფრინავის გადაფრენის უბრალო ხმით შეშინებულმა მიშამ ისეთი სისწრაფით „მოხია“, შემდეგ ოლიმპიადაზე ეგ უნდა გავაგზავნოთ. ოღონდ ჯოტია ცაავასი და დურუ ხუნჭუასი არ იყოს, მიშას „ტრენეროზა“ ვინმე რუს პილოტ ვანიას უნდა ვთხოვოთ – ერთი გადაუფრინოს სტადიონს და მიშას ოლიმპიური ოქრო განაღდებული ექნება 100 მეტრზე რბენაში.

ერთი სიტყვით, ახალგორის „გმირობა“ განმუხურის კინოს მეორე სერიაა და მეტი არაფერი. საკითხავი ის არის, მესამე სერიას როდის ვიხილავთ და, საერთოდ, ხომ არ გადაიქცევა ეს კინო დაუსრულებელ სერიალებად? თუ ასე მოხდა, აი მაშინ გვაქვს თავში საცემად საქმე.

მე ასეთი რამეების „ჭამას “ არ ვაპირებ. ვისაც სხვა აზრი გაქვთ, მიბრძანდით, „მიირთვით“, ღმერთმა შეგარგოთ!..

**დავით მხეიძე**



◎ ინფორმაცია

## როდის დაიძლევა ეკონომიკური ვარდნა?

**„აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის“ ფორუმის მონაწილე ქვეყნების ლიდერებმა 23 ნოემბერს სამიტის შემაჯამებელი დეკლარაცია მიიღეს, რომელიც ლიმაში გაიმართა, — იუწყება „ლენტა.რუ“.**

**შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა სწრაფი და გადამწყვეტი ზომების მიღება მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან ბრძოლის საკითხებში.**

**ორგანიზაციის პროგნოზით, მიმდინარე ეკონომიკური ვარდნა დაძლეული იქნება 2010 წლის შუა პერიოდისთვის.**

**ასევე დეკლარაციაში დასახელებულია სხვა პრიორიტეტული მიმართულებები „აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის“ ფორუმის, რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება, სახელმწიფოთა როლების სტრუქტურული ცვლილება ინვესტიციების და ვაჭრობის საკითხებში, მრეწველობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა კვების პროდუქტებზე მაღალი ფასების ზრდისგან, ბრძოლა კორუფციასთან, ტერორიზმთან, ასევე ერთობლივი თანადგომა ბუნებრივ კატაკლიზმებთან და გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით.**

ინტერპრესნიუსი

ასპარეზზე ახალი პარტია გამოდის

## ნინო ბურჯანაძე:

# ქვეყანაში ახალი ხელისუფლება უნდა მოვიყვანოთ!..




(მესამე გვერდიდან)

„შეურაცხმყოფელია, როცა შენი ქვეყნის ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ზრუნავს და თავს კონტროლირებადი მედიის წარმოსახულ ქვეყანას აფარებს.

ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნისთვის წინასწარ წაგებული ომის თავიდან აცილება და არ ეყო გამბედაობა, ხალხისთვის ბოდიში მაინც მოეხადა კოდორის ხეობისა და ახალგორის, პერევისა და ცხინვალის, დაქცეული და შეურაცხყოფილი ოჯახების, დაღუპული ადამიანების, დანგრეული სახლების, უცნობი ჯარისკაცების საფლავების გამო. ამის ნაცვლად ჩვენ ვიღებთ ლამაზად დახატულ და ვირტუალურ საქართველოს, რომელშიც ცხოვრებაც გვინდა, მაგრამ რომელიც სამწუხაროდ, ჯერ არ აგვიშენებია" — ნინო ბურჯანაძის აზრით, ნებისმიერ ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ქვეყნის დამღუპველი მთავრობა, რომელმაც იგი კატასტროფამდე მიიყვანა ან თავად წავიდოდა ან მას ხალხი შეცვლიდა.

„დარწმუნებული ვარ, ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ: მივაღწიოთ არჩევნებს და დემოკრატიული კონსტიტუციური გზით ქვეყანაში ახალი ხელისუფლება მოვიყვანოთ", — განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ და იქვე „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" მიზნებიც ჩამოაყალიბა — დიალოგის, გონივრული პოლიტიკის გზით, დიპლომატიური რესურსებით, ადამიანური რესურსების მაქსიმალური გამოყენებით ქვეყნისა და საზოგადოების ერთიანობის აღდგენა... „ჩვენ გვაქვს ძალა და შევძლებთ, რომ გავაერთიანოთ ეს ქვეყანა და ჩვენი საზოგადოება. დღეს ჩვენს ქვეყანას იმპულსურობის ნაცვლად სჭირდება ზომიერება, ზედაპირულობის ნაცვლად — პროფესიონალიზმი, არაადეკვატურობის ნაცვლად — პრაგმატულობა. ჩვენ ყველა ერთად ვქმნით იმ ძალას, რომელიც დაუბრუნებს ქვეყანას სიმშვიდეს, წარმატებას, პერსპექტივას და ნდობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე — გარეთ".

ნინო ბურჯანაძეს დემოკრატიის უზურპაციის პირველ ნიშნად მედიის შეზღუდვა მიაჩნია, ის რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ინფორმირებული არ არის, რა ვითარებაშია რეალურად საქართველო. „დღეს თითოეული თქვენგანი, სრულიად საქართველო ტელევიზიით ხედავთ სხვა საქართველოს, იმ საქართველოს, რომელშიც ჩვენ არ ვცხოვრობთ. დღეს მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობს, რომ ვიცხოვროთ წარმოსახვით საქართველოში; სადაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი არმია გვყავდა; სადაც ვბრუნდებოდით სოხუმში; სადაც ყველაზე მეტი წარმატება მიიღწევა; სადაც მსოფლიო-ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის საფუძველზე, ეკონომიკური ზრდა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც სწრაფია; სადაც თურმე სიღარიბე ორჯერ შემცირდა.

ეს არ არის ქვეყანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ... მე ვერ ვხედავ დღეს საქართველოში იმის მიზეზს, იმის საფუძველს, რომ ქვეყნის ხელისუფლება, ქვეყნის ხელისუფალი გაღიმებული და ბედნიერი სახით ელაპარაკებოდეს ხალხს. მე ბედნიერი ვიქნები დღეს, რომ ეს განწყობა მქონდეს — მეც და ნებისმიერ თქვენგანს. სამწუხაროდ, ამის საფუძველი ჩვენ დღეს არა გვაქვს".

ნინო ბურჯანაძე ფიქრობს, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ ჩვენ ძალიან ბევრი მიმართულებით უკან გადავდგით ნაბიჯები. დღეს ძალიან შორსა ვართ ნატოში გაწევრების პერსპექტივისგან, კონფლიქტების მოგვარებისგან, ვიდრე ჩვენ ვიყავით აგვისტოს ომის წინ.

„ხელისუფლებამ არაადეკვატური ნაბიჯებით მიაღწია იმას, რომ რუსეთს მისცა იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე რუსეთი წარმოიდგენდა. დღეს ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე ორი რუსული ბაზა გვაქვს. ეს მოხდა რამდენიმე წუთში, მაშინ, როდესაც რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანას 15 წელი მოანდომა არაერთმა ხელისუფლებამ, არაერთმა ჩვენმა მეგობარმა და პარტნიორმა, თითოეულმა ჩვენგანმა, არ შეიძლება ამაზე ხელისუფლებას პასუხი არ მოეთხოვოს, არ შეიძლება ამისთვის არავინ დაისაჯოს"...

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერის განცხადებით, რევანში და გახლეჩა მათი ამოცანა არასდროს იქნება, ისინი ითანამშრომლებენ ყველა იმ ადამიანთან, ვინც ქვეყანას კეთილსინდისიერად ემსახურება. გაერთიანება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, — ეს იქნება ახალი პარტიის მიზანი.

დამფუძნებელ ყრილობაზე ნინო ბურჯანაძის გვერდით იდგნენ მისი ოჯახის წევრები: მეუღლე — ანზორ ბიწაძე და შვილი — რევაზი. ყრილობას ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი, ექსპერტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

პარტიის გენერალურ მდივნად არჩეულია იურისტი, დოქტორი დავით პატარაია, მთავარი საბჭო 15 ადამიანს აერთიანებს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ფინანსისტ თეიმურაზ მურღულიას, ეკონომისტ ვახტანგ ყოლბაიას, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს თამარ ცინცაძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს შალვა ოზგაიძეს, ექიმს, სამართალმცოდნეს, დოქტორს ზაზა სოფრომაძეს, ფიზიკოს დავით ჭეიშვილს, ბიზნესის ადმინისტრატორს დავით ჭეჟიას და სხვებს.

**ერთგვარი ჰიმნივით გაისმა სცენაზე: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!"**

**თუმცა კითხვის ნიშანი მაინც რჩებოდა — შესწევს კი ძალა ამ ახალ პარტიას მომავლის იმედის დაბრუნებისა?**

თამარ შაიშმელაშვილი

ხედვა

## სოსო ცისკარიშვილი:

# ნატო-საქართველოს პერსპექტივა და... გაიტანეთ ბენდუქიძე!..

(მეორე გვერდიდან)

ევროკავშირის წევრი ქვეყნები ალბათ საკუთარი ტაქსმეიერების (გადასახადის გადამხდელებისძ ინტერესებზე არიან დამოკიდებული. როდესაც იმ კვლევების შედეგად, რაც ბოლო თვენახევრის განმავლობაში მიმდინარეობს, იცვლება დამოკიდებულება აგვისტოს მოვლენებში საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებისადმი, ცხადია, ევროპის მოსახლეობა უფრო კრიტიკული ხდება მთლიანად საქართველოს მიმართ და ეს გარკვეულ ეჭვებს ბადებს საქართველოსთვის იმ დოზის დახმარების აუცილებლობაში, რისთვისაც მზად გახლდათ ევროპა, თუნდაც, აგვისტო-სექტემბერში.

**— ასამბლეის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ აგვისტოს მოვლენებამდე ქართულ სოფლებზე გაძლიერებული იერიშები იყო მიტანილი, რაც, გარკვეულწილად, ამსუბუქებს საქართველოს ხელისუფლების შემდგომ მოქმედებას...**

— ქართული მხარე ორიენტირებული უნდა იყოს იმ შეცდომებზე, რომლებიც დაუშვა. სხვის მზაკვრობასა და ვერაგობას საკუთარ შეცდომად ვერ ვაღიარებთ. ამ ობიექტურობისკენ მოუწოდებს ნატო ყველას, მათ შორის — საქართველოს. ის, რომ სოხუმი და ცხინვალი 1992 წლიდან არის ოკუპირებული, ამაზე პასუხისმგებლობას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ვერ აიღებს.

რუსეთი თავისი პროპაგანდით კი ცდილობს, თუ სადმე გაუვიდა, განავითაროს მომხდარში საქართველოს ხელისუფლების ბრალეულობის თემა, მაგრამ ჩვენ იმ რეალობაში უნდა გავარკვიოთ ის ევროპელი ლიდერები, რომლებიც სიამოვნებით იღებენ აგვისტოს მოვლენების რუსულ ვერსიებს. მაღელვებს აგვისტოს მოვლენებზე საერთაშორისო კომისიის მუშაობის ერთწლიანი ვადისთვის 250 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა. მგონი, ამის მეათედ ფასად რუსეთისა და საქართველოს მხრიდან ყველა თვითონ აღიარებდა საკუთარ ცოდვას კონფლიქტის გაჩაღებისთვის.

**— რამდენად იზიარებთ ეკონომიკურ საკითხებში პუტინის ყოფილი მრჩევლის ანდრეი ილარიონოვის მიერ ქართულ მედიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ევროკავშირი აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოში არსებულ სტატუს-კვოს შეეგუა და ევროკავშირის მიერ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა „მეორე მიუნხენია"...**

— ჩემთვის უდავოა, რომ ბატონი ილარიონოვი ბევრად უკეთ ერკვევა რუსეთის მზაკვრობის პოტენციალში, ვიდრე — ნებისმიერი ჩვენგანი, „მიუნხენამდე" შორია და ღმერთმა არ ქნას, მიგვიყვანოს ევროპასთან ასეთ დამოკიდებულებამდე.

ასეთი აზრი შეიძლება გაჩნდეს ისეთ წრეში, რომელსაც მიაჩნდა, რომ ცაში გაისვრის და მერე მათ მაგივრად ევროპელები მოიგებენ ომს. რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ ევროპა აგრძელებს თანამშრომლობას რუსეთთან, შეიძლება ვინმესთვის საწყენი იყოს, მაგრამ ეს არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც საქართველოს ღალატი. ეს შეიძლება იმ წრისთვის იყოს სასიამოვნო, რომელიც ბევრად უფრო ხალისით ლაპარაკობს, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია რუსული ეკონომიკა და ხელს არ ანძრევს, რათა საქართველოს ეკონომიკა გაჯანსაღდეს.

**— ილარიონოვის მტკიცებით, ნინო ბურჯანაძის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, რუსეთი მიღწეულს არ დასჯერდება, საქართველოს ხელისუფლებაში იგორ გიორგაძეს მოიყვანს და საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცევა. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანი შეიძლება იყოს ილარიონოვის ამგვარი „წინასწარმეტყველება"?**

— როგორც ჩანს, ბატონი ილარიონოვი არც თუ ისე რთულად ექცევა გავლენის ქვეშ. ასეთი აზრები ჩვენს ხელისუფლებასთან დაახლოებული პირებისგან მომისმენია. ისევე როგორც ევროპის მიმართ უკმაყოფილება პრიორიტეტული თემაა ხელისუფლების აპოლოგეტებისთვის, ასევე ბურჯანაძის მიმართ აპოკალიფსური მომავლის ხედვა ილარიონოვისა და ჩვენი ხელისუფლების მხარდამჭერების რაღაც თანხვედრისკენ მიმანიშნებს და ეს ცოტა მაკვირვებს.

შესაძლებელია, ყველაფერს თავისი ახსნა ჰქონდეს, მაგრამ არა მგონია, ბურჯანაძე იყოს რუსეთის შვება. არსებობს მოსაზრება, რომ ყველა მინუს ერთი რუსეთისთვის მისაღებია. თუმცა, ამ ყველაში, პირველ-მეორე ნომრადაც არ მიმაჩნია რომელიმე ოპოზიციონერი. ჩემთვის ხელმისაწვდომი წყაროებიდან რუსეთისთვის მისაღები გახლავან ცოტნე გამსახურდია და ლევან პირველი.

* * *

**სოსო ცისკარიშვილი: გთხოვთ, ამიერიდან ყველა ჩემი ინტერვიუს შემდეგ იყოს ერთი და იგივე ფრაზა — გაიტანეთ ბენდუქიძე!**

კობა ბენდელიანი

ინფორმაცია

### პოლონელები ექვსი მილიონით გვეხმარებიან

**პოლონეთი საქართველოს დახმარების სახით 6 მილიონ ევროს გამოუყოფს.**

**პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარებისა და თანამშრომლობის დეპარტამენტის განცხადებით, აღნიშნული თანხა საქართველოში რუსული ოკუპაციის შედეგად დაზიანებული ტერიტორიების აღდგენას მოხმარდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

### ერევანში მსოფლიო ეკონომიკის სტაბილიზაციას იხილავენ

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) პროგნოზით, მსოფლიო ეკონომიკის სტაბილიზაცია 2009 წლის ბოლოსთვის დაიწყება.**

**ამის შესახებ სსფ-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**— ჩვენი შეფასებით, ფინანსური კრიზისის პიკი, რომელიც 2007 წლის ოქტომბერში დაიწყო, უკვე გავლილია. კრიზისი მეთხუთმეტე თვეა რძელდება და ეკონომიკის სტაბილიზაცია 2009 წლის ბოლოსთვის დაიწყება, — აღნიშნა სსფ-ს წარმომადგენელმა.**

ინტერპრესნიუსი

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან






თავადმა პოტიომკინმა დაუყოვნებლივ აფრინა სპარსეთს საგანგებო აგენტი — მაგრამ არ ეწერა აღსრულება საარაკო პერსპექტივას — სპარსეთის პროვინციების მუქთად დაპატრონებას. უფრო ადრე, სანამ საქმე საბოლოო მოლაპარაკებამდე მივიდოდა, ალი-მურად-ხანი გარდაიცვალა (1785 წლის დამლევსძ.

მაშინ ზენდების უსაშიშრესმა მოწინააღმდეგემ ალა-მაჰმად-ხანმა თეირანი დაიკავა. მაგრამ ზენდები კიდევ დიდხანს არ ჰყრიდნენ ფარ-ხმალს. გარდაცვლილი ალი-მურად-ხანის ძმა, ჯაფარი ისპაანში დამკვიდრდა და სპარსეთში პირველობას ეცილებოდა ყაჯართა დინასტიის მომავალ დამაარსებელს.

## 2.

დიდხანს მოუხდა მუშაობა ალა-მაჰმად-ხანს სპარსეთის გასაერთიანებლად. არა იოლად, მრავალი მარცხისა და უბედობის ფასად, მუხანათობისა და მხედრული იღბლის შემწეობით ერგო, ბოლოს და ბოლოს, გამარჯვება ზენდ გამგებლებზე. 1789 წელს მოკვდა ჯაფარ-ხანი, მაგრამ შემდეგ, მისი ვაჟი, გულადი ლუტფ-ალი-ხანი, კიდევ დიდხანს ამწარებდა ხელმწიფებისმოყვარე ყაჯარს. მხოლოდ 1792 წელს გაბატონდა ალა-მაჰმად-ხანი შირაზში, ბოლო 1795 წლისათვის, ლუტფ-ალი-ხანზე საბოლოო გამარჯვების შემდეგ, თითქმის მთელი სპარსეთი ემორჩილებოლა, ბოლოს და ბოლოს, ერთ მბრძანებელს.

როგორი იყო, მაინც, ალა-მაჰმად-ხანის დამოკიდებულება საქართველოსთან და რუსეთთან?

ათი წლით ადრე იქამდე, როცა ნახევარი სპარსეთიც კი არ ცნობდა მის ძალაუფლებას, როცა მას სჭირდებოდა დასაყრდენი მეორე, მასსავით ძლიერ პრეტენდენტთან, — ჯაფარ-ხანთან ბრძოლაში, ალა-მაჰმადი ერეკლეს მეგობრობას ეფიცებოდა და ცდილობდა, მისი მეშვეობით მოეპოვებინა რუსეთის დახმარება(1786 წლის 23 დეკემბერს ერეკლეს რწმუნებულმა მოციქულმა იმპერატორის კარზე თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობა, რომ თავადმა ციციშვილმა, რომელიც თავის საქმეზე იყო ჩასული სპარსეთში, მეფე ერეკლეს გადასცა მოკითხვა ალა-მაჰმად-ხანისაგან (რომელმაც იქამდე ისპაანი აიღოძ, მასთან „დიდის დოსტობის და მეგობრობის“ მონდომება, დაპირება, რომ დაუთმობდა ყველა აზერბაიჯანულ პროვინციას საქართველოს მეზობლადაც, და თხოვნა - მოუპოვონ რუსეთის მხარდაჭერა. ცაგარელი, ტ.II. ქართ. ტექსტები, №78, მაგრამ ალა-მაჰმად-ხანს უშუალოდ კავკასიის „ლინიასთანაც“ ჰქონდა კავშირიძ.

თავის მხრივ, თავადმა პოტიომკინმა, რომელმაც იცოდა, როგორ ძლიერდებოდა ალა-მაჰმად-ხანი, და იმედოვნებდა, მიეღო მისგან ის, რასაც გარემოებათა გამო, ალი-მურად-ხანი ვერ მისცემდა, ალა-მაჰმადის ლაქუცს უპასუხა იმით, რომ გაუგზავნა საგანგებო აგენტი წიგნით, რომელიც ყოველივე სიკეთეს უსურვებდა და გამოთქვამდა შემდგომი დაახლოვების იმედს.

## III.

მაგრამ თუ ალა-მაჰმად-ხანის ინტერესებს შეესაბამებოდა ერეკლესა და რუსეთისათვის კუდის ქიცინი, სანამ იგი მხოლოდ ერთი მეტოქეთაგანი იყო ბრძოლაში, რომლის ბედიც შეიძლებოდა ათასგვარ შემთხვევითობაზე ყოფილიყო დამოკიდებული; და სანამ რუსეთის მეზობლად, და არცთუ მისგან წაუქეზებლად, მეამბოხე ძმა კასპიის სამხრეთ სანაპიროს ძალაუფლებას ეცილებოდა, — ახლა სულ სხვაგვარი ნირით უნდა ემოქმედა სპარსეთის მბრძანებელს, როგორადაც გადაიქცა ალა-მაჰმად-ხანი. აღორძინდა ირანი, აღორძინდა მისი პრეტენზიებიც, ძველი ტრადიციებიდან და უფრო სახელოვანი წარსულის ხსოვნიდან რომ მომდინარეობდა (მურთაზ-ყული-ხანს არაერთგზის დაუპყრია გილიანი და რეშთი. ამ უკანასკნელთან რუს სოვდაგრებს ძველთაგან ჰქონდათ ვაჭრობა, ხოლო გილიანის პროვინცია მუდამ იზიდავდა რუსეთის განსაკუთრებულ ყურადღებას — სწორედ ამით აიხსნება მხარდაჭერა მურთაზ-ყული-ხანისადმი, რომელსაც სურდა, რუსეთის მეშვეობით დამკვიდრებულიყო გილიანში. ბუტკოვი, ტ.II და IIIძ.

აი, როდის წამოიწევს წინ საქართველოს საკითხი; დადგა დრო, როცა სპარსეთმა უნდა შეახსენოს ყველას, როგორ ესმის თავისი დამოკიდებულება გურჯისტანისადმი; დადგა დრო, როცა რუსეთმა უნდა უჩვენოს ყველას, როგორ იცავს იგი იმათ, ვისაც ქვეშევრდომობის ფიცს ადებინებს.

1783 წლის ტრაქტატის დედაარსი საქართველოსათვის ის იყო, რომ ეპოვა უვნებელყოფა სპარსეთის შესაძლო შემოსევის წინააღმდეგ — შემოსევისა, გარდაუვალი რომ გახდებოდა მაშინვე, როგორც კი გამოჩნდებოდა ახალი მბრძანებელი, ხელმწიფე, რომელსაც შეუძლია ემსახუროს ირანის გავლენის და ძლიერების სფეროს აღდგენას (ეს სწორად ესმის რობერტ ვასტონს. ერეკლე მეფე, ინგლისელი ავტორის თქმით, ხვდებოდა, რომ სპარსეთი არ აპატიებდა წარმატებებს, „როცა დადგება დღე, და სპარსეთს კვლავ ერთი მბრძანებელი ეყოლება; სწორედ ამიტომ დაიჭირა თადარიგი და დაამყარა მჭიდრო თავდაცვითი და შემტევი კავშირი რუსეთის იმპერატრიცასთან“, R.Q. Watson. A history of Persia etc. 1866, p.86ძ.

საქართველო, რომელიც დიდი ხანია, დამოუკიდებელი და თავისუფალია სპარსეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებებისაგან, საქართველო, რომელმაც საქვეყნოდ თქვა უარი მასთან ყოველგვარ ურთიერთობაზე მომავალში, — სპარსელთა თვალში კვლავ მათი კუთვნილებაა, რომელიც მათი შაჰის გაუთავებელი, არცთუ ყოველთვის იღბლიანი ლაშქრობებით არის მოპოვებული. ირანზე საქართველოს ვასალური დამოკიდებულების თეორიას სპარსელებს ჩააგონებდა მათი საპოლიტიკო ინტერესები, შიში საქართველოდან რუსეთის შემოტევის წინაშე; ამ თეორიამ მოინელა ფაქტები, ოდესღაც მას რომ შეესაბამებოდნენ; ახლა ცდილობდნენ, გაეცოცხლებინათ ეს სიძველე, — უკმოუღებლად რომ მოჭამა თავისი დრო, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს.

საქართველო რუსეთის ღია და ფორმალური მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ოდენ ჩრდილი რუსული ორბის ფრთებისა, umbra alarum, ვერ დაიჭერდა თავგასულ ტურებსა და აფთრებს. საჭირო იყო ზარბაზნები და ბატალიონები. სწორედ ისინი არ კი გამოგზავნეს.

როგორც ჩვენ ვიცით, 1787 წელს რუსული რაზმი საქართველოდან გაიწვიეს. ამ წაყვანის — და ტრაქტატით გამოსაგზავნად დათქმული სამხედრო ტექნიკის შემდგომი არგამოგზავნის — დასახელებულ მიზეზებს დავუმატებთ კიდევ ერთს: სპარსეთის პროვინციების ერთდროული, საქართველოს და კასპის ზღვის მხრიდან, დაკავების გეგმის მარცხს.

საქართველოში კი ჯარის ყოლა მარტოდენ მის დასაცავად არ ულირდათ. 1792 წელს, ერეკლეს დაბეჯითებულ თხოვნას, გამოეგზავნათ შეპირებული ორი ბატალიონი, მოჰყვა უმაღლესი რესკრიპტი გენერალ გუდოვიჩისადმი, რომელიც „ლინიას“ სარდლობდა, ახსნა-განმარტებით, რომ ამჟამად საქართველოში ჯარების გაგზავნა არ მიაჩნიათ სასარგებლოდ. არც თავად გარსევან ჭავჭავაძის 1794 წლის ელჩობას მოჰყოლია მეტი წარმატება (1793 წლის 12 დეკემბრის მეორე საკრედიტივო სიგელი გ. ჭავჭავაძისადმი იხ. ცაგარელთან, ქართ. ტექსტები, ib N 84; შდრ. ერეკლეს წერილი პლატონ ზუბოვს, იმავე რიცხვისა, N85. ერეკლეს 1795 წლის 17 იანვრის „წარდგინება“ იმპ. ეკატერინესადმი, ib N88; მისივე, 1795 წლის 27 იანვრის წერილი გრ. ბეზბოროდკოსადმი; და, ბოლოს, თავ.ჭავჭავაძის მიერ შეტანილ იქნა ბარათი საგარეო საქმეთა კოლეგიაში; საქართველოს რწმუნებული მოციქული, სხვათა შორის, შეახსენებს, რომ ოსმალეთის ომის გამოცხადების დროიდან, როცა ქართველებს განსაკუთრებული იმედი ჰქონდათ დახმარებისა, ახლა იგი საერთოდ გადაეწურათ, — „ვინაიდგან ცვლილებებისაგან ჟამისა გაძლიერდა ალა-მაჰმად-ხან და დაუახლოვდა უკვე სამზღვართა ჩვენთა, რომელიც იმყოფება ახლა არდაველს, და აქვს განზრახვა, რათა საქართველო მოიყვანოს იმ მდგომარეობაში, ვითარცა ყოფილა ჟამსა სპარსეთის ყაენთა მძლავრებით“. ამჟამად მეფე დასახმარებლად მიმართავს თავის უმძლავრეს მფარველს და ა.შ. თავ. ჭავჭავაძე სთხოვს კოლეგიას, ხელი შეუწყოს რეზოლუციის დაჩქარებას, დახმარების დროულად აღმოჩენის აუცილებლობის გამო, ib N90 გვ.117-118. შდრ. ერეკლეს მეუღლის 1795 წლის 6 ივნისის წუხილით აღსავსე წერილი იმპ. ეკატერინესადმი. ib N93.

საქართველოსადმი დახმარება და პროტექტორატი ცარიელ ბრახაბრუხად რომ არ დარჩენილიყო, მენაპირე მთავრებს უნდა მისცემოდათ დისკრეციული ხელმწიფება — გაეწიათ ხელშეწყობა, რასაკვირველია, გარკვეულ ფარგლებში, მაგრამ ისე, რომ ყოველ ჯერზე არ დაეწყოთ პეტერბურგიდან შესაბამისი ბრძანების მიღების ლოდინი. თორემ, სანამ საჭირო დახმარების განკარგულება მოუსწრებდა, საქართველოს ათჯერ დაიპყრობდნენ და გაძარცვავდნენ.

დისკრეციული ხელმწიფება, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, დათქმული იყო 1783 წლის სეპარატის არტიკულებით, მაგრამ 1792 წლის ხსენებული რესკრიპტი, გენ. გუდოვიჩის თვალში, აუქმებდა მის უფლებას, გაეწია დახმარება შეხედულებისამებრ, ამიტომ იგი სჯერდებოდა მოხსენებებს და წარდგინებებს მთავრობისადმი დახმარების საჭიროების შესახებ — და პლატონურთ მუქარის შეთვლას სპარსელებისათვის.

**ყოველივე ამის შედეგად აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 1795 წლის 4 სექტემბერს გამოიცა უმაღლესი ბრძანება დახმარებოდნენ „მეფე ერეკლეს, როგორც რუსეთის ვასალს, შექმნილი საფრთხის მოსაგერიებლად, ტრაქტატით გათვალისწინებული ქვეითი ჯარის ორი სრული ბატალიონით“. ეს უმაღლესი ბრძანება გენ. გუდოვიჩმა მიიღო 1-ელ ოქტომბერს, ხოლო ალა-მაჰმად-ხანმა ჯერ კიდევ 12 სექტემბერს აიღო და ააოხრა თბილისი.**

ალა-მაჰმად-ხანი ზეიმობდა, მაგრამ განწყობას უფუჭებდა იმის ფიქრი, რომ მთავარს მაინც ვერ მიაღწია: გურჯისტანის „ვალი“ კვლავ იყო საქართველოს მეფე და არ ცნობდა თავის ზედა სპარსეთის უზენაესობას. დიდხანს არ უზოგინიათ ყიზილბაშებს საქართველოს დედაქალაქში — ქვეყნის სიღრმეში ექსპედიციებს წარმატება არ მოჰყოლია, და ჯერ კიდევ 1795 წლის ოქტომბერში დატოვეს სამეფოს ფარგლები; მეფე თბილისს დაბრუნდა, ენერგიულად მოჰკიდა ხელი ნანგრევებიდან მისი აღორძინების საქმეს, და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა.

ცხადია, თბილისის აღებამდე ალა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს რამდენჯერმე შეუთვალა წინადადებები, და — ფრიად ხელსაყრელიც, ოღონდ მას დაჰმორჩილებოდა.

შემდეგ, როცა აოხრებული თბილისი სპარსელებმა დაიკავეს, მოლაპარაკება განახლდა. ალა-მაჰმად-ხანმა აღუთქვა ერეკლეს, რომ დაუბრუნებდა მთელ ტყვეებს და დააყენებდა აზერბაიჯანის გამგებლად, რის სანაცვლოდაც ითხოვდა, ეცნო მორჩილება და გაეგზავნა მძევლად ერთ-ერთი ბატონიშვილი. ალბათ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველთა მხრივ კეთილგონივრული იქნებოდა, ელიარებინათ, თუნდაც დროებით, შაჰის უზენაესობა, და, ამრიგად, თავიდან აეცილებინათ მძიმე დარტყმები, ყოველის მხრიდან რომ ატყდებოდა ქვეყანას (ზოგი უფრო შორსაც მიდის, და თვით 1783 წლის ტრაქტატის დადებას მიიჩნევს ერეკლეს მხრივ გადადგმულ წინდაუხედავ ნაბიჯად. იმოწმებს რა საქართველო-სპარსეთის ერთურთობის ისტორიას, Picault-ი 1783 წლის ტრაქტატის თაობაზე ამბობს: „on se persuadera sans peine que la Russie ne pouvoit, d’une part, faire une asquisirion plus precieuse, et que, de l’ autre part un marche plus onereux ne pouvoit etre conclu par les princes georgiens. La soumission nominale a la Perse etoit virtuellement l’ independance, tandisque la Plus foible liaision avec la Pussie devenait l’ equivalent d ‘iune servitude positive8 Histore des revolutions de Perse, v .II, p. 409). ერეკლეს ქცევა ალა-მაჰმად-ხანის მიმართ და მისი მზადყოფნა, ჩაბმულიყო აშკარად უთანასწორო ბრძოლაში, ოღონდ არ ეღალატა სიუზერენისათვის, რომელსაც ერთგულება შეჰფიცა, ყოველთვის გვექნება რაინდობის მაგალითად (და იმის ნიმუშად, თუ რაოდენ გამოუსადეგარია რაინდობა პოლიტიკაში!). ერთ-ერთი თანამედროვე იუწყება, რომ, როცა ერეკლესაგან ალა-მაჰმად-ხანთან გაგზავნილი დესპანი დაბრუნდა და აცნობა მისი წინადადებები, „მიუხედავად ქართველთა სურვილისა, თანხმობა ჰქონოდათ სპარსელებთან, მეფემ, რომელიც კარგად იცნობდა საჭურისის (ე.ი. ალა-მაჰმადის) ვერაგობას, და იცოდა, რომ მისი ნდობა არ შეიძლება, არ ინება, დაყრდნობოდა მის დაპირებებს. თუმცა, აქამდე იგი უკვე დიდი ხანია, იმყოფებოდა რუსეთის რუსეთის მფარველობის ქვეშ, და ამ მხარესთან ერთგულების ფიცით იყო შეკრული, არ მოისურვა, დაემყარებინა კავშირი სპარსეთთან“ (მაგრამ სპარსელთა მხრივაც ბევრნი ეწინააღმდეგებოდნენ შემორიგებას: განჯის ყაენს, 1795 წლამდე ერეკლეს ვასალს, მისი მხრივ შურისგებისა ეშინოდა (აკი უწია კიდეც მეორე წელსვეძ; სხვები კი არ დათანხმდებოდნენ ტყვეების უკან დაბრუნებას, რომლებიც უკვე ერთმანეთში გაენაწილებინათ.

იხ. ამონარიდი გამოუქვეყნებელი მემუარებიდან Brosset, Histore moderne, II,Livr.2, p.265;ლ. მისივე Memoires inedits relatifs a l Histore et a la lanque georgiennes, ლითოგრაფ. პარიზ. გამოცემა 1833 წ., ნაწ.II, §§ 79-108ძ.

ალა-მაჰმად-ხანს რომ გამოსვლოდა საქართველოზე დამყარებული გეგმა და, როგორც ძველად, გურჯისტანის ვალი დათანხმებოდა, სჭეროდა ხმალი შაჰის კორონაციის დროს, მაშინ სპარსეთის შანსები დიდად მოიმატებდა. მაშინ სერიოზული დაბრკოლება შეექმნებოდა რუსეთის წინსვლას დაღისტანსა და აზერბაიჯანში, და ყველა ყაენი იჩქარებდა, საბოლოოდ და უფრო საიმედოდ ეცნო ალა-მაჰმად-ხანი. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს აოხრებას არ შეეძლო, დროებით მაინც, არ შეელახა რუსეთის პრესტიჟი.

**მაგრამ, რამდენად სწორიც იყო ყაჯარი მბრძანებლის აზრი, მისი ლაშქრობის მარცხიანი შედეგი იმდენად დაატეხდა თავს ახალ უბედურებებს სპარსეთს, რაკი საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში რჩებოდა, რუსეთის პოლიტიკას მუდამ ჰქონდა დასაყრდენი კავკასიონს გადაღმა, და ეს საყრდენი წერტილი თანდათან გადაიქცევა მიზიდულობის წერტილად — ნებსითი თუ უნებლიე მიზიდულობისა — ყველა მეზობელი სახანოსათვის, ოდენ ცალფა ძაფით რომ იყვნენ მილამბულნი სპარსეთს.**

თარგმნა

**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

**იბეჭდება შემოკლებით**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-218.**

პრობლემა

*1991 წლის ზაფხულში, როდესაც საქართველოს უზენაესმა საბჭომ ფასიანი სასწავლებლების შექმნის შესახებ კანონპროექტი გამოაქვეყნა, მე, როგორც განათლების მინისტრის მოადგილემ უმაღლესი განათლების დარგში, ოთხი ინტერვიუ მივეცი სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტებს ფასიანი სასწავლებლების შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ. მხოლოდ ერთმა გაზეთმა „გაენათმა" გამოაქვეყნა ჩემი ინტერვიუ სათაურით „ფასიანი სწავლება იმ ფორმით, რომელიც ჩვენთან მკვიდრდება, მე შეცდომად მიმაჩნია". მიმაჩნდა, რომ ფასიანი სწავლება მთლიანად გაანადგურებდა სწავლების ხარისხს, რადგან უნივერსიტეტები „გადახდისუნარიანი" სტუდენტების ძიებაში იქნებოდნენ, ხოლო გამოცდებზე მომთხოვნელობა მკვეთრად დაიწევდა. ამასთანავე ვშიშობდი, რომ დიდი გადასახადი კრიმინოგენურ სიტუაციას გაამძაფრებდა.*

*მხოლოდ რამდენიმე პროფესორმა დამიჭირა მხარი. სხვები კი ან ჩუმად იყვნენ, ან პირიქით, ძალიანაც აქტიურობდნენ, რომ სასწრაფოდ გაეხსნათ უნივერსიტეტები სკოლების შენობებში თუ სარდაფებში, რათა როგორმე გაჭირვებისაგან დაეღწიათ თავი.*

# უნივერსიტეტი თუ ფულის მკეთებელი ორგანიზაცია?

გახსნეს კიდეც და ბოლოს მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: **ფულის მკეთებელი ორგანიზაციები, რომლებიც სტუდენტებს ფულს ძალავენ!** უნივერსიტეტების ადმინისტრაციათა მთავარი ამოცანა სტუდენტებიდან „ფულის ამოღება" გახდა

ამ დროს კი ჩვენ არა მარტო უმაღლესი სკოლები დავკარგეთ, არამედ, ფაქტობრივად, საშუალო სკოლებიც გავაუქმეთ! ყველას შეუძლია გადაშალოს შვილისა თუ შვილიშვილის სახელმძღვანელოები და ადვილად დარწმუნდება, რომ მეშვიდე კლასის ზევით სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები გონებასუსტი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნებში).

ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ მრავლადაა ფასიანი სასწავლებლები, თავის დასამშვიდებლად არ გამოდგება. ჯერ ერთი, სწავლების გადასახადი ყველგან გაცილებით ნაკლებია იმ თანხასთან შედარებით, რაც ერთი სტუდენტის აღზრდაზე იხარჯება. ამერიკაშიც კი, სადაც ყველაზე ძვირადღირებული სწავლებაა, სტუდენტის გადასახადი საშუალოდ მასზე დახარჯული თანხის დაახლოებით 10%-ია. სასწავლო პროცესისთვის საჭირო თანხას ან სახელმწიფო, ან კერძო პირთა შემოწირულობები ავსებენ. ევროპაში კი, განსაკუთრებით გერმანიასა და საფრანგეთში, გადასახადი კიდევ უფრო მცირეა.

ბი-ბი-სის განცხადებით, ბრიტანული საზოგადოება შეშფოთებულია იმით, რომ უმაღლესი სასწავლებლები ფინანსური გასაჭირის გამო იძულებული ხდებიან საზღვარგარეთიდან მოიწვიონ სტუდენტები, რაც განათლების დონეზე ხშირად დამღუპველად მოქმედებს. უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა 1990-იან წლებთან შედარებით 8-ჯერ გაიზარდა. დღეს 60%-ზე მეტი მაგისტრი და დოქტორი, რომლებმაც ეს წოდებები ინგლისში მიიღეს, უცხოელია. ერთ-ერთი პროფესორი აღნიშნავს, რომ დიდ ბრიტანეთში, არცთუ იშვიათად, დიპლომს ისეთი სტუდენტები იღებენ, რომლებიც ინგლისურად თითქმის ვერც საუბრობენ.

ინგლისის პროფესურა თვლის, რომ ეს პრობლემები უნივერსიტეტების არსის ცვლილებების ანარეკლია და, ცხადია, ისმის კითხვა: **ეს საგანმანათლებლო დაწესებულებებია თუ ფულის მკეთებელი ორგანიზაციები?** — კითხვას სვამს ერთი პროფესორი. „ადრე უნივერსიტეტის სისტემა განიხილავდა მხოლოდ საგანმანათლებლო სტანდარტის საკითხებს. ახლა კი, როდესაც უნივერსიტეტის საქმიანობა ბიზნესის მსგავსია, ეს ცვლის უცხოელი სტუდენტებისადმი უნივერსიტეტის დამოკიდებულებას. აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა უნივერსიტეტისადმი ნდობის საკითხი და მასში ფინანსების ნაკადის შემოდინების პრობლემა", — ასკვნის მეორე პროფესორი. მესამემ კი უფრო მკვეთრი განცხადება გააკეთა: **„ეს პროცესები გვიჩვენებს, რომ უმაღლესი განათლება იყიდება".**

ცნობილი გახდა, რომ გერმანიაში, ჰესენის ფედერალურ რეგიონში, უმაღლესში სწავლება 2008-2009 წლის ზამთრის სემესტრიდან უფასო გახდება (მათ შორის უცხოელი სტუდენტებისთვისაც), სადაც სწავლის გადასახადი სემესტრში 500 ევრო იყო. ასეთი გადაწყვეტილება ამ რეგიონის პარლამენტმა მიიღო (ჰესენი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი აკადემიური ცენტრია და მის ხუთ უნივესიტეტში, ორ ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელსა და 5 უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში 160 ათასამდე სტუდენტი სწავლობს).

გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი სწავლება 2007 წლის აპრილში ძალაში შევიდა ჯერ 5 რეგიონში, შემდეგ კი სხვა რეგიონებშიც გავრცელდა. გერმანული ჟურნალის „ფოკუს-კამპუსის" ინფორმაციით, ფასიანი სწავლება არ შესულა ბერლინში და კიდევ სამ რეგიონში (ბრანდერბურგში, შლეზვიგ-ჰოლშტინიაში და მეკლენბურგ-ზემო პომერანიაში). დანარჩენ რეგიონებში სწავლის ფასი მერყეობს 35 ევროდან 900 ევრომდე სემესტრში. სტუდენტურ პროფკავშირებსა და ხელისუფლებას შორის გამართული უმწვავესი დებატების შედეგად ზოგიერთი რეგიონების ხელისუფლებამ გადასახადები შეამცირა, ჰესენის შემთხვევაში კი — საერთოდ გააუქმა. მაგალითად, ჰამბურგში პარლამენტმა გადაწყვიტა სემესტრული გადასახადის 375 ევრომდე შემცირება, მაგრამ ეს არ მოეწონა სტუდენტურ პროფკავშირს, რომელმაც ჩათვალა, რომ ასეთი გადასახადი ძალზე მძიმე ტვირთია მრავალი სტუდენტისთვის და სწავლის გადასახადის სრულ გაუქმებას მოითხოვენ.



ალბათ კატასტროფულზე უარესია ის გადასახადები, რაც გერმანიასთან შედარებით, საქართველოშია. გარდა იმისა, რომ სწავლს დონე ფაქტობრივად ნულის ტოლია, საქართველოში სწავლის გადასახადი რამდენჯერმე აღემატება ევროპის რიგ ქვეყნებში არსებულ გადასახადებს და ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილისგან სულს ღაფავს.

მაშინ, სრულიად ბუნებრივია კითხვა: **რატომ იხდის ჩვენი მოსახლეობა ამდენ თანხას და არც ბანკების ვალს ერიდება?** განა ვერ ხედავს, რომ სწავლის პროცესი ყველგან ჩაშლილია? რად უნდა დიპლომი, როდესაც ცოდნა არა აქვთ და რომც ჰქონდეთ, ისიც გაუფასურებულია? სამსახურში მოსახვედრად და ტესტირებისთვის ცოდნა კი არა, ფულის გადახდაა საჭირო. ამიტომაც გაიშალა კორუფციული გარიგებები სამუშაოდ მიღებისას. დიპლომის ხარისხი აღარავის აინტერესებს (არც არავინ უჯერებს), ხოლო ტესტური გამოცდები და სხვადასხვა ტიპის გასაუბრებები მხოლოდ კორუფციულ მიზნებს ემსახურება.

ამ რამდენიმე წლის წინათ ეკონომიკური პროფილის ერთ-ერთი კერძო უმაღლესი სასწავლებლის რექტორი ტრაბახობდა, რომ მისი სასწავლებლის თითქმის ყველა კურსდამთავრებული ადვილად „შოულობს" სამსახურს. ცხადია „იშოვნის", რადგან, როდესაც მის სასწავლებელში წლიური გადასახადი 4000 დოლარია, ვისაც დიპლომის მისაღებად 20 ათასი დოლარის გადახდა შეუძლია, მისთვის 10-15 ათასი დოლარის გადახდაც არ უნდა იყოს პრობლემა შვილის სამსახურში „მოსაწყობად".

**დიპლომები და ატესტატები გაუფასურდა და რა გასაკვირია, რომ მათ არავინ ენდობა სამსახურში მოღებისას? ამიტომაც შემოვიდა ყველას სავალდებულო ტესტირება. ტესტირებები ყველას: ექიმებს, მასწავლებლებს, ბანკის მუშაკებს, მოსამართლეებსა თუ ადვოკატებს. მაშინ ეს უმაღლესი სასწავლებლები რაღად გვინდა?**

**მხოლოდ ხალხის გასაღატაკებლად.**

თუ რამდენად ობიექტური აღმოჩნდა ტესტირების ჩატარება ღირსეულთა გამოსავლენად, ჩვენს სასამართლოებს კარგად ეტყობა. მოსამართლეთა უმრავლესობის არა მარტო ძალზე დაბალი დონე, არამედ მათი ზნეობაც ნათლად მეტყველებს, თუ რატომ არ ენდობა ხალხი მართლმსაჯულებას. ჩვენს მიერ მომზადებული ექიმების ნდობა სასიკვდილოდ სახიფათოა, ხოლო ინჟინრებს, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, უნივერსიტეტი აღარ ამზადებს და თურქეთიდან მოწვეული ინჟინრების იმედი აქვს. თუ რა აეროპორტი აგვიშენეს თურქებმა თბილისში, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ, ბევრმა არ იცის, რომ იქ მომუშავე ქართველი იგივე საქმიანობით დაკავებულ თურქთან შედარებით ხუთჯერ ნაკლებ ხელფასს იღებს (?!).

**და მაინც: როდემდის გაგრძელდება ისედაც გაღატაკებული ხალხის ოფიციალური თუ არაოფიციალური ძარცვა ჩვენს სასწავლებლებში? რა მოგვიტანა ფასიანმა სწავლებამ?**

**მხოლოდ ის, რომ სწავლის დონე განადგურდა!** უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწვლებლები სტუდენტების ძებნაში არიან და სტუდენტთა გადაბირებასაც არ ერიდებიან. ამ პირობებში რომელი ლექტორი თუ მასწავლებელი გაბედავს სტუდენტის არადამაკმაყოფილებელი ნიშნით შეფასებას? სასწავლებელი ხომ სტუდენტისგან მისაღებ შემოსავალს დაკარგავს? ეს სტუდენტმაც კარგად იცის და სწავლითაც თავს აღარ იწუხებს. თუნდაც, რომც შეიწუხოს, რა გამოუვა, როდესაც სკოლამ, უკეთეს შემთხვევაში, შვიდწლიანი განათლების შესაბამისი ცოდნა მისცა?

სასწავლო კორპუსები იყიდება, ხოლო სამეცნიერო მუშაობა პრაქტიკულად ყველგან ჩაკვდა დაუფინანსებლობის გამო. გამოშვებული სპეციალისტების ცოდნის დონე კი იმდენად უბადრუკია, რომ მაღალი დონის სამეცნიერო შრომების აკადემიის ყოფილ ინსტიტუტებშიც კი მხოლოდ ძველი, ჯერ კიდევ შემორჩენილი მეცნიერთა შრომით იქმნება.

**რაც შეეხება მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს, ის საერთოდ ზედმეტია, რადგან მას სასწავლო პროცესის მართვის შნო ნამდვილად არა აქვს და მხოლოდ განათლების სისტემის ნგრევაზეა ორიენტირებული. მათი ფუნქცია სკოლის რემონტებით შემოიფარგლა, ხოლო სასწავლო პროგრამების დახვეწა და სახელმძღვანელოების ხარისხზე კონტროლი მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ძალზე აღემატება.**

მერაბ ჯიბლაძე.
„ქართული აკადემია".

ინფორმაცია



## პრეზიდენტმა შეიწყალა 365 პატიმარი

**საქართველოს პრეზიდენტმა პატიმართა შეწყალების ორ განკარგულებას მოაწერა ხელი. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, შეწყალება სულ 365 პატიმარს შეეხო. სად-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის სალომე მახარაძის განცხადებით, შეწყალებული 365 პატიმრიდან 221 სასჯელის დარჩენილი ვადა გაუნახევრდა, 144 კი პატიმრობიდან საერთოდ გათავისუფლდა.**

**შეწყალებულთა შორის 14 ქალია. შეწყალება შეეხო არასრულწლოვან გიორგი ზერეკიძესაც, რომელიც განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის გაასამართლეს.**

## ორსანტიას ოტობაიადან ცხრილავდნენ

**სროლის ხმა ისმოდა სოფელ ოტობაიადან ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიას მიმართულებით.**

**ცეცხლი გაუხსნეს ქართველ სამართალდამცავებს, რომლებიც პატრულირებას ახორციელებდნენ.**



**როგორც სოფელ ორსანტიას გამგებელი აცხადებს, ისროდნენ, როგორც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, ასევე, ნაღმტყორცნებიდანაც.**

**ერთ-ერთი ჭურვი მოხვდა პოლიციის ავტომანქანას, რის შედეგადაც ავტომანქანა გადაბრუნდა. საბედნიეროდ, ამ ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია.**

## სამართალდამცავებს ნაბაკევიდანაც ესროლეს

**ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მდგარ ქართველ სამართალდამცველებს ცეცხლი დაახლოებით, 16:20 საათზე გალის რაიონის სოფელ ნაბაკევიდან რუსმა სამხედროებმა გაუხსნეს.**

**ამის შესახებ გალის რაიონიდან ინფორმირებული წყარო იტყობინება.**

**— ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ინტენსიური სროლა, დაახლოებით, 10 წუთი გრძელდებოდა. მოსახლეობა ძალიან შეშინდა, მაგრამ ხურჩიდან საპასუხო სროლის შემდეგ ცეცხლი შეწყდა. გალის რაიონში ამჟამად სიმშვიდეა, — განაცხადა წყარომ.**

**ამასთან, აფხაზური მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმციას, თითქოს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში ერთმანეთს ქართველი პოლიციელები და კრიმინალები ესროდნენ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა უარყოფს.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

## ვაი ჩვენს პატრონს!

**„პოლიტიკაში დაბრუნება წაგებულმა ომმა და გაუბედურებულმა ქვეყანამ მაიძულა“ — ბრძანებს ბატონი ზურაბ ნოღაიდელი ბოლო ხანს პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუებში.**

„თუ 1,5-2 თვის განმავლობაში უძრავი ქონების სექტორში არ იქნა ქმედითი ღონისძიებები გატარებული, ათი ათასობით მოქალაქე დაკარგავს სამუშაოს. მთავრობამ უძრავი ქონების კომპანიებს საბანკო ვალების გადასახდელად სესხი უნდა მისცეს დაახლოებით 300 მლნ დოლარი. ეს დაამშვიდებს ბანკების ხელმძღვანელებს, ეცოდინებათ რომ 12-18 თვეში მიიღებენ ყველა სესხს, რაც გასცეს უძრავი ქონების სექტორში. სესხის ნაწილი აშენებული შენობების დამთავრებას უნდა მოხმარდეს. ეს კლიენტს საშუალებას მისცემს, იყიდოს ბინა და ამ სექტორში დააბანდოს ფული. მთავარია, ჩვენმა მოქალაქეებმა შეინარჩუნონ სამუშაო და ჩვენი ეკონომიკის გული არ გაჩერდეს“.

როგორი ხედვაა? — ჩვენი „ეკონომიკის გული“ რომ არ გაჩერდეს, საჭიროა სულ რაღაც 300 მლნ დოლარი.

არადა, ბატონი ზურაბის სიტყვებით **„მთავრობას წარმოდგენა არა აქვს, რა უნდა ქნას და ეს არის ყველაზე შემზარავი“.**

სამშენებლო კომპანიების ზოგიერთმა მეტიჩარა ხელმძღვანელმა თითქოს ბატონი ზურაბის ჯიბრზე განაცხადა, რომ ჩვენ ჩვენი ფულადი სახსრები გვაქვს და ბანკის სესხი არ გვჭირდებაო, ხოლო აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტობის კანდიდატმა ობამამ სხვა რამ განაცხადა — სესხებით აშენებული საცხოვრებელი სახლები ახლა უფრო იაფად იყიდებაო. ე.ი. გამოდის, რომ ბატონ ზურაბს 300 მლნ დოლარი საკუთარი ბიზნესისთვის უნდა და არა იმისთვის, რომ არ გაჩერდეს „ეკონომიკის გული“.

ხომ ცნობილია, რომ ქვეყნის აღსადგენად გამოყოფილია 4,5 მილიარდი დოლარი. ითქვა, გადაუდებელი საჭიროებების გარდა, დახმარება ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებას უნდა მოხმარდესო. ბოლოს და ბოლოს, ამ დახმარებას ჰესების მშენებლობაში ხომ არ გამოიყენებენ ?

ჰესები უნდათ ახლა ჩვენს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ბატონ ზურაბს?

ვინ იცის საქართველოს ეკონომიკა ბატონ ზურაბზე უკეთ? ბრძანებს კიდევაც: **„მე და ჩემი თანამოაზრეები ვამზადებთ ეკონომიკურ პროგრამას თუ როგორ უნდა დავძლიოთ კრიზისი უახლოეს 12-18 თვის განმავლობაში. მე საიდუმლო წინადადებები კი არ მაქვს, არც იმას ვამბობ, კრიზისის დასაძლევი გზა მარტო მე უნდა ვიცოდე და სხვას არ ვეტყვი-მეთქი“.**



# გიხაროდენ, ბატონი ზურაბი პოლიტიკაში ბრუნდება!

მეტი რა ქნას ბატონმა ზურაბმა? ხედავთ, რა გულკეთილი ყოფილა?

ბატონი ზურაბი თავის დროზე ბოლნისში ჩამოვიდა, მზადდებოდა „მადნეულის“ პრივატიზაცია. ერთ-ერთი კორესპონდენტი ბატონ ზურაბს შეეკითხა — რატომ ხდება „მადნეულის“ პრივატიზაციაო!

ბატონმა ზურაბმა „ხისტად“ უპასუხა, რომ **კომბინატს სჭირდება ინვესტიციები...** მერე, კომბინატს გახედა, ალბათ იფიქრა იქ შეიძლება სხვანაირად გაიგონ ჩემი ნათქვამიო და — **ქვეყანას სჭირდება ინვესტიციები და იმიტომ ვახდენთ „მადნეულის“ პრივატიზაციასო!**

ფაქტია, ქვეყანას მეტი ინვესტიცია რომ დასჭირვებოდა, უნდა გაეყიდათ კიდევ სხვა მომგებიანი საწარმოები...

ბატონმა ლადო გურგენიძემ ლონდონში გაყიდა თავისი ბანკის აქციები (თუ სხვა ფასიანი ქაღალდებიძ, დოლარები ბანკში შემოიტანა და ეს არის ნამდვილი ინვესტიციაო.

აბა, ბატონი ზურაბის მიერ „მადნეულის“ და ჰესების გაყიდვით მიღებული ვალუტა რაღაა?

არ ეკადრება ბატონ ლადო გურგენიძეს ინვესტიციების თვით განმარტებაშიც ასეთი აღრევის შემოტანა.

ბატონმა ზურაბმა თავის დროზე ბოლნისელებს, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო. ბოლნისელებმა დაგეგმეს, კერძო სექტორთან ერთად, ადგილობრივი ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობით ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ობიექტის მშენებლობა.

**„თქვენ ვინ მოგცათ უფლება საწარმოო დანიშნულების ობიექტს რომ აშენებთო“,** — თქვა ბატონმა ზურაბმა.

არადა, ბოლნისელებმა ვიცოდით, რომ დასავლელი ექსპერტები და ინვესტორები გვიკრძალავენ წარმოების გაზრდას... და რომ არა ბატონი ზურაბის ოპერატიული ჩარევა, ვინ იცის, რა დაემართებოდა დასავლეთისკენ მიმართულ ჩვენი ეკონომიკური განვითარების ვექტორს.

უძრავი ქონების სექტორს ბატონი ზურაბი კვლავ უბრუნდება 2008 წლის 15 ნოემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუშიც და აღნიშნავს, რომ ეს სექტორი უკვე კრიზისშია. და ახლა რომც დაეხმაროს მთავრობა ამ სექტორს „ისეთი ეფექტი აღარ ექნება“. ინტერვიუში მთავარი მაინც ის არის, რომ ბატონი ზურაბი გვიზიარებს კრიზისის გამომწვევ მიზეზებს.

**„შექმნილი კრიზისი სამი მიზეზით არის გამოწვეული, პირველი მსოფლიო ფინანსური კრიზისია, რომელმაც გავლენა საქართველოზეც მოახდინა“.**

**„მეორე და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, შარშან წლის მიწურულს მიღებული სახარჯო გადაწყვეტილებებია“.**

ხედავთ? შარშან წლის ბოლოს მიღებულმა სახარჯო გადაწყვეტილებებმა წელს, იჩინა თავი. ეს მოხდა იმიტომ, რომ ბატონმა ზურაბმა თავის დროზე ისეთი მყარი საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ეკონომიკას, რომ მან ერთი წლის მანძილზე გაუძლო კრიზისს.

მკითხველს ახსოვს, რომ გაიცა 2,6 მლნ ვაუჩერი ელექტროენერგიის მოხმარებაზე; 130 მლნ ლარი დააკლდა ენერგეტიკას და სისტემამ მაინც შეუფერხებლად იმუშავა, რადგან ბატონმა ზურაბმა ბრწყინვალე სატარიფო სისტემას მისცა მწვანე გზა.

**„თუმცა კრიზისის უმთავრესი მიზეზი მაინც აგვისტოს ომია“.**

**„ხელოვნება სწორედ ის იქნებოდა, მთავრობას მოსალოდნელი შედეგები ჯერ კიდევ აგვისტოს მეორე ნახევარში, საომარი მოქმედებების აქტიური ფაზის დასრულებისთანავე განეჭვრიტა“.**

როგორც ვხედავთ, მთავრობას საომარი მოქმედებების აქტიური ფაზის დასრულებისთანავე რომ განეჭვრიტა... კრიზისის „უმთავრესი მიზეზიც“ არ გვექნებოდა.

ის სხვა საკითხია, როგორ უნდა გამოეჩინა ხელოვნება მთავრობას, როცა მას არ ჰყავდა ბატონი ზურაბი!

ბატონი ზურაბის ინტერვიუ რომ წაიკითხეს, ჩემმა ბოლნისელმა მეგობრებმა ხელი ჩაიქნიეს — ეგ საკენკი იქ დაყაროს, სადაც დაუყრიაო.

წარმოგიდგენიათ? კრიზისის გამომწვევი მიზეზები არისო:

**პირველი.** მიმდინარე წლის ივნისში ხელისუფლებამ მოაწყო ჯართის მიმღები პუნქტების „გაწევა“ (ბატონი ზურაბის სიტყვააძ და ჯართის შესასყიდი ფასი 400 ლარიდან 100 ლარამდე შეამცირეს, რამაც თითქმის მთლიანად შეწყვიტა ჯართის ექსპორტი.

**მეორე.** 40 პროცენტით და მეტად გაიაფდა ბოლნისის „მადნეულისა“ და ჭიათურის პროდუქცია (ამ საწარმოებში უფასო შვებულებებში უშვებენ ხალხსძ.

**მესამე.** მთლიანად ჩავარდა ტურისტული სეზონი.

ამ სამმა ფაქტორმა მნიშვნელოვნად შეამცირა დოლარის შემოდინება. და დოლარი გამყარდა.

ბატონმა ზურაბმა ჯერ პასუხი აგოს პოლიტიკაზე, რის გამოც მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული (და დასასაქმებელი!ძ მოქალაქეები ქვეყნიდან გაიქცნენ. გაივსო ევროპა და რუსეთი საქართველოდან ლუკმა პურის საშოვნელად წასული ადამიანებით.

ომის შესახებ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთო, რომ ბრძანებს ბატონი ზურაბი, ომი რა, აგვისტოში დაიწყო? მანამდე არ იცხრილებოდა სოფლები? არ კლავდნენ და არ იტაცებდნენ ქართველებს?

თუ კოკოითის მხარდამჭერებიც შემოიტანდნენ საქონელს რუსეთიდან და თბილისში გაყიდიდნენ, ეკონომიკა დაინგრეოდა? მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელდასხმულებს რომ უნდათ ფულის კეთება... გზის ჩაკეტვა არ იყო ძირითადი მიზეზი, რამაც ამდენი ბოროტება დათესა?

ახლა ბატონი ზურაბი პასუხისმგებლობას იხსნის და კვლავ პრემიერობა უნდა? — წარმოგიდგენიათ?

**„უმთავრესი “ კი ის არის, რომ ბატონი ზურაბი პოლიტიკაში ბრუნდება.**

**გიხაროდენ!**

**ნუგზარ კობახიძე,**
ბოლნისი.

თემის გაგრძელება იხილეთ მე-9 გვერდზე

## ღვთისა და ერის წინაშე

***თანამედროვე გარდაბნის რაიონი ქართული ეთნოსის (ძველი იბერიელები) საცხოვრის-სამოღვაწეო სივრცეა და მას უხვად შემოუნახავს გარდასულ თაობათა ნასაქმარი და ნაკვალევი. ეს კარგად ჩანს ძველი არქიტექტურის ნაშთებში, ლეგენდებში, ფოლკლორში, ენის ლექსიკაში, ანდაზებში, ხალხურ სიმღერებში. უსამართლობა იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ყველაფერა ამას ყურადღება არ ექცეოდა. არა. XIX და განსაკუთრებით XX საუკუნეებში უზარმაზარი მნიშვნელობის ძიება-კვლევები ჩატარდა, რის შედეგადაც მსოფლიომ თვალნათლივ დაინახა, რა კულტურისა და ცივილიზაციის შემქმნელები და ჭირისუფლები არიან ქართველები და რარიგ ეხერხებათ ამ უნიკალური სიმდიდრის მოვლა-პატრონობა.***

# რას ვუტოვებთ ხვალინდელ დღეს?



მაგრამ ამ ერთ მტკაველ მიწაზე და მიწაში იმდენი რამაა დაუნჯებული, რომ გასაკეთებელთან შედარებით გაკეთებული ცოტად გვეჩვენება. ეს სალი, სასარგებლო უკმაყოფილებაა, რადგანაც სწორედ ეს შეგრძნებაა ახალი ძებნისა და მოძიების მთავარი და არაჩვეულებრივად გამძლე სტიმული.

კონკრეტულად გვინდა, ორიოდე სიტყვით შევახსენოთ მკითხველს ისტორიულად ცნობილი რეგიონი, როგორიცაა სოფლების ნორიო-მარტყოფისა და მათ ჩრდილოეთით მდებარე ცნობილი ღვთაების გასაოცარი ლეგენდებით გარემოცული მონასტრის მიმდებარე ტერიტორიები, სადაც ყოველი ნაბიჯი (და ეს გადაჭარბება არ არის!ძ ისტორიულია, ისტორიის ქარცეცხლნაგებია და უკვდავებას ნაზიარები. ამაზე ყველაფერი მეტყველებს — მიწაც, ქვაც, ტყეც, ხევიც, მწვერვალიცა და პატარა ნაკადულიც. მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ თუნდაც „ნორიოს განძი“ (თავის დროზე ნორიოს მინდორში ნაპოვნიძ და ამჟამად სახელმწიფო მუზეუმში დაცული, კოშკებისა და ნასოფლარის ნანგრევები ნორიოს თავში, იქ ალმოჩენილი სამარხი ქვევრები, მამა ანტონის კოშკი, რომლის აშენებაც თანამედროვე ტექნიკის დახმარებითაც კი საკმაოდ ძნელი საქმე იქნებოდა, ადამიანთა ჩონჩხებით სავსე უკარო აკლდამა მონასტრის დასავლეთი კედლის ძირას, მონასტრის ეზოში შესასვლელის მარცხნივ მდებარე გასაოცრად წმინდა და გემრიელი წყაროს წყალი, რომელსაც ჩემს ბავშვობაში სამკურნალო თვალსაზრისითაც ხმარობდნენ. ამ წყაროს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს XX საუკუნის 60-იან წლებში მაშინ მაღალ პოსტებზე მყოფი ადამიანის მსგავსმა გორილებმა — წყაროს ცოტა ზევით გათხარეს გაურკვეველი დანიშნულების დიდი ქვაბული, რის გამოც წყლის დიდი ნაწილი სამუდამოდ დაიკარგა. დიდი დავისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ (იმდროინდელ სამთავრობო გაზეთ „კომუნისტში“ დავბეჭდეთ მკვახე ტონის წერილი „ღვთაება ულმერთოთა ხელში“ძ ქვაბული ისევ ამოავსეს, მაგრამ ამან წამხდარ საქმეს უკვე ველარ უშველა.

ყველაფერი ეს დღეს მივიწყებულია — ასეთი „წვრილმანისთვის ვერავინ იცლის, — ძლიერნი ამა ქვეყნისანი უფრო ხელშესახები (და ჯიბეში ჩასადებიძ საქმეებით არიან გატაცებულები, უპოვარნი კი დღელამ იმაზე ფიქრობენ, როგორ გადაურჩნენ შიმშილს, სიცივეს, უფულობას, უწამლობას, კარს მომდგარ უწიგნურობასა და თავგასულ განუკითხაობას.

(შეხსენებისათვის: „კომუნისტში“ ზემოხსენებული წერილის შემდეგ ავტორს უკიჟინეს, არ უყვარს თავისი კუთხე, თორემ ასე საქვეყნოდ არ გამოაჭენებდა ამ კუთხის ხელმძღვანელობასოძ.

იხ. 8 გვ.

**ღვთისა და ერის წინაშე**

(მეშვიდე გვერდიდან)



# რას ვუტოვებთ ხვალინდელ დღეს?

სამწუხაროდ, ახალგაზრდობამ მეტწილად არ იცის თავისი კუთხის ისტორია და ღირსშესანიშნაობანი. **ან როგორ უნდა იცოდეს, როდესაც განათლების მინისტრი ტრიბუნიდან ჩამოაგდებს ქართული ენის მასწავლებელს, რომელიც ბავშვებს შთაგონებით უყვებოდა დედაენის უნიკალურ თვისებებზე; როგორ ისწავლის ბავშვი თავისი ქვეყნის წარსულს, თუ ვიღაც ბრიყვი ჩინოვნიკის განკარგულებით საქართველოს ისტორიის სწავლება უნდა მომხდარიყო როგორც მსოფლიო ისტორიის რაღაც მიკროსკოპული ნაწილისა.** იყო დრო, საქართველოს ტელეეკრანებიდან მოზარდ თაობას სისტემატურად ესმოდა მშვენიერი ლექციები ქართული ისტორიის შესახებ. დღეს ეს „მოდნი“ აღარ არის. შესაძლებლობა კი დიდია, თუ გავითვალისწინებთ ტელევიზიის უზარმაზარი ზემოქმედების ძალას.

მივხედოთ ჩვენთვის საინტერესო კუთხის ენას – ლექსიკას, ინტონაციას, ფრაზეოლოგიას. ალბათ, ლიტერატურულ, ნორმირებულ ქართულთან ყველაზე ახლოს დგას გარეკახური მეტყველება. და ამავე დროს იგი ხასიათდება თავისი განუმეორებელი თვისებებითაც. ეს დადასტურებულია დიალექტურ გამოკვლევებში და აწგანსვენებული უშანგ სახლთხუციშვილის ცოტა ხნის წინათ გამოსულ მშვენიერ „გარეკახურ ლექსიკონშიც“, რომლის მასალაც ძირითადად ნორიო-მარტყოფშია მოძიებული.

ახლა აქაური ტოპონიმიკა. ეს არის დაუნჯებული ისტორია, რომელიც ენამ შემოგვინახა და ყოველ ხსენებაზე თითქოს საუკუნეების სიღრმიდან გვეხმიანებიან ის დიდი წინაპრები, ვინც ასე ბრწყინვალედ მოიფიქრა თავანკარა ქართული სახელწოდებები, ვთქვათ: მარტყოფი, საყარაულო სერი, ნასაგური, ნაგომარი, ნეფინერო, ლომეთი, და უკვე დროის ბურუსით მოცული ნორიო, ფატრიხევი, აშკავეთი, იალნო, ლილო და სხვა მრავალი. თუ მოზარდ თაობებს არ ჩავუნერგეთ პატივისცემის გრძნობა ყველაფერ იმისადმი, რაც ქართულობას, უნიკალობას გადაგვირჩენს (ყოველგვარი ტრაბახის გარეშე), გლობალიზაცია წაგვლეკავს დაუნდობლად და მერე გვიან იქნება. არადა თითოეული ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია მინიატიურული ნოველაა, რომელშიც მოთხრობილია ამ ადგილის ისტორია. ეს უნიკალური ინფორმაციაა, რომლის დაკარგვაც არ შეიძლება, რადგან ეს ჩვენი მეობის რაღაც ნაწილის დაკარგვას ნიშნავს. **სად წავალთ, თუ ყოველი თაობა ცოტა-ცოტას დაკარგავს? ნუ ავურევთ ერთმანეთში ეროვნულ გრძნობასა და განათლებას. ცხადია, კარგია ინგლისურის ცოდნაც, კომპიუტერიც, უცხოური განათლებაც და ყოფითი კულტურაც, მაგრამ ვინ და როგორი უნდა იყოს ეს პიროვნება? ქართველი და საქართველოს ჭირისუფალი თუ ეროვნებადაკარგული არა მხოლოდ პასპორტის მიხედვით, არამედ გულით, განწყობით, სულისკვეთებით, ე.წ. „მსოფლიოს მოქალაქე“ ეყოლება?**

ჩვენდა საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდობის ძალიან დიდი ნაწილი (ნაადრევად გადაგვარებულთა გარდა) აქტიურად ეწინააღმდეგება გადაჯიშების, დექართველიზაციის ვერაგულ და მაცდურ მყვირალა ჭრელჭრულ ინსტიტუტებს. პატრიოტული, მამულიშვილური მუხტი ძლიერია, ამიტომ მას გაფრთხილება უნდა. ეს კი უფროსების დიდი ვალია (და აკი იხდიან კიდევაც ამ ვალს – „დიდოსტატის მარჯვენა“ ამოუგდიათ სასკოლო პროგრამიდან – დღეს რატომ ვუტვირთავთ ბავშვს გონებას რვაასი წლის წინათ რაღაც ეკლესიის მშენებლობის ისტორიითო – ზრუნვაც ამასა ჰქვია, აბა!).

მშობლიური მიწის მიზიდულობის ძალა განსაკუთრებით იგრძნობა სოფელში, სადაც მიწა შეიგრძნობა ფეხით, ხელით, მზერით, სმენით, ბუნების სურათებით, სარჩო-საბადებლის მოპოვებასთან დაკავშირებული სამუშაოებში მონაწილეობით, ეროვნული ადათ-წესების შესრულებაში აქტიურობით, ხუმრობის, სიმღერის ყოველდღიური მოსმენით არა ტელეეკრანიდან, არამედ ცოცხალი, მეზობლებისა და ახლობლების ენით. ყველა სოფელს აქვს თავისი დიდი თუ პატარა ისტორია, ლეგენდები, თქმულებები, თავისი გმირები, სალოცავები, მეზობელი სოფლის გასაკენწლი ხუმრობები და სხვა. ნორიოში ამჟამადაც ხალისით უყვებიან სტუმრებს იმაზე, რომ სოფლის ბოლოს პატარა წყაროსთან ერეკლე მეორემ შეისვენა და ამის შემდეგ ამ ადგილს ნეფისწყარო დაერქვა, მარტყოფი დიდხანს ამაყობდა ბებერი კაკლის ხით (უკვე აღარ არის!), რომლის ჩრდილშიც ისვენებდა გიორგი სააკაძე და სხვა მრავალი ამგვარი დიდი თუ მცირე ამბავი.

დიდებული სპექტაკლივით მოსასმენი და საყურებელი იყო სოფლური სუფრა, რომელიც ნამდვილი აკადემია იყო მომავალი თაობებისთვის, ახალგაზრდობა პრაქტიკულად სწავლობდა ტრადიციებს, უფროსუმცროსობის დიდ და ფაქიზ ზნეობას, ქართული სიტყვის მხატვრულ და ემოციურ ძალას, ხუმრობის ნორმებსა და სიღრმეს, ქალისადმი პატივისცემასა და მოწიწებას, რწმენის შეფასებასა და დაფასებას. ასე ბუნებრივად, თითქოსდა თავისთავად, გადადიოდა ფასდაუდებელი ეროვნული ფასეულობები უფროსთაგან უმცროსებზე. ღვინოს პირველი ჭიქიდან ბოლომდე ეპყრობოდნენ არა როგორც გასართობ საშუალებას, არამედ როგორც წმინდა, ადამიანის ამმაღლებელი რიტუალის მთავარ კომპონენტს. დათრობა და თვითკონტროლის დაკარგვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა და ყველა ერიდებოდა. დღეს სუფრის საუკუნოვანი ტრადიციები ძალიან შეირყა და ამის მთავარი მიზეზი თაობათა გაუცხოება, ერთმანეთისადმი უნდობლობის ჩამოგდებაა. ახალგაზრდები გაურბიან უფროსებთან პურობას, რის გამოც უნდათ თუ არა სწრაფად ჰკარგავენ ეროვნული ხიბლის შეგრძნებას და ეს ახალგაზრდობის ბრალი სულაც არ არის. მას, ახალგაზრდობას, გამუდმებით უტევს გლობალიზაციის ყოვლისშემძლე ძალა, რომელიც ხშირად ეფარება მსოფლიო ცივილიზაციის ნიღაბს, რომლის წინაშეც თურმე ყველაფერი ეროვნული მოძველებულია და ყავლგასული.

**სიახლეს, ცხადია, ვერავინ გაექცევა (ან რატომ უნდა გაექცეს, თუ სიახლე სასიკეთოა?), მაგრამ ახალგაზრდების ტვინების ტოტალური გამორეცხვა ერის დაღუპვის გზაა და მეტი არაფერი. ძველი ქართული ფიცის ფორმულა იყო „ღვთისა და ერის წინაშე“. ეს დიდებული ფორმულა ცოცხალი მეტყველებიდან თითქმის გაქრა და მისი ადგილი უხამსმა „ჩემმა დედამ“ დაიკავა, ხოლო ყალბად გაგებულმა პიროვნების თავისუფლებამ ადამიანთა ურთიერთობა აგრესიული ჟინით გაამწარა. ამან კი ძალიან გააიოლა თანატოლისთვის დანის გაყრა, უკეთური საქმეებისადმი მიდრეკილება, სიცრუე, ავსულობა. ქალაქში, სადაც ათასი ჯურის ხალხი ირევა, ბევრი რამ შეუმჩნეველი რჩება, სოფელში ყველაფერი ჩანს და ამიტომ ყოველი ფაქტი – კარგიც და ცუდიც – უფრო სწრაფად და ძლიერად მოქმედებს მნახველ-გამგებზე.**

საშუალო სკოლა მე ნორიოში დავამთავრე და მახსოვს იმდროინდელი სკოლის ცხოვრება, დისციპლინა, ურთიერთობა მასწავლებლებთან, რომელთა სიტყვა და ავტორიტეტი შეუვალი და შეულახავი იყო და ამიტომ სწავლების დონეც (რა თქმა უნდა, იმ დროისათვის!) მაღალი და მყარი იყო. დღეს რა ხდება სკოლაში და რა სავალალო, დამამცირებელ მდგომარეობაშია მასწავლებელი, ყველას კარგად მოეხსენება, თუმცა ყურები გვაქვს გამოჭედილი „არაჩვეულებრივი წარმატებების“ ხოტბა-შესხმით. როდემდის? როდემდის დავმალავთ, რომ უკვე დიდი რაოდენობით მოდიან ათი-თხუთმეტი წლის მოზარდები, რომლებმაც ქართული წერა-კითხვა აღარ იციან? დიახ წერა-კითხვა. მაგრამ მიმხედველი ჯერ არა ჩანს.

**საეჭვო ექსპერიმენტები კი კინოკადრების სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს და ყოველი მათგანი თურმე „მსოფლიო მასშტაბის მიღწევაა“. აბა როგორ? ჩვენ ხომ ყველაფერში განსაკუთრებულები ვართ – აღარც განათლება გვინდა, აღარც შრომა, აღარც ეროვნება და აღარც... სამშობლო.**

**გიორგი წიბახაშვილი**

**მეცნიერება**

# შეფასება სამგვარ ჭრილში

**გაიმართა** **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სმეა) აკადემიური საბჭოს მორიგი სხდომა. ასეთ შეკრებებზე მეცნიერული მოხსენების მოსმენა უკვე ტრადიციადაა ქცეული. ამჯერად ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ლევან მახვილაძის ვრცელი, საფუძვლიანი, ეკრანზეც ილუსტრირებული გამოსვლა მიეძღვნა სამშენებლო მეცნიერების განვითარების პრიორიტეტებსა და ალმშენებლობის პროცესში პროგრესული ტექნოლოგიების როლს.**



აკადემიური საბჭოს დადგენილებით მოხსენება მოწონებულია და აქ წამოყენებულ საკითხებთან დაკავშირებით მთავრობაში წარსადგენი წინადადებების მომზადება აკადემიკოს მინდია სალუქვაძეს ეთხოვა (როგორც სმეა-ის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანს!).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე – „საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებების 2007 წლის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შესახებ“ ისაუბრა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ოთარ ნათიშვილმა.

ასეთი საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებს აკადემია იხილავს და აფასებს სმეა-ის შესახებ ქვეყნის კანონის შესაბამისად. შარშანდელი წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშები აკადემიამ გამოითხოვა საქართველოს 12 სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. შემოსული მასალა დარგების მიხედვით გადაეცა აკადემიის განყოფილებებს.

სულ შეფასდა უნივერსიტეტების, ინსტიტუტების, დეპარტამენტების, ცენტრების, ფაკულტეტების, კათედრების 110 სამეცნიერო ანგარიში, მათ შორის დადებითად – 94, უარყოფითად – 5; არასრულყოფილად წარმოდგენის მიზეზით საერთოდ ვერ შეფასდა 11.

განხილვა-შეფასებაში 72 ექსპერტი მონაწილეობდა, რომელთა რიცხვში აკადემიის 23 წევრი შევიდა.

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების გასული წლის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებები ცნობად იქნება მიღებული და შედეგები ეცნობება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს, თვით უნივერსიტეტებს, აგრეთვე მეცნიერების განვითარების ფონდებს.

სხდომაზე სმეა-ის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის დებულების დამტკიცების საკითხი გამოიტანა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დანართის სახით წარმოდგენილი დებულება.

მთავარი სამეცნიერო რედაქცია, დებულების მიხედვით, არის აკადემიის სპეციალური სამეცნიერო და სარედაქციო-საგამომცემლო სტრუქტურული ერთეული. მის დაფინანსებასა და შემოსავლებს განსაზღვრავს სმეა. რედაქცია უზრუნველყოფს ენციკლოპედიური და სამეცნიერო-ენციკლოპედიური ლიტერატურის მომზადებას ყოველწლიური გეგმების მიხედვით.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ დღის წესრიგის დამატებით ისაუბრა გამოჩენილი ასტროფიზიკოსის, აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დამაარსებლისა და ყოფილი დირექტორის, თსუ-ის ყოფილი რექტორის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის მზადების თაობაზე. იუბილე უახლოეს ხანში სამთავრობო დონეზე მოეწყობა.

**თამაზ ებანოიძე**

თემის გაგრძელება

# პრემიერ-ყოფილმა ენა ამოიდგა!

## ნოლაიძელმა ეკონომიკა თვითონ დაანგრია და ვიღას აბრალებს?

***საქართველომ ბოლო წლებში არაერთი პრემიერ-მინისტრი გამოიცვალა, მაგრამ ისეთი „ყრუმუნჯი“, როგორიც ზურაბ ნოლაიძელი გახლდათ, მეორე არავის ახსოვს. საოცრება მოხდა, კაცი, რომელიც თავის დროზე ტელეეკრანს და საჯარო გამოსვლებს მგელივით გაურბოდა, ახლა ერთბაშად ლაპარაკის ეშხზე მოვიდა, გაზეთებს ინტერვიუები ჩამოურიგა და ამჟამინდელ ხელისუფლებაზე გაილაშქრა. ერთი ასეთი ინტერვიუ ამას წინას „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ დაისტამბა, რამაც საზოგადეობის გარკვეული ნაწილის გაღიზიანება და აღშფოთება გამოიწვია. აღშფოთებულთაგან ერთ-ერთი — საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე — რედაქციაში გვეწვია და გულის ხვაშიადი გადაგვიშალა.***

— ყველაფერს აქვს საზღვარი, — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში, — მათ შორის ცინიზმსა და დაბოლებასაც. კაცს, რომელიც ფინანსთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის პოსტებზე ყოფნისას სისტემატურად ატყუებდა და აბოლებდა ქვეყანას, არა აქვს მორალური უფლება, ინტერვიუ მისცეს გაზეთს მასხარად აგვიგდოს და გვიმტკიცოს, მე ეკონომიკა ფეხზე დავაყენე, ავაყვავე და 170 ათასი ადამიანი დამატებით დავასაქმეო. ეს იმ დროს, როცა კონტროლის პალატის დასკვნაში ჩაწერილია, რომ 2002 წელთან შედარებით 2005 წელს, როცა ზურაბ ნოლაიძელი პრემიერ-მინისტრი იყო, საქართველოში უმუშევრობა 100 ათასი კაცით გაიზარდა (!).

**— ბატონო ანზორ, როგორ ფიქრობთ, ნოლაიძელი ამას იმიტომ ხომ არ აკეთებს, რომ პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს და პიარისთვის საკუთარი ნაღვაწის გაბუქვა სჭირდება?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ თუ მართლა აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას, მან უპირველეს ყოვლისა ბოდიში უნდა მოუხადოს მცირე მეწარმეებს, მისი ხელმძღვანელობით ქართულ მიწაზე ამ დარგის ძირფესვიანად ამოძირკვისათვის. ასევე ბოდიში უნდა მოუხადოს მთელ ქართველ ხალხს ამდენი ტყუილებისა და ეკონომიკის დაქცევისათვის, ცოტა მაინც მოინანიოს ცოდვები, ნამუსი გაიწმინდოს და მერე ისე დაბრუნდეს პოლიტიკაში. ისე, ურჩევნია, შეირგოს მუქთად ნაშოვნი შავი მილიონები და ერთსა და იმავე მდინარეში მესამედ აღარ შევიდეს.

**— ხომ არ დააკონკრეტებდით, რა შავ მილიონებზეა ლაპარაკი?**

— იმ შავ ფულზე მოგახსენებთ, ნოლაიძელის პერიოდში საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში ჩეჩქივით რომ კეთდებოდა და რომლებსაც მთელი 10 წლის განმავლობაში ერთპიროვნულად თავადვე აკონტროლებდა. აღნიშნული დეპარტამენტების ხელმძღვანელებად ნოლაიძელი პირადად ნიშნავდა თავის „ხელის ბიჭებს“, რომლებიც ყველა საქმეს უშუალოდ შეფთან შეთანხმებით აკეთებდნენ.

შავი ფულის კეთების მეორე უდიდესი წყარო იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელიც როგორც ამბობენ, საქართველოში „ატკატების“ გზით დიდ ფულს ათეთრებდა. არის საფუძვლიანი ეჭვები, რომ თემურ ბასილიასთან ერთად, რომელსაც დაუსწრებლად 9 წლით პატიმრობა მიესაჯა, ერთ-ერთი „ატკატჩიკი“ იყო ნოლაიძელიც, რომელიც 2003 წელს ქვეყნის ფინანსთა მინისტრად სწორედ სავალუტო ფონდმა დააბრუნა. აქ უნებლიედ მახსენდება პარლამენტის ყოფილი სპიკერის, აწ გარდაცვლილი ვახტანგ გოგუაძის ბრძნული სიტყვები: „კაცი იმაზე მეტ ფულს რომ იშოვის, ვიდრე ჭკუა აქვს, მაშინ იღუპებაო“. ეს ზუსტად ნოლაიძელზეა მორგებული. ამიტომ ვურჩევ, აღარ დაბრუნდეს პოლიტიკაში, რათა არ დაიღუპოს. ეყო, რაც 10 წლის მანძილზე ანგრევდა ქართულ ეკონომიკას. რაც დასანგრევი იყო, ყველაფრის დანგრევა მოასწრო და აწი რაღა უნდა, ვითომ თავიდან აპირებს ქვეყნის „აღმშენებლობას“?

**— ბატონო ანზორ, არ ვიცი რატომ, მაგრამ თქვენ ყოველთვის ძალზე რადიკალურად იყავით განწყობილი ზურაბ ნოლაიძელის პიროვნებისადმი, საჯარო გამოსვლებსა თუ ინტერვიუებში საქართველოს №1 მტრად მოიხსენიებდით პრემიერ-მინისტრს, რომელმაც დაანგრიაო ქვეყნის ეკონომიკა. ახლაც იმავეს იმეორებთ, თავად ნოლაიძელი კი დაბეჯითებით გვარწმუნებს — საქართველოში ეკონომიკა ფეხზე მე დავაყენეო. რომელს დავუჯეროთ? მაშინ ვილაპარაკოთ კონკრეტული ფაქტებით.**

— კი ბატონო, ვილაპარაკოთ. დავიწყოთ იმით, რომ დღეს მცირე მეწარმეებზე მოდის მსოფლიოს ეკონომიკის 80 და დასაქმების 90 პროცენტი. აქედან გამომდინარე, როცა შენ ანადგურებ მცირე მეწარმეობას, ესე იგი ანადგურებ ეკონომიკას და მართლაც ხარ ქვეყნის მტერი. ახლა კი მოვიშველიებ კონკრეტულ ფაქტებს იმის შესახებ, თუ როგორ გაანადგურა ნოლაიძელმა მცირე მეწარმეობა.

ზურაბ ნოლაიძელის ხელისუფლებაში მოსვლამდე თითქმის ყველა სამინისტროში არსებობდა მისი პროფილის შესაბამისი მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო სტრუქტურა, რომლებიც პრემიერყოფილმა ერთი ხელის მოსმით ერთიანად გაანადგურა. ამის შემდეგ მან გააუქმა ეკონომიკის სამინისტროში მოქმედი მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი დეპარტამენტი და „მეწარმეობის აღმშენებლობის“ პროცესი საბოლოოდ დაასრულა 2005 წელს, როცა გააუქმა პარლამენტის მიერ 1999 წელს მიღებული კანონის საფუძველზე შექმნილი „მცირე საწარმოთა ხელშეწყობისა და განვითარების ცენტრი“. ამ წარმოუდგენელი ვანდალობით ნოლაიძელმა საქართველო აქცია მსოფლიოში ერთადერთ ქვეყნად, სადაც არ არსებობს მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი რაიმე სახელმწიფო სტრუქტურა (!).

გარდა ამისა, ნოლაიძელი, როგორც სავალუტო ფონდის ყურმოჭრილი ყმა, უსიტყვოდ ასრულებდა მის დავალებებს, ქვეყნის დაკაბალებისა და ეკონომიკური ქაოსის დასამკვიდრებლად, რაც უპირველეს ყოვლისა აისახა უამრავ ცვლილებაშეტანილ საგადასახადო კოდექსში. ვიდრე ნოლაიძელი პოლიტიკაში დაბრუნდება მან აუცილებლად პასუხი უნდა გასცეს გოგი თოფაძის მიერ 12 წლის წინათ დასმულ შეკითხვას: „ერთი ქვეყანა მაინც მაჩვენეთ, სადაც სავალუტო ფონდი შევიდა და ამ ქვეყანას რაიმე ეშველაო“. 12 წელიწადზე მეტია ნოლაიძელი ეძებს ასეთ ქვეყანას და ვერ პოულობს. ვერც იპოვის, რადგან ასეთი ქვეყანა მსოფლიოში რეალურად არ არსებობს.

**— საინტერესოა, კონკრეტულად მაინც რას უწუნებთ ნოლაიძელის ავტორობით მიღებულ საგადასახადო კოდექსებს?**

— ამ სამიოდე წლის წინათ ერთი ჭკვიანი კაცი წერდა: კარგი საგადასახადო კოდექსის მიღება ერთი სამამულო ომის მოგების ტოლფასიაო. აქედან გამომდინარე, ნოლაიძელმა ორი სამამულო ომი უკვე წაგვაგებინა და მესამესთვის ემზადება. აქ მე არ შევუდგები ნოლაიძელის მიერ ქვეყნის დამაქცევარი საგადასახადო კოდექსების ვრცელ კრიტიკას (ამას უამრავი პრესკონფერენცია და საგაზეთო სტატია მივუძღვენით), შევჩერდები მხოლოდ ერთ გადასახადზე, რომელიც ნოლაიძელმა კოდექსში 1997 წელს სავალუტო ფონდის დავალებით შეიტანა და დატოვა 2004 წლის საგადასახადო კოდექსშიც. ეს არის 20-პროცენტიანი, შემდეგ კი 18-პროცენტიანი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც არის მომხმარებლის, ანუ მოსახლეობის გადასახადი. **იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა არის კატასტროფულად დაბალი, დღგ საერთოდ არ უნდა შემოეღოთ, ან ის უნდა ყოფილიყო მაქსიმუმ 5 პროცენტი. ამ უზარმაზარი საგადასახადო ტვირთის შემოღებიდან იწყება ქართული ეკონომიკის ნგრევა, რადგან დაინგრა მცირე მეწარმეობა, ადგილობრივი მრეწველობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელმაც თავის მხრივ დაანგრია მთელი სოფლის მეურნეობა. ეს გააკეთა სავალუტო ფონდმა ნოლაიძელის შესრულებით, რათა საქართველოში იმპორტი მაქსიმალურად გაზრდილიყო. ექსპორტ-იმპორტის ბალანსით დღეს რომ მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ, ეს სწორედ სავალუტო ფონდისა და ნოლაიძელის დამსახურებაა.**

და კიდევ, დღეს მსოფლიოში მცირე მეწარმეობა თითქმის ყველგან იბეგრება ფიქსირებული გადასახადებით. ნოლაიძელმა კი, ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ოფიციალურად განაცხადა, ვიდრე მე ვარ ხელისუფლებაში, საქართველოში ფიქსირებული გადასახადები არ იქნებაო. თქვა და შეასრულა კიდეც, რითაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ქვეყანაში მცირე მეწარმეობის არსებობას.

საქართველოს ეკონომიკას საბოლოოდ მოუთავა ხელი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ მოწონებულმა, 2004 წელს მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა, რომელიც 2005 წლიდან შევიდა მოქმედებაში და ქვეყანაში ეკონომიკის ნგრევის პარალელურად არნახულად გაზარდა კორუფცია და ჩრდილოვანი ეკონომიკა, 2006 წლის მაისში კონტროლის პალატამ პარლამენტში გამართულ პლენარულ მოსმენაზე საშინელი ციფრები დაალაგა: კერძოდ, ითქვა, რომ 2005 წელს საშუალოდ ერთ დღე-ღამეში ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებულია 57 გრამი პური და 2 გრამი კარაქი, საერთოდ არ მოუხმარიათ მთელი წლის განმავლობაში ჩაი და მინერალური წყლები, 970 საწარმოსა და ფერმის საშუალო სადღეღამისო ბრუნვამ შეადგინა 0,7 ლარი, 1117-სამ — 2,4 ლარი, 3889-სამ — 4,4 ლარი, საგადასახადო ტვირთი გაიზარდა 8 პროცენტით (გვპირდებოდნენ კი, რომ ახალი კოდექსი ამ ტვირთს 2-ჯერ შეამცირებდა), ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები შემცირდა 20 პროცენტით, ხოლო 2002 წელთან შედარებით, უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 100 ათასით!

აი, რა ეკონომიკური ნგრევა, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის რა არნახული აყვავება მოუტანა ქვეყანას ნოლაიძელის და სავალუტო ფონდის ნაქებმა საგადასახადო კოდექსმა თავის მოქმედების პირველსავე წელს. და ეს ნგრევა გრძელდება დღესაც, რამეთუ ამ კოდექსში სასიკეთოდ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. მე თქვენ გეკითხებით, ეს არის ეკონომიკის ფეხზე დაყენება, რომლითაც ასე გვეტრაბახება ნოლაიძელი თავის ინტერვიუში?

**— და მაინც, ნოლაიძელმა თუ არ დაიზარა და პოლიტიკაში დაბრუნდა, მის უკვე „გათეთრებულ“ შავ მილიონებს რას დაუპირისპირებთ?**

— ათი წელიწადია თავისუფალ მეწარმეთა ასოციაცია თავდაუზოგავად იბრძვის საქართველოში ღირსეული და თავისუფალი მცირე მეწარმეობის დამკვიდრებისთვის, მაგრამ ნოლაიძელის მსგავს ქვეყნის დამაქცევართა წყალობით, ჯერჯერობით უშედეგოდ, ვფიქრობთ, რომ არასამთავრობო პოზიციებიდან უკვე ამოვწურეთ ჩვენი შესაძლებლობები და დროა გარდავიქმნათ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც გვერდით დაიყენებს მცირე მეწარმეობისა და დაზარალებული მეანაბრეების მილიონზე მეტ ელექტორატს, რათა არ დავუშვათ მეწარმეობის №1 მტრის ზურაბ ნოლაიძელის ხელისუფლებაში „ნარნარი“ დაბრუნება.

**— დაზარალებული მეწარმეები რა შუაში არიან?**

— ჩვენ დავამუშავეთ დაზარალებული მეანაბრეების რენტაბელურად მომუშავე, მცირე მეწარმეებად გარდაქმნისა და ამ გზით ზარალის ანაზღაურების ძალზე საინტერესო კონცეფცია, რომელიც ჩვენი პარტიის ძირითადი პროგრამა იქნება. ვფიქრობ, ამ პროგრამის სარეალიზაციოდ ასიათასობით დაზარალებული მეანაბრე და მცირე მეწარმე დაგვიდგება გვერდით. თუმცა სჯობს ამის თაობაზე უფრო კონკრეტულად სხვა დროს ვისაუბროთ.

**ესაუბრა**
**ოთარ ხუციშვილი**





## მოგითხრობთ შედევრებზე

**დიდ მოხუცს ეძახდნენ რემბრანდტს ჰოლანდიელი და ფრანგი მხატვრები. თავისი უფროსი ძმის — ტეოსადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ფერწერის ჯადოქარი ვან-გოგი წერდა: — ბედნიერია ის მხატვარი, ვინც მოხუცივით ფლობს პალიტრას და ყალამს, მაგრამ... რემბრანდტივით ფუნჯის, პალიტრის და ტილოს დამმორჩილებელი საუკუნეებში მხოლოდ ერთი ან ორი თუ იბადება.**

ამ გენიოსი მხატვრის საგამოფენო დარბაზში შესვლისთანავე უსასრულობისკენ გიზიდავს საერთო ოქროსფერი ფერწერის ფენომენი, მისი უხილავი მიზიდულობა და იმ წუთიდან ირეალურ სამყაროში გრძნობ თავს. უმალ შენში სულიერი გარდაქმნა ხდება, რომელიც სევდანარევ მისტიკურ განწყობილებას ბადებს. შემდგომ, სიახლესთან ერთად, ზეციურად ჩემთვის უახლოესი ადამიანის, დედის პორტრეტი, მაგრამ ისე კი არა, როგორც ეს დახატა რემბრანდტმა, არა, ამას ვინ გაბედავს, ანდა საჭიროა კი?

ერმიტაჟის მშვენება, „მოხუცი ქალის პორტრეტი“, არც ისე დიდი ზომისაა. მისი საერთო კოლორიტი უმდიდრესი ტონალობის ყავისფერებში გახლავთ, ოქროსფერისკენ გადახრილი.



ტონალობა თითქმის ენათესავება ურთიერთს. სახე რომ არა, ხელებსაც შეუძლიათ იმავე პიროვნების განწყობილების და ფსიქოლოგიური ხასიათის გადმოცემა.

ერთ-ერთი ურთულესი პრობლემათაგანია ამ პორტრეტზე მსჯელობა და საუბარი, მაგრამ მისგან მოჯადოებულს მაინც გინდა ილაპარაკო. ზოგჯერ კი დგახარ გარინდული იმ საოცარი ხელოვნების მაგიის წინაშე, რომელშიაც გენიის უხილავი ფენომენია ჩაქსოვილი... ამ შემთხვევაში, მე ვცდილობ შეძლებისამებრ გამოვხატო ის რემბრანდტი, რომელიც პირადად აღვიქვი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ სურათის წინაშე გაორდები ხოლმე ადამიანი... მე იგი დავინახე მთელი მისი მხატვრული სიდიადით. მეორე — ვიგრძენი საკუთარი უმწეობა დანახულის სიტყვიერად გამოხატვისა. ჩემი აზრით, ვინც ამ პორტრეტს გააანალიზებს და ფსიქოლოგიურად ჩაწვდება რა მხატვრულ დონეზედაცაა შესრულებული, დარწმუნებული ვარ, მეტი თუ არა, თავისი პიროვნული ღირსებით მიუახლოვდება ავტორს.

# რემბრანდტ ვან რეინი

„მოხუცი ქალის პორტრეტი“ (ტილო, ზეთი)



როგორც ზოგიერთ კლასიკოსთა შედევრში, ასევე ამ პორტრეტშიც მუქის და ნათელის ჯადოსნური კონტრასტია გადმოცემული. სურათის ფონი თითქოს წყნარი, დადუმებული ოკეანეა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამჩნევთ მის შინაგან დაძაბულობას და უხილავ უსასრულობათა მოძრაობას.

პორტრეტის თავსაბურავი საკმაოდ მუქი, მსუყე ფერებითაა გამოსახული. სახის ნათელ ტონებში ერთობ გაბედული კონტრასტია, პორტრეტში ყველაზე მეტად გულმკერდის რიდეა განათებული და საერთო ლაქების შეუდარებელი რემბრანდტისეული მრავალფეროვანი ტონალობის სიმთლიანეა მიღწეული. ამ პორტრეტის მნახველი უსათუოდ გაიფიქრებს: რემბრანდტი, როცა ამ სურათს ქმნიდა, ძუძლომს ჰგავდა, რომელიც დამშეულია და ახალ სისხლიან ნადავლს ბრდღვნის... (ეს სიტყვებიც, ნაწილობრივ, ვან-გოგს ეკუთვნის.)

სურათზე გამოხატული მოხუცი ქალის დაღლილი სახე დაახლოებით ასე წარმოგვიდგება: თითქოს ესესაა დიასახლისი საქმეს მორჩა და წუთით ჩამოჯდა, თან წარსულ წლებზე ჩაფიქრებულა, რომლებიც უდიდესი სიმძიმით დასწოლია ხანდაზმულ მხრებზე... შემოგვცქერის მისი მეტყველი სახე სურათის სიღრმიდან, კეთილი ახლობლის მშობლიური და ალერსიანი თვალებით, რომელიც მხატვრისგან სამყაროში მარადიულ მზერად გარდასახულა...

პორტრეტის სახის ტონი და ხელის მტევნების ფერთა ამაღლებას გრძნობ სულიერსა და ზეადამიანურს.

გაოცებულნი ვართ მხატვრის საკვირველი ტექნიკით და ტილოზე ფუნჯის ჯადოსნური მოხატვით, რადგანაც ყალმის ყოველი მონასმი ბუნებრივივით ცოცხალია, ღრმაა თავისი მხატვრულ-ფერწერული მნიშვნელობით და ცხოვრებისეული შინაარსით. ბუნების მშვენიერების კონკრეტულობამდე დაყვანა, სილამაზის ღრმა და ჭეშმარიტი წვდომა, დრამის და ლირიზმის ზომიერება, ფერის, გემოვნების და ხაზის სინატიფე, სურათის უსასრულოდ ღრმა განწყობილება, აი რა გვაღელვებს ჩვენ და აღგვაფრთოვანებს. ყოველივე ეს მორთმეულია ფერწერის გენიის უტყუარი თვალით, გუმანით თუ ინტუიციით.

რემბრანდტის ქმნილების წინ უსაზღვრო, ახალთახალი სურვილები გიპყრობს და ზეადამიანურ გრძნობამდე აჰყავხარ. „მოხუცი ქალის პორტრეტი“ პირადად მე კონკრეტულ პიროვნებას მაგონებს, ვუმზერ სურათს დიდხანს და მერმე სურვილი მებადება, როგორც მხატვარმა, მეც შევქმნა ამდაგვარი.

მოგეხსენებათ, რომ შედევრებს ყველა როდი აღიქვამს ერთნაირად. ფერწერული სურათი მაშინ იწყებს მეორედ დაბადებას და სიცოცხლეს, როდესაც მის წინ გამოჩნდება ჭეშმარიტი, გამგები და დამფასებელი მაყურებელი.

განუმეორებელი ჰოლანდიელი მხატვრის რემბრანდტის ტილოებში ჩანს ავტორის საშემსრულებლო უმაღლესი ტექნიკა და მხატვრის სულის დაუოკებელი სწრაფვა ადამიანის მღელვარების მწვერვალამდე ასვლისა... მთლიანობაში ფერთა სიძუნწეა ამ პორტრეტში, მაგრამ ნახევარტონების და ტონების შედუღაბების ფანტასტიკური ჰარმონიაა მიღწეული.

სურათში უძლიერესი დინამიკით დომინირებს ფორმის და ხაზის ერთიანობა. მე მჯერა, რომ რემბრანდტი რუდუნებითა და უბადლო ოსტატობით ქმნიდა ამ სურათს, ჩვენ კი დაგვიტოვა მარადიულ სილამაზედ ქცეული უნიკალური შემოქმედებითი ფერწერის ნაყოფი, რომელიც კოსმიურად — სამუდამოდ მოსწყდა რემბრანდტის ზეადამიანურ სულს. რა გამოლევს სალაპარაკოს ფერწერის ამ უძველეს ჯადოქარზე? დიდი ხანია, მან თავისი შედევრებით დააჯერა ყველა, რომ იგი ფერწერისა და არნახული კოლორიტის შეუდარებელი დიდოსტატია და მხოლოდ ერთადერთი მაესტროა ფერწერის სივრცეში, თავისი დამოუკიდებელი, ინდივიდუალური და მარად განუმეორებელი გენიით...

**რევაზ ადამია,**
**სახალხო მხატვარი**

## ჯანმრთელობა და მედიცინა

### რით გარდაიცვალა შოპენი?



**პოლონელი** მეცნიერები ცდილობენ მოიპოვონ ნებართვა ფრედერიკ შოპენის გულის ქსოვილების გამოკვლევაზე. მისი გული ამჟამად ინახება ვარშავის ეკლესიაში. გენეტიკური ანალიზი დაეხმარება მეცნიერებს, დააზუსტონ დიდი კომპოზიტორის გარდაცვალების მიზეზი: ბევრი მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ის იტანჯებოდა მძიმე მემკვიდრეობითი დაავადებით — მუკოვისციდოზით. ექიმები, რომლებიც მკურნალობდნენ კომპოზიტორს სიცოცხლეში, დარწმუნებული იყვნენ, რომ ის ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მაგრამ პოლონელი მეცნიერი ვოიცეხ ციში მიიჩნევს უფრო საალბათო დიაგნოზს — მუკოვისციდოზს. შოპენი დაბადებიდანვე გამოირჩეოდა სუსტი ჯანმრთელობით და ხშირად ავადმყოფობდა. მისი სიმაღლე იყო 170 სანტიმეტრი, მაგრამ იწონიდა სულ რაღაც 40 კილოგრამს. ამას გარდა, მიუხედავად მრავალრიცხოვანი ვნებიანი რომანებისა, მაგალითად, ხანგრძლივი გატაცება ფრანგი მწერლის ჟორჟ სანდით, შოპენს შვილები არ ჰყოლია, რაც გვაფიქრებინებს უნაყოფობაზე.

ფილტვების დაზიანება, დაბალი წონა და მამაკაცური უნაყოფობა — მუკოვისციდოზის დამახასიათებელი ნიშნებია, მიაჩნია დოქტორ ციშის.

### ბრიტანელები სიგარეტს დაემშვიდობნენ



**სულ** ცოტა 400 ათასმა ბრიტანელმა თავი დაანება მოწევას მას შემდეგ, რაც 2007 წლის 1 ივლისს ბრიტანეთში აკრძალეს თამბაქოს მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში. ჯარიმა საზოგადოებრივ ადგილებში მოწევისათვის შეადგენდა 200 გირვანქა სტერლინგამდე.

მიუხედავად მაღალი ჯარიმისა, დიდი ბრიტანეთის ყველა მცხოვრებს როდი შეეძლო თავი დაენებებინა მავნე ჩვევისათვის თავისი ძალებით. კანონმდებლობის გამკაცრების შემდეგ ბევრმა მწეველმა მიმართა დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სამსახურს დახმარებისთვის. 2007 წლის 1 ივლისიდან უწყების სპეციალისტები დაეხმარნენ 234 ათას ბრიტანელს, თავი დაენებებინათ მოწევისათვის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საზოგადოებრივ ადგილებში მოწევის აკრძალვის წყალობით უახლოესი 10 წლის განმავლობაში 40 ათასი კაცი გადარჩება სიკვდილს.

იქნებ, ჩვენც მიგვებაძა დიდი ბრიტანელებისთვის?! არადა, ამ დღეებში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში მარტო ქალებში მწეველთა რიცხვი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ხუთჯერ გაიზარდა.

### წნევა — კონტროლზე

**ეკატერინბურგში** მედიკოსებმა მოაწყვეს არტერიული წნევის გაზომვის პროფილაქტიკური აქცია.

ექიმებმა წნევა გაუსინჯეს ოფისების მუშაკებს. კლერკებს უამბეს იმის შესახებ, თუ როგორ შეენარჩუნებინათ სამომავლოდ ჯანსაღად გული და სისხლძარღვები. არტერიული ჰიპერტონია სერიოზული პრობლემაა საზოგადოებისთვის. ამ ფაქტორის გავლენას ტვინისა და გულის დაავადებათა განვითარებაზე ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთო, აღინიშნავენ მედიკოსები.

### შეუმჩნეველი ინსულტი

**ამერიკელმა** მეცნიერებმა მოაწყვეს გამოკვლევა, რომლის დროსაც მოხალისეთა ჯგუფს გაუკეთეს ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული სკანირება. ექსპერიმენტის შედეგად გამოირკვა, რომ ადამიანთა დაახლოებით 10 პროცენტმა გადაიტანა მიკრო ინსულტი ისე, რომ ამის შესახებ არც გაუგიათ. მიკროინსულტი — ესაა ინსულტი უმნიშვნელო ზომის დაზიანების კერით. მიკროინსულტის დროს ტვინის ქსოვილის დაღუპვის კერა მცირეა და გარშემო მყოფი ქსოვილების სისხლის მიმოქცევა აღდგება. ამ მიზეზით ბევრმა შეიძლება ვერც იგრძნოს ცვლილებები, იტყობინებიან სპეციალისტები. მაგრამ ეს ხელს უწყობს მომავალში ინსულტისა და მეხსიერების დარღვევის განმეორების შემთხვევებს. ყველაზე ხშირად 65 წლისა და მეტი ასაკის ადამიანებს, მათ, ვინც გადალახა ეს ასაკობრივი ზღვარი, ექიმები ურჩევენ დროდადრო გაიარონ ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევები, მაშინაც, თუ ამ დაავადების ნიშნები არ არსებობს.

### ქირურგია ინდურად

**ინდიელი** აცტეკები იყვნენ პირველი ტრავმატოლოგები ძველ მექსიკაში, ამტკიცებს ისტორიკოსი ხოსე ლუის გომეს დე ლარა. აცტეკებს ეს სამედიცინო ჩვევები განუვითარდათ იმის გამო, რომ ისინი პრაქტიკულად მუდმივად იმყოფებოდნენ ომის მდგომარეობაში მეზობელ ინდიელ ხალხებთან. ბრძოლებში მეომრები ხშირად ღებულობდნენ მოტეხილობებს, თავის ქალისა და ტვინის ტრავმებს. ამ ბოლო შემთხვევების დროს თავის ქალაზე ადებდნენ „საკერებლებს“, რომელიც შედგებოდა თხელი ძვლისაგან, კაქტუსის წვენის, კვერცხისა და სამკურნალო ბალახებისაგან. ასეთ ოპერაციას უკეთებდნენ ახალი სამყაროს მკვიდრ მოსახლეობას, ესპანელ დამპყრობლებსაც კი, მათ შორის წინამძღოლ ერნან კორტესს. მკურნალობა ისეთი ეფექტიანი იყო, რომ კონკისტადორმა ერთ-ერთი წერილით მიმართა ესპანეთის მეფეს თხოვნით გაეგზავნა მისთვის კათოლიკე მღვდლები, მაგრამ არა მედიკოსები, ვინაიდან ექსპედიციებში მას თან ახლდნენ ირლანდიელი ექიმბაშები.

### როცა ფიზკულტურა საზიანოა

**არარეგულარული** ფიზიკური ვარჯიშები საზიანოა ფიგურისათვის. ჯობია, საერთოდ არ ეწეოდე ფიზკულტურას, ვიდრე დროდადრო, მიაჩნიათ ამერიკელ მკვლევარებს. ამერიკელმა დიეტოლოგებმა გამოიკვლიეს, რომ ის ადამიანები, ვინც ინტენსიურად დარბოდნენ, შემდეგ კი მოულოდნელად შეწყვიტეს სხეულის ვარჯიში, სწრაფად სუქდებოდნენ. მკვლევართა სიტყვებით, „დამსვენებელი“ ფიზკულტურელების წონა ოთხჯერ მეტი ხდებოდა, ვიდრე ფიზკულტურული ვარჯიშების დაწყებამდე იყო, და, ამრიგად ვერაფრით ვერ იუმჯობესებდნენ ჯანმრთელობას. ამას გარდა, ასეთი ზედმეტი წონისაგან გათავისუფლება მომავალში გაცილებით ძნელია. ეფექტიანი გახდომისათვის საჭიროა ვიყოთ ფიზიკურად აქტიური მთელი წლისა და მრავალი წლის განმავლობაში, უარი ვთქვათ სეზონურ „შესვენებებზე“, როგორც, მაგალითად, შვებულებების დროს, გამოსასვლელ დღეებში ან ზამთრის პერიოდში.



## დემოგრაფიული ზამთარი

***საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ან ხელისუფლება-ოპოზიციაზე წერა, შეიძლება, უფრო აქტუალურად გვეჩვენებოდეს დღეს, მაგრამ საქართველოს, როგორც ქართველთა სახელმწიფოს შენარჩუნების ყოველგვარი იმედი გადაგვეწურება თუ დროზე(!) არ მივხედეთ ქართულ ოჯახს. დროზე, რადგანაც ყველა პრობლემის დაძლევაა შესაძლებელი, გარდა დემოგრაფიულისა, მას თაობები სჭირდება. ამიტომაც ყველაფერზე წინ ქართველი ერის გამრავლების პრობლემა უნდა დავაყენოთ და ქართულ ოჯახზე ზრუნვა დღესვე უნდა დავიწყოთ. ხვალ, არათუ გვიან, ძალიან გვიან იქნება!***

# ქართული ოჯახის გასაჭირი



სულ რაღაც ერთი საუკუნის წინათ სამხრეთ კავკასიაში ქართველები დომინირებდნენ და რაოდენობითაც აღემატებოდნენ აზერბაიჯანელებს და სომხებს. ამჟამად კი, პოზიციებს ვინ ჩივის, მოსახლეობითაც დავკნინდით... პოლიტიკური და სოციალური უსამართლობით განპირობებულმა საქართველოს ისტორიაშიართქმული მასშტაბის (მოსახლეობის ერთ მეხუთედზე მეტის) ემიგრაციამ (ბოლო 16 წლის განმავლობაში) და შობადობის მკვეთრმა შემცირებამ გადაშენების პირამდე მიგვიყვანა. უბედურება ის არის, რომ არც ემიგრაციას უჩანს ბოლო და არც გამრავლებას – კეთილი პირი. არაფრისმთქმელი მოწოდებები კი გაისმის, მაგრამ ვინც ვალდებულია სასწრაფო ზომები მიიღოს, ანუ ხელისუფლება, ყურს არ იბერტყავს და თავი ყურთბალიშზე აქვს მშვიდად მიდებული.

უკიდურეს გაჭირვებასთან და ხვალინდელი დღის იმედის არქონით გამოწვეულ ნიჰილიზმთან ერთად, არგამრავლების მიზეზი ხელისუფლების ის გაუცნობიერებელი პოლიტიკაა, რასაც ქართველი კაცის არაეროვნული სულისკვეთებით, დასავლურ ყაიდაზე აღზრდა ჰქვია – როცა მშობლიური ენის და საკუთარი ისტორიის უკანა პლანზე გადაწევით უცხო ენების და ზნე-ჩვეულებების დამკვიდრებას ეწყობა ხელი, როცა ტელევიზიით და „მხატვრული" ფილმების მეშვეობით გარყვნილების (დასავლურად, „სექსუალური თავისუფლების") და პედერასტიის (დასავლურად, „სექსუალური ორიენტაციის") რეკლამირება ხდება, როცა შავი ჭირივით მოდებულ ნარკომანიას ფიქტიურად ებრძვიან, ხოლო ქრისტიანობას – რეალურად!

**გამრავლება ჩვენი თვითმიზანი არ არის, იგი გვესაჭიროება როგორც ჩვენი ეთნოსის, ენის, თვითმყოფადობის, სარწმუნოების და, რაც მთავარია, როგორც მიწა-წყლის შესანარჩუნებელი გადამწყვეტი სასიცოცხლო ძალა!** ეთნიკური უმცირესობანი, სწრაფი გამრავლების ტენდენციით, დაკავებული ტერიტორიების თანდათანობითი, ლაქასავით გაზრდით ქართული მიწების ფაქტიური მფლობელები ხდებიან. ერთ, მათთვის მშვენიერ დღეს კი იურიდიულადაც გადაიფორმებენ. ამ პრინციპზე დამყარებული გეგმა ჯერ კიდევ რუსეთის რევოლუციამდე ჰქონდათ სომხებს, რომლებიც სამხრეთ კავკასიის დაყოფას ეთნიკური პრინციპით მოითხოვდნენ, ანუ რომელ მიწაზედაც ვცხოვრობთ, ის მიწები სომხეთს უნდა მიეკუთვნოსო. ისტორიული ფაქტები და ძეგლები ქართველებმა, თქვენთვის, მაგრად შეინახეთო! ასე იყო 100 წლის წინათ, როცა ქართველები სომხებს და აზერბაიჯანელებს ლამის ერთად აღებულს ვჭარბობდით, და დღეს, ჩვენი სიმცირიდან გამომდინარე, ეს საშიშროება ხომ გაცილებით დიდია!..

სწორედ ამგვარი საშიშროების თავიდან ასაცილებლად – მიწა-წყლის შესანარჩუნებლადაა აუცილებელი ჩვენი გამრავლება. და ამ მიზნის მისაღწევად შემოვდივარ წინადადებით: **ქართული ოჯახების გამრავლების წასახალისებლად დაწესდეს ყოველთვიური დახმარება-ჯამაგირი, და მის უზრუნველსაყოფად შეიქმნას სპეციალური საქველმოქმედო ფონდი.**

ქველმოქმედება ქველმოქმედებად, მაგრამ ასევე აუცილებელი გახდება გარკვეული თანხების მოძიება სახელმწიფოს მიერაც, რაც ჩვენისთანა გაჭირვებული ქვეყნისთვის, ერთის შეხედვით, არც ისე ადვილი უნდა იყოს, მაგრამ არა შეუძლებელი. ამისთვის **საჭიროა საბჭოური გადმონაშთი საგანმანათლებლო პოლიტიკის შეცვლა – ეროვნულ უმცირესობათა სკოლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შეწყვეტა.** ეს მავნე და ჩვენთვის საზიანო თითქმის 90-წლიანი ტრადიცია უნდა დასრულდეს. ამით ორ პრობლემას გადავწყვეტთ ერთდროულად – მატერიალურს და პოლიტიკურსაც.

იმ შემთხვევაში, როცა ეროვნულ უმცირესობებს არასახელმწიფო ენაზე სურთ სწავლა – მშობლიურზე ან ნებისმიერ სხვაზე, მაშინ, კეთილი ინებონ და ხარჯები თავად გაიღონ. ეს ეხება ყველა ეროვნების ადამიანს ქართველების ჩათვლით. სხვანაირი პოლიტიკით, ახლა თუ განათლების ბიუჯეტის ლამის ერთი მესამედი ეთნიკური უმცირესობების ენაზე სწავლა-განათლებისთვის იხარჯება, ახლო მომავალში, მათი გამრავლების ტემპებიდან გამომდინარე, ნახევარზე მეტი გახდება დასახარჯი.

დასავლეთის დემოკრატიულად წოდებულ ქვეყნებში ანალოგიურ ხარჯებს ხომ ეროვნულ უმცირესობათა სათვისტომოები იღებენ თავის თავზე და ამაში უცნაურს და, მით უფრო, დისკრიმინაციულს, ვერავინ ვერაფერს ხედავს. ჩვენ უნდა მივხედოთ საინგილოს ქართულ სკოლებს და არა აზერბაიჯანელებმა; ასევე სომხებმა და სომხეთმა უნდა მიხედოს სომხურ სკოლებს საქართველოში (სხვაგანაც), აზერბაიჯანელებმა და აზერბაიჯანმა – აზერბაიჯანულს, რუსეთმა – რუსულს და ა.შ. მხოლოდ სახელმწიფო ენის შემსწავლელთა კურსები უნდა იყოს უფასო, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული.

ჩვენ რომ ვაფინანსებდით და ახლაც ვაფინანსებთ სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებს, იმიტომაა ორი ღერი ქართული რომ არ იციან დღეს სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლშიც. არც ერთი ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა, ქართველის ჩათვლით, ვინც სახელმწიფო ენას არ ფლობს, არ უნდა დაინიშნოს არც ერთ თანამდებობაზე – არც მაღალზე და არც ადგილობრივი მნიშვნელობისაზე. ამაში ახალი არაფერია, ეს ხომ მთელ მსოფლიოში მიღებული წესია! თუ ეს ღონისძიებები არ განხორციელდა, არაფერი არ გამოგვივა – „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეთი" ქართულს არავინ ისწავლის. თუკი სომხურით და რუსულით გაიტანენ თავს (და თავისას!) საქართველოში, ქართულის სწავლით რატომ შეწუხდებიან?

უნდა ვიმოქმედოთ ზუსტად დასავლეთის სახელმწიფოების ანალოგიურად.

რატომ უნდა დაფინანსდეს მაგალითად, სომხური სკოლები ჩვენს მიერ (თანაც ერთი-ორი კი არა, 170!), როცა ამ სკოლებში ბავშვებს საქართველოს და ქართველების სიყვარულს კი არ უნერგავენ, არამედ, პირიქით, სომეხი „მეცნიერების", „პოლიტოლოგების" თუ სხვათა მონაჩმახ ანტიქართულ აგიტაციას ეწევიან – საქართველოს და ქართველების შეურაცხმყოფელ სტატიებს ავრცელებენ, ჩასჩიჩინებენ, რომ ჯავახეთი ჯავახკია, სომხეთის ისტორიული ტერიტორია და ის მეორე ყარაბაღი შეიძლება გახდეს; ქართულ ეკლესიებთან ერთად „ვეფხისტყაოსანს" და „სულიკო-ჩაკრულოსაც" იჩემებენ; ქართველ თავად-აზნაურთა გვარებს, სამეფო კარს სომხურად აცხადებენ და ისეთ რუკებს უშვებენ, სადაც ნახევარი საქართველო სომხეთადაა მიჩნეული. ჯავახეთის სომხეთთან მიერთებაზე, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე ლაპარაკი (თანაც, ყველა დონეზე), ომისკენ პირდაპირი მოწოდება არ არის? ასეთი შიზოიდური, „დიდი სომხეთის" შექმნის მანიით შეპყრობილი ხალხის იდეების გავრცელება-სწავლაში უნდა ვიხადოთ ფული? ამისთვის ხომ სხვა ქვეყნებში საკადრის „დახმარებას" მიიღებდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები ვართ, თანაც ბოლო პერიოდში „დემოკრატიული ლიბერალიზმის" ძუძუნაწოვები, და თუ ბიუჯეტიდან არ დავაფინანსეთ არაქართული სკოლები, „რას იტყვის ხალხი!", ხომ მოგვეჭრა თავი.

გამრავლების ხელშესაწყობად და ეფექტური შედეგის მისაღებად ქართული ოჯახების დახმარება უნდა იყოს არსებითი და პროგრესული, ვრცელდებოდეს ხუთ ბავშვზე და გრძელდებოდეს 16 წლამდე (ან 14 წლამდე მაინც). ეს დახმარება, პენსიების ზრდასავით თვალებში ნაცრის შეყრა რომ არ გამოვიდეს (ვგულისხმობ 2004-2008 წლებში პენსიების არნახულად დიდ, ოთხჯერად(!) ზრდას, რომელსაც არსებითი ზეგავლენა პენსიონერების მდგომარეობაზე მაინც არ მოუხდენია – პროდუქტებზე და საერთოდ ყველაფერზე, ფასების შესაბამისი ზრდის გამო), ამოსავალი წერტილი ლარის ან დოლარის რაღაც რაოდენობა კი არ უნდა იყოს, არამედ – მინიმალური ხელფასი, გაანგარიშებული ყოველწლიურად, საარსებო მინიმალური კალათის ბაზაზე. **ყოველთვიური დახმარება, დაწყებული მეორე ბავშვიდან, უნდა შეადგენდეს მინიმალური ხელფასის 1/4-ს, ნახევარს – სამ ბავშვზე, 3/4-ს – ოთხზე და ერთს – ხუთზე; მეექვსე ბავშვიდან – მხოლოდ ერთჯერადი დახმარება ერთი მინიმალური ხელფასის ოდენობით თითოეულ ბავშვზე.** დახმარება უნდა გავრცელდეს ყველა ოჯახზე, რომლის შემოსავალიც ხუთ (ან ოთხ) მინიმალურ ხელფასს არ აღემატება. დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ეს პროგრამა უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ქართველთა ხვედრითი წილი საქართველოს მთელი მოსახლეობის 85 %-ს არ მიაღწევს, საერთო რაოდენობა კი – ხუთ-ექვს მილიონს. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთ ფონდში ისე სიამოვნებით არ ჩადებს ქართველი კაცი ფულს, როგორც ამ ფონდში. შეიძლება, ვინმეს ებევროს კიდეც ჩვენი შემოთავაზებული თანხა, მაგრამ **განა ხუთი შვილის გამზრდელი დედა ერთი მინიმალური ხელფასის ღირსი არ არის?** მინიმალური საარსებო პირობების შექმნასთან ერთად საჭიროა მისაბაძი მაგალითიც – ცნობილმა და პოპულარულმა პიროვნებებმა სამი-ოთხი ბავშვი მაინც უნდა იყოლიონ, როგორც ეს გააკეთეს საფრანგეთში 40–50 წლის წინათ.

**დახმარება უნდა შეეხოს მხოლოდ საქართველოში მცხოვრებელ ქართულ ოჯახებს.** ქართულად უნდა ჩაითვალოს ის ოჯახიც, სადაც ერთ-ერთი მშობელი ქართველია. ჩვენი ამგვარი მიდგომა სრულებითაც არ ნიშნავს სხვათა დისკრიმინაციას. არც ერთი ეროვნული სახელმწიფო მკვიდრი ეთნოსის არამკვიდრი, მოსული ხალხით ჩანაცვლებისკენ არ ისწრაფვის. 150-მილიონიანმა რუსეთმაც კი დემოგრაფიული განგაშის ზარი შემოკრა და ჩვენ, ლამის გადაშენების პირას მყოფმა, სულ რაღაც 3-მილიონიანმა ერმა რატომ უნდა შევუწყოთ ხელი იმ ერის თუ ერების გამრავლებას, რომლებიც ჩვენ დაუხმარებლადაც მშვენივრად მრავლდებიან? და თან ქართული მიწების მიტაცება-გამოყოფის დაუფარავი სურვილები ამოძრავებთ? მათთვის გამრავლებაში დახმარების გაწევა ხომ საკუთარი ერისთვის უკვე დაწყებული საფლავის გათხრის დაჩქარება იქნება მხოლოდ!

**ვინაიდან დღეს გადაშენების რეალური საფრთხის წინაშე ვდგავართ, ამიტომ ქართველი ერის გამრავლების მიზნით აუცილებელია ქართული ოჯახებისთვის ყოველთვიური არსებითი მატერიალური დახმარების დაწესება, რისი უზრუნველყოფაც სპეციალური საქველმოქმედო ფონდის და სახელმწიფოს ბიუჯეტის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.** შესაბამისი სახსრები ბიუჯეტში გამონთავისუფლდება მას შემდეგ, რაც ხელისუფლება მიბაძავს დასავლეთის ქვეყნებს და უარს იტყვის არასახელმწიფო ენაზე მოქმედი ინსტიტუტების – სკოლების, მასმედიის, ტელევიზიის ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე (დემოგრაფიული სურათის გამოსწორება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში – ეს კიდევ სხვა თემაა, მაგრამ ამასაც მოევლება, თუ ქართული ოჯახი უპირველესი საზრუნავი გახდება ყველასთვის).

სახელმწიფოს პოლიტიკა – ზრუნვა თავის მოქალაქეებზე აბსოლუტურად ერთნაირი უნდა იყოს მკვიდრი ეთნოსის და არამკვიდრი ეროვნული უმცირესობის მიმართ, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა. ერთადერთი განსხვავება უნდა შეეხებოდეს მხოლოდ მკვიდრი ერის წინაშე მდგარ გამრავლების პრობლემას და სახელმწიფო ენის მიმართ დამოკიდებულებას. **მკვიდრი ერის გენოფონდზე ზრუნვა გამრავლების წახალისებით, სახელმწიფო ენის წინა პლანზე წამოწევასთან ერთად წარმოადგენს ქართული მიწის შენარჩუნების და, ასევე, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებელ პირობას!**

**იაკობ ლეჟავა**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XX ეროვნული ჩემპიონატის XI ტური.** ვიტ-ჯორჯია – ბორჯომი 4:1. **გოლები:** კვახაძე, კვარაცხელია, ლიპარტია, ბექვაია; ხორგუაშვილი. სიონი – მგლები 2:2. **გოლები:** იაშვილი, ჯიქია; რეხვიაშვილი, თოდუა. დინამო – გაგრა 3:0. **გოლები:** მერებაშვილი (2ძ, ვაწაძე. ზესტაფონი – ოლიმპი 0:1. **გოლი:** ჩიკვილაძე. მესხეთი – ლოკომოტივი 3:1. **გოლები:** გრიგალაშვილი (2ძ, სამადაშვილი; კახელიშვილი. ისვენებდა „ცხინვალი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** ვიტ ჯორჯია – 24, დინამო – 22, ზესტაფონი – 20, ლოკომოტივი – 18, სიონი, ოლიმპი, მესხეთი – 15-15, მგლები – 13, გაგრა – 11, ბორჯომი – 10, ცხინვალი – 3 ქულა.



**29 ნოემბერს ითამაშებენ:** ზესტაფონი – სიონი, სპარტაკი – დინამო, ოლიმპი – მესხეთი, ბორჯომი – მგლები, გაგრა – ვიტ ჯორჯია. ისვენებს ლოკომოტივი.

* * *

**კვიპროსზე სტარტი აიღო 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჯგუფურმა ტურნირმა.** დანიელებთან გამართულმა „ჯვაროსანთა“ პირველმა შეხვედრამ, უკვე მერამდენედ, დაადასტურა, რომ იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, როცა ქართველები სოლიდური უპირატესობით დაწინაურებას ახერხებენ, მისი შენარჩუნება პრობლემატური საქმეა. სხვაგვარად ძნელია ახსნა ის ფაქტი, რომ 2:0-ის შემდეგ (ქანთარია, კაკუბავაძ მეტოქეს ქულის გადარჩენის საშუალება მივეცით – 2:2. ასევე ფრედ ითამაშეს მასპინძლებმა და ჩეხეთის გუნდმა – 1:1.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული კვარტეტიდან ფინალურ რაუნდში გასასვლელად ბრძოლას მხოლოდ გამარჯვებული განაგრძობს.

* * *

**იტალია. XIII ტური.** ინტერი – იუვენტუსი 1:0, ტორინო – მილანი 2:2, ნაპოლი – კალიარი 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** ინტერი – 30, მილანი – 27, იუვენტუსი, ნაპოლი – 24-24 ქულა.

**ბომბარდირი:** მილიტო (ჯენოაძ – 11 გოლი.

**შემდეგი ტური:** ინტერი – ნაპოლი, პალერმო – მილანი, იუვენტუსი – რეჯინა.

**ესპანეთი. XII ტური.** ბარსელონა – ხეტაფე 1:1, რეალი – უელვა 1:0, ვილიარეალი – ვალიადოლიდი 0:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** ბარსელონა – 29, რეალი – 26, ვილიარეალი – 25 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო (ბარსელონაძ – 13 გოლი.

**შემდეგი ტური:** სევილია – ბარსელონა, ხეტაფე – რეალი, უელვა – ვილიარეალი.

**ინგლისი. XIV ტური.** ჩელსი – ნიუკასლი 0:0, ლივერპული – ფულჰემი 0:0, ასტონ ვილა – მანჩესტერი 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ჩელსი, ლივერპული – 33-33, მანჩესტერი – 24 ქულა (13 თამაშიდანძ.

**ბომბარდირი:** ანელკა (ჩელსიძ – 12 გოლი.

**შემდეგი ტური:** ჩელსი – არსენალი, ლივერპული – ვესტ ჰემი, სიტი – მანჩესტერი.

**გერმანია. XIV ტური.** კიოლნი – ჰოფენჰაიმი 1:3, ბილეფელდი – ლევერკუზენი 2:1, ბაიერნი – კოტბუსი 4:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** ჰოფენჰაიმი – 31, ლევერკუზენი, ბაიერნი – 28-28 ქულა.

**ბომბარდირი:** იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმიძ – 16 გოლი.

**შემდეგი ტური:** ჰოფენჰაიმი – ბილეფელდი, ლევერკუზენი – ბაიერნი.

**საფრანგეთი. XV ტური.** პსჟ – ლიონი 1:0, სენტ ეტიენი – ნიცა – 0:1, მარსელი – ლილი 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** ლიონი – 33, ნიცა – 28, მარსელი – 27 ქულა.

**რუსეთი. ბოლო ტური.** რუბინი – ლოკომოტივი 1:2, შინიკი – ცსკა 1:0, დინამო – ტომი 2:0.

**საპრიზო სამეული:** რუბინი – 60, ცსკა – 56, დინამო – 54 ქულა.

* * *



**გაისად 14-დან 28 ივნისამდე სამხრეთ აფრიკა კონფედერაციათა თასის გათამაშებას უმასპინძლებს. გაუწყებთ იოჰანესბურგში გამართული მომავალი ტურნირის კენჭისყრის შედეგებს:**

**A ჯგუფი.** სამხრეთ აფრიკა (მასპინძელიძ, ახალი ზელანდია (ოკეანეთის ერთა თასის მფლობელიძ, ერაყი (აზიის ჩემპიონიძ და ესპანეთი (ევროპის ჩემპიონიძ.

**B ჯგუფი.** აშშ (კონკაკაფის ჩემპიონიძ, იტალია (მსოფლიოს ჩემპიონიძ, ბრაზილია (სამხრეთ ამერიკის თასის მფლობელიძ და ეგვიპტე (აფრიკის ჩემპიონიძ.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

კალათბურთი

# ენდეთ სნაიპერებს

**სუპერლიგის V ტურის შემდეგ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის რუსთავის ენერჯი ინვესტის სახით გათამაშებას ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. ორხელისუფლებიანობა მას შემდეგ დაირღვა, რაც ქვემოქართლელებმა დღის ცენტრალური შეხვედრა ამბიციურ დებიუტანტს – ნტდ თბილისს მოუგეს – 88:80 (22:26, 20:17, 25:20, 21:17ძ.**

დებიუტში მასპინძელთა თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა სათადარიგოთა სკამზე დატოვა აზერბაიჯანელი სნაიპერები და მთავარი ყურადღება ფარქვეშ ბრძოლას დაუთმო. ამ ტაქტიკურმა სვლამ არ გაამართლა – უგრეხელიძემ და ბაბიაშვილმა პირწმინდად დაჯაბნეს მეურვეები, თანაც მათზე აქცენტის გადატანამ ხელ-ფეხი გაუხსნა დავით უსტიაშვილის გუნდის უკანახაზელებს ტულუშსა და გამყრელიძეს, რომლებიც უმოწყალოდ ბომბავდნენ მეტოქის კალათს როგორც საშუალო დისტანციიდან, ისე სამქულიანებით. მართალია, ნტდ-ს მწვრთნელი მალევე მიხვდა საკუთარ შეცდომას და სარბიელზე თითქმის შეუცვლელად შეიყვანა ლეგიონერები, მაგრამ წარმატების მოსაპოვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ყველაზე შედეგიანები:** ტულუში – 25, გამყრელიძე – 22, ლეჟავა – 12, დიდია – 11 ქულა (ენერჯი ინვესტიძ; სარიევი – 15, როდუმტა – 12, ფაშაევი – 10 ქულა (ნტდ თბილისიძ.



**დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:**

თსუ – მაქაბი 137:68 (41:6, 31:29, 38:20, 27:13ძ. **ყველაზე შედეგიანები:** გიგი ბარბაქაძე – 31, შანიძე – 20, ახალკაცი – 19, კოხრეიძე – 17 ქულა (თსუძ; ჯანგველაძე – 26, იოსელიანი – 14 ქულა (მაქაბიძ. სსსუ – ბათუმი 96:74 (22:12, 22:16, 16:18, 36:18ძ. **ყველაზე შედეგიანები:** მიხეილ ბერიშვილი – 24, ათანელიშვილი – 15, ჩაჩიბაია – 13, წივწივაძე – 11, გულისაბედაშვილი, მარკოიშვილი – 10-10 ქულა (სსსუძ; იმნაძე – 34, კეშელავა – 22 ქულა (ბათუმიძ. ავიაამშენი – დინამო 83:65 (21:12, 23:11, 15:12, 24:30ძ. **ყველაზე შედეგიანები:** მათიაშვილი – 27, ირაკლი ბერიშვილი – 19, მინაშვილი – 12 ქულა (ავიაამშენიძ; ბაქრაძე – 26, ლაფანაშვილი – 15, ხიზანიშვილი – 11 ქულა (დინამოძ. ისვენებდა შსს.

**ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ტურში ითამაშებენ:** ენერჯი ინვესტი – ავიაამშენი, ბათუმი – თსუ (28 ნოემბერსძ, სსსუ – შსს, ნტდ თბილისი – მაქაბი (30 ნოემბერსძ. ისვენებს დინამო.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

რაგბი

# დუბაისა და ჯორჯიში



**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა 2008 წლის ევროპის შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატის ფინალში მე-3 ადგილის დაკავებით 2008-2009 წლის IRB-ის მსოფლიოს სერიის ტურნირებს და მომავალი წლის მსოფლიო თასზე გამოსვლის უფლება მოიპოვა.**

უახლესი შეჯიბრება, რომელშიც ბორჯღალოსნები იასპარეზებენ,ეს არის დუბაის ტური, რომელიც 28-29 ნოემბერს გაიმართება. ორთაბრძოლებს მსოფლიო თასისთვის (2009 წლის 5-7 მარტიძ საგანგებოდ აშენებული გრანდიოზული სპორტული კომპლექსი უმასპინძლებს. **C ჯგუფში** ჩვენების მეტოქეები იქნებიან სამოა, არგენტინა და საფრანგეთი. დანარჩენ ჯგუფებში ითამაშებენ: **A ჯგუფი.** ახალი ზელანდია, ავსტრალია, უელსი, ზიმბაბვე; **B ჯგუფი.** სამხრეთ აფრიკა, კენია, შოტლანდია, საამიროები; **D ჯგუფი.** ფიჯი, ინგლისი, აშშ, პორტუგალია. 28 ნოემბერს ჯგუფური ტურნირი, მომდევნო დღეს კი პლეი ოფები გაიმართება.

5-6 დეკემბერს ჯორჯის შვიდკაცაში საქართველოს ნაკრები მომდევნო ეტაპზე გასასვლელად სამხრეთ აფრიკას, ავსტრალიას და აშშ-ს (**B ჯგუფი**ძ დაუპირისპირდება.

ინტერნეტიდან

## საუკეთესონი — ნამდვილად ღირსეულნი

**ფინიშისკენ გეზაღებული წლევანდელი წელიწადი ნამდვილად ტრიუმფალური იყო ძალზე ბევრი სპორტსმენისთვის, განსაკუთრებით კი – მძლეოსნებისთვის.** სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იამაიკელმა უსეინ ბოლტმა 100 მეტრი გაირბინა დღემდე არნახულ დროში – 9,68 წამში, რუსეთელმა ჭოკით მხტომელმა





ელენა ისიმბაევამ კი სპორტის ამ სახეობის „მწვერვალი“ დაიპყრო – 5,05 მეტრზე გადახტა. ისიც სათქმელია, რომ ბოლტმა პეკინში ერთბაშად სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვა – 100 მეტრის გარდა 200 მეტრზეც და ესტაფეტაშიც 4X100. ელენამ პეკინში კი მეორედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის საპატიო ტიტული, თანაც 24-ე მსოფლიო რეკორდიც (!ძ დაამყარა.

ამიტომაც შემთხვევით როდი იყო, რომ სწორედ ისინი აღიარეს „წლის მძლეოსნებად“.

სხვა ნომინაციებში გამარჯვებულნი: დაირონ რობლესი (წლის საუკეთესო გამოსვლა მამაკაცებშიძ, ბარბორა შპოტაკოვა და ტირუნეშ დიბაბა (ქალთა საუკეთესო გამოსვლებიძ, პამელა ჯელიმო (წლის აღმოჩენაძ, კაისა ბერგვისტი, სტეფან ჰოლმი და ჯეფერსონ პერესი (კარიერაში საუკეთესო წარმატებისთვისძ.

ამას გარდა, საგანგებო ოლიმპიური ჯილდოები გადაეცათ ბოლტს, ისინბაევას, დიბაბას, ფრანსუაზა მბანგოს, ანჟელა ტეილორსა და ანდრეას ტარკილდსენს.

ჯეკი ჯოინერ-კესი დაჯილდოვდა ოლიმპიურ თამაშებში ქალთა მონაწილეობის 80 წლისთავის გამო.

## გულშემატკივარი — ციხეში

**ფეხბურთის მატჩებზე იშვიათობა როდია, როდესაც გახარებული თუ გაჯავრებული გულშემატკივარი (ზოგჯერ დედიშობილაც კიძ მინდორზე გამორბის.** ასე მოხდა ჩემპიონთა ლიგის მატჩზე, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ „სელტიკი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ (1:1ძ, მატჩის მსვლელობისას მინდორზე გამოვარდა 18 წლის გლაზგოელი, მართალია, ის მალე პოლიციელთა ხელში აღმოჩნდა, ჭაბუკი გულშემატკივარის ასეთი გამოხდომისთვის შოტლანდიური „სელტიკი“ 50 ათასი ევროთი დააჯარიმეს, ხოლო მის თავგამოდებულ ქომაგს ნახევარი წლით პატიმრობა მიესაჯა, თანაც უახლოესი 5 წლის მანძილზე ფეხბურთის მატჩებზე დასწრება აეკრძალა.

ჭადრაკი

# კვანძი დღეს გაიხსნება

**გიორგობის ბრწყინვალე რელიგიური დღესასწაული დიდებული გამარჯვებით აღნიშნეს ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა. გერმანიის ქალაქ დრეზდენში მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიადის ბოლოსწინა ტურში „ჯვაროსნებმა" 2,5:1,5 სძლიეს ჩინეთის უძლიერეს ნაკრებს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის შანსი შეინარჩუნეს. თავიანთი პარტიები მოიგეს მაია ჩიბურდანიძემ და ნანა ძაგნიძემ.**

სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს ჩვენმა ვაჟებმაც. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბაადურ ჯობავამ პარტნიორებს გადამწყვეტი ქულა მოუპოვა დანიელებთან შეხვედრაში, ხოლო დანარჩენები ყაიმს დასჯერდნენ – 2,5:1,5. ასეთმა შედეგმა საფუძვლიანი გახადა უძლიერესთა ათეულში შეღწევის პერსპექტივა.

**ლიდერთა ჯგუფი.** ***ქალები:*** პოლონეთი – 17, საქართველო, სერბეთი, უკრაინა – 16-16 ქულა. ***ვაჟები:*** უკრაინა, სომხეთი – 17-17 ქულა.

**გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს დასკვნით ტურში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ.** ***ქალები:*** საქართველო-სერბეთი, პოლონეთი-უკრაინა. ***ვაჟები:*** საქართველო-რუმინეთი (14-14 ქულა).

ტყვიის სროლა

# გაიხსენეს შოთა ქველიაშვილი



**ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დამთავრდა ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების სამსამგზის გამარჯვებულის შოთა ქველიაშვილის თასის გათამაშება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში.** საასპარეზოდ თბილისისა და ქუთაისის 28 სპორტსმენი გამოვიდა. ქალებში ყველაზე უკეთ იასპარეზა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც 495,7 ქულა მოაგროვა და საქართველოს რეკორდი დაამყარა. ეს მაჩვენებელი 3,4 ქულით აღემატება პეკინის თამაშების ჩემპიონის ჩინელი სენჟუნ გუოს ოლიმპიურ მიღწევას. მეორე ადგილზე გავიდა ნინო უჩაძე (472,1ქ), მესამე იყო თამილა ასათიანი (471,3ქ).

ვაჟებში 655,5 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ილია მაჭარაშვილი ავიდა, მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, ლევან ქადაგიძემ (650ქ) და ბექა გოგინაშვილმა (649ქ) დაიკავეს.



23-26 დეკემბერს თბილისში საქართველოს თასი გათამაშდება.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: დაჯილდოების მომენტი; გამარჯვებულები და პრიზიორები ორგანიზატორებთან ერთად. ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

ჩოგბურთი

# სამგზის!

**ამაო გამოდგა ჩოგბურთის არგენტინელ ქომაგთა ოპტიმისტური მოლოდინი – საკუთარი კედლების (უფრო სწორად – ჰარდის საფარისა) ფაქტორის მიუხედავად მასპინძელთათვის აუხდენელ ოცნებად დარჩა დევისის თასის დაუფლება.**



მსოფლიოს პირველი ჩოგბანოსნის, ტრავმირებული რაფაელ ნადალის არყოფნაში ესპანეთის გუნდის ლიდერობა ფელისიანო ლოპესმა იტვირთა. წარმატებითაც – მან მოიგო როგორც ერთეულთა ორივე, ისე წყვილთა თანრიგის შეხვედრები ფერნანდო ვერდასკოსთან ერთად. სხვათა შორის, გადამწყვეტი ქულა სტუმრებს სწორედ ამ უკანასკნელმა მოუტანა. არადა, სასტარტო ბრძოლაში დავიდ ფერერთან მოპოვებული გამარჯვებით სამხრეთამერიკელები მისმა სეხნიამ, მასტერსის ამასწინანდელი პრესტიჟული ტურნირის მონაწილე ნალბანდიანმა დააწინაურა, მაგრამ მას მხარი ვერ აუბეს ხუან მარტინ დელ პოტრომ, ხოსე აკასუსომ და ავგუსტინ კალერიმ.

საბოლოოდ პირენეელებმა 4:1 სძლიეს მრისხანე მეტოქეს და მესამედ აღმართეს ვერცხლის სასალათე.

კონფლიქტის ზონა

მას შემდეგ, რაც რუსული სამხედრო ძალის დახმარებით კოკოითის თვითმარქვია ხელისუფლებამ პოზიციები განიმტკიცა და ახალი ტერიტორიებიც შემოიერთა, დაიწყო ე. წ. რესპუბლიკაში ქართული აგენტურის კვალის ძიება. სეპარატისტების სპეცსამსახურები განსაკუთრებით აქტიურობენ ახალშემოერთებულ, ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში – ქურთა, კეხვი, თამარაშენი და სხვა. ჯაშუშობის კვალს ისინი არა მხოლოდ ქართველებში ეძებენ, არასანდოთა სიაში ხვდებიან შერეული ოჯახები, ქართველებისადმი ლოიალურად განწყობილი ოსებიც კი. როგორც რეპრესიებს გამორიდებულნი აცხადებენ (მათ ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ), სრულიად უმიზეზოდ, დღე-ღამის განურჩევლად აკავებენ და საპყრობილეებში ამწესებენ სრულიად უდანაშაულო, კონფლიქტთან დაუკავშირებელ პირებს. „ეჭვმიტანილებს" უმძიმეს პირობებში ამყოფებენ. აიძულებენ, ცრუ ჩვენებები მისცენ თავიანთ „მოღალატეობრივ საქმიანობაზე", მათგანვე ითხოვენ, დაასახელონ თანამზრახველები მეზობლებში, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სხვა რეგიონებში.

ყველაფერს კი წინ უძღოდა თვითმარქვია ლიდერის მიერ რუსული პრესისთვის მიცემული განცხადება.

# კოკოითმა ქართველების „აგენტებზე" ნადირობა დაიწყო

### რა „საიდუმლო" გაანდო კოკოითმა რუსულ მასმედიას

**თვითმარქვია პრეზიდენტი აცხადებს: „სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა გვარები, რომლებიც თანამშრომლობდნენ საქართველოს სპეცსამსახურებთან, უკვე ცნობილია. ეს სიები ოსური სოფლების განთავისუფლების შემდეგ ჩაგვივარდა ხელში. ეს ადამიანები სანაკოევის მარიონეტული ხელისუფლებისგან რეგულარულად იღებდნენ ფულს".**

უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები სამშობლოს ღალატის მუხლით. ასევე განვიხილავთ პროცედურას, რომლის თანახმადაც მივმართავთ რუსეთის სპეცსამსახურებს, დაიწყონ გამოძიება თავიანთი ქვეყნის მოღალატე მოქალაქეების მიმართ.

მოღალატეებს გარდა, ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ქართული სპეცსამსახურების არქივი, სადაც აღმოვაჩინეთ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე სტრატეგიული ობიექტების ფოტოები, რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრების ფოტოსურათები. საინტერესოა, რომ აღმოჩენილთა შორის ბევრია ისეთი, რომლებზეც ასახულია უმაღლეს ხელისუფალთა კორტეჟების მსვლელობა.

ჩვენს მხრივ ვიძლევით გარანტიას, რომ მკაცრად დავიცავთ კანონებს და მალე გამოვაქვეყნებთ იმ საბუთების ნაწილს, რომლებიც ქართველებს წავართვით.

### ჯაშუშებზე ნადირობა შირმაა, მიზანი ოპოზიციის დასუსტებაა

**რუსული მასმედია იმასაც გვამცნობს, რომ ოსებმა, რუსი სპეცსამსახურების დახმარებით, მოღალატეების ძებნა არა მხოლოდ საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილ ნაწილში, არამედ, ხელისუფლების კურსის მიუმხრობელ სამართალდამცავ და ძალოვან სტრუქტურებშიც დაიწყეს.**

პირველი, ვინც რეპრესიებს ემსხვერპლა, ოსეთის ე. წ. სასაზღვრო ძალების მაიორი თემურ გუჩმაზოვი აღმოჩნდა. სეპარატისტების სპეცსამსახურების მიერ რუსული საინფორმაციო წყაროებისათვის მიწოდებული ინფორმაციით, გუჩმაზოვმა დაკითხვების დროს აღიარა, რომ იგი ქართულ სპეცსამსახურებთან 2005 წლიდან თანამშრომლობს. მეკავშირედ ვინმე „საშას" ასახელებს. აღიარებით ჩვენებაში დაკავებული წერს, რომ „საშა" მისგან ითხოვდა ინფორმაციებს, თუ როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება დიმიტრი სანაკოევის მიმართ, რამდენ და რომელ საწარმოებს აკონტროლებენ რუსები. როგორია მათში დასაქმებულთა ანაზღაურება.



გამოძიება რუს ჟურნალისტებს უცხადებს, რომ გუჩმაზოვის დაკითხვები კიდევ გაგრძელდება, არსებობს ეჭვი, ამბობენ თვითმარქვია ხელისუფლების სპეცსამსახურები, რომ დაკავებული ბევრ ინფორმაციას ფლობს, მაგრამ მალავს მას. ეჭვმიტანილისგან განსაკუთრებით მოითხოვენ აღიარებით ჩვენებებს ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნებისა და რადიოსალოკაციო დანადგარების ადგილმდებარეობის შესახებ ქართველებისათვის გაცემული ინფორმაციების შესახებ. ყოველივე ამაში კი, გამოძიების მტკიცებით. მათ თანამოქალაქეს ავანსის სახით უკვე მოუსწრია 2500 დოლარის აღება, დანარჩენიც შემდგომ უნდა გადაეხადათ.

გუჩმაზოვის ნათესავები იმავე რუსულ საინფორმაციო წყაროებს უცხადებენ, რომ მათი ახლობლის დაკავება, მის მიერ კოკოითის, რბილად რომ ვთქვათ, „ცუდი კაცის" ეპითეტით არაერთგზის საჯარო განცხადებას უკავშირდება. მოღალატის ბრალდებაწაყენებული 2005 წლამდე მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ე. წ. მილიციაში. მაგრამ იქიდან, სწორედ სისტემაში შექმნილი განუკითხაობისა და ძალმომრეობის ატმოსფეროს გამო წამოვიდა. შექმნილი სიტუაციის შესახებ ხმამაღლა საუბარს იგი არ ერიდებოდა.

„მოღალატის" ცოლი იზეტა კი აცხადებს, რომ თემური 29 სექტემბერს დააკავეს. ხელისუფლება ამ ფაქტს დიდხანს ასაიდუმლოებდა. მიზეზი დაჭერისა ის გახლავთ, რომ მაიორის სამსახურში (ცვლაში იყოძ) წასვლის წინ მის სახლს ცხინვალში ყუმბარა დაეცა. სახლი იწვოდა, – უცხადებს რუს ჟურნალისტებს იზეტა გუჩმაზოვა. ცხადია, რომ მისმა მეუღლემ ცეცხლის ჩაქრობა დაიწყო. ცეცხლის ლოკალიზებას, მაცხოვრებლების უვნებლად გამოყვანას 4-5 საათი დასჭირდა. მაიორმა სახის დამწვრობაც მიიღო. სამსახურში, ცხადია, აღარ წასულა. აი ეს მიაჩნია დაკავებულის მეუღლეს ქმრის „დანაშაულად". იგი მეორე დღესვე დააკავეს.

ოსები უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ კოკოითი „ჯაშუშებზე" ნადირობას ოპოზიციაზე ნადირობისთვის იყენებს. მისდამი უკმაყოფილებას ისიც ზრდის, რომ კონფლიქტის დაწყებისთანავე „უმაღლესი ხელისუფალი" ოჯახთან და უახლოეს გარემოცვასთან ერთად ცხინვალიდან გაიპარა. არაკეთილმსურველთა დასაშოშმინებლად სეპარატისტთა ლიდერი რუსი სპეცსამსახურების მიერ კარგად აპრობირებულ, მაგრამ მოცვეთილ მეთოდებს იყენებს.

**ზაზა ბილიხოძე**

ინფორმაცია

# მოსამართლეებს ხელფასი ეზრდებათ

**საერთო სასამართლოების მოსამართლეებს ყოველთვიური ანაზღაურება 200 ლარით გაეზრდებათ.**

**შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება დეპუტატებს მურთაზ ზოდელავას და კახაბერ ანჯაფარიძეს ეკუთვნით.**

ცვლილება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ" კანონში შედის.

რაც შეეხება მოსამართლეების დღეს არსებულ ანაზღაურებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 5 450 ლარია; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის – 4 900 ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის – 4 600 ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის – 4 200 ლარი; სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის – 4 000 ლარი; სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის – 3 100 ლარი; სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარის – 2 700 ლარი; სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის – 2 300 ლარი; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის – 2 300 ლარი; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარის – 2 200 ლარი; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის, მაგისტრატი მოსამართლის – 2 100 ლარი; რეზერვში მყოფი მოსამართლის – 500 ლარი.

კანონპროექტის ინიცირება პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მოხდა.

**ინტერპრესნიუსი**

ყოფა

# შვიდშვილიან დედას ოროთახიან ბინაშიც არ აჩერებენ!

**რამდენი ასეთი ადამიანი, რამდენი ასეთი დედა ცხოვრობს (ცხოვრობს?) დღეს ჩვენს უიმედობით სავსე ქვეყანაში. სულგაყიდული ხელისუფლება, ვითომ, დემოგრაფიის პრობლემებზე ზარებს არისხებს, ვითომ, ხელისგულზე ატარებს მრავალშვილიან ოჯახებს, არადა, ფაქტები საპირისპიროს ღაღადებენ.**

ერთ-ერთი მათგანი – ადამიანთა უსულგულობით, სიცრუითა და უყურადღებობით გამწარებული 7 შვილის დედა, 37 წლის **ლალი ლოხიშვილი,** ამ რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში გვეწვია და თავისი გასაჭირი გაგვიზიარა: იგი ვარკეთილში, კალოუბნის 35-ში ცხოვრობს ოროთახიან ბინაში და, როგორც გითხარით, 7 შვილს ზრდის, უვლის დავრდომილ დედასაც, ხოლო ქმართან, მიზეზთა და მიზეზთა გამო, გაყრილია... ლალი, რომ იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამს, არავის შესწუწუნებს ხელმოკლეობას, მუშაობს დამლაგებლად, ხელფასი 200 ლარი აქვს, ოჯახი სიღარიბის პროგრამაშია შეტანილი და 5 ბავშვი 20-20 ლარს იღებს სახელმწიფოსგან (უფროსი ბიჭები – ერთი სამხედრო სამსახურშია, მეორე – მეთორმეტე კლასის მოსწავლეა).

წვალებით, ჯახირით, (არ დაგავიწყდეთ, **ოროთახიან ბინაში)** 7 შვილს უზრდის ამ, ქართველებისგან განახევრებულ ქვეყანას!..

თუმცა, როგორც ლალი ლოხიშვილი გვეუბნება, მალე ეს ორი ოთახიც, ალბათ, სანატრელი გაუხდებათ!

– კი, მაგრამ, რა ხდება ასეთი?

**– ბინა ვარკეთილში მივიღე, როგორც მიწისძვრით დაზარალებულმა, ხილიანის ქუჩაზე თავზე ჩამოგვენგრა ძველი ბინა და იძულებული გავხდით, ოროთახიანი ბინის მიღებას დავთანხმებულიყავით, რაც, მაშინდელმა მერმა პიარისთვის გამოიყენა და ზარზეიმით შეგვასახლა, ნახეთ, მრავალშვილიანებს როგორ გავუწოდეთ ხელიო...**

**შევედით ბინაში, მერიაში წარვადგინე, როგორც წესია, ყველა საბუთი, რასაც აკლდა ხილიანზე ბინის მესაკუთრის ცნობა. საქმე ის არის, რომ ხილიანზე, ჩვენს ეზოში, ბინის პატრონი ის იყო, ვისაც საბინაო წიგნი ებარა, მე კი (სხვებიც) ე. წ. „ატსტუპნიკად" ვითვლებოდით. თავიდან არ მოუთხოვიათ ეს ცნობა და ჩვენც ვცხოვრობდით, მაგრამ, რამდენიმე წლის შემდეგ „გაახსენდათ" და, ცხადია, ვერ წარვადგინე. და აი, ამის გამო გვასახლებენ ბინიდან... სამი წელია მიდის ამ საქმის გარჩევა საქალაქო სასამართლოში.. საშველი არ ჩანს... თავიდან, თითქოს, იმედი გამიჩნდა – სასამართლოსთან მოვიდა პრესა, ტელევიზია, თანაც მიწისძვრით დაზარალებულთა სალიკვიდაციო ფონდი გაუქმდა და შვებით ამოვისუნთქეთ, მაგრამ, აგერ, ერთი თვეა მიბარებს, ვითომ, სალიკვიდაციო ფონდი (მოსარჩელე) ბინიდან გამოსახლების თაობაზე. სინამდვილეში ჩემი საბუთები ქალაქის მერიის ქონების მართვის სამსახურში დევს... შევაწუხე ის ხალხი... მამშვიდებენ, მაიმედებენ, ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ, როგორ უნდა ვიყო მშვიდად, როცა 1 დეკემბერს კვლავ სასამართლო სხდომაა დანიშნული და რა მოგველის, არავინ იცის... პატრონი მყავს ვინმე თუ... ბოლოს, ერთი რამ მინდა ვიკითხო, ჩემო ბატონო, ნუთუ, ამ ქვეყანაში, მრავალი შვილის ყოლა დანაშაულია?!**

აბა, რა გითხრათ, ჩემო დაიკ!.. მე ერთი ვიცი: ახალგაზრდა, 37 წლის მრავალშვილიან დედებს, არც ერთ ქვეყანაში ასე არ ექცევიან. საქართველო ხომ „ლოზუნგების ქვეყნად" დარჩა და იუბილარი „ვარდოსნები" ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ზრუნავენ ქვეყნის გამრავლებისთვის, ასეულათასობით იძულებით სამშობლოდატოვებულთა უკან მობრუნებისთვის... ჩვენ რა შეგვიძლია?!. ქართველი ხალხის, ვითომ, პრეზიდენტი, ცნობილია, რომ პრესას არ კითხულობს, შესაბამისად, არც მისი ლაქიები იკლავენ თავს გაზეთების კითხვით. ჰოდა, ჩვენი გაზეთით ამ სამარცხვინო ფაქტს თუკი გაეცნობიან თბილისის მერიაში, თუკი მერიის შესაბამის სამსახურებს სინდისი ცოტათი შეაწუხებთ, ანდა, სასამართლო თუ ოდნავ მაინც დადგება თავის სიმაღლეზე, იქნებ, გეშველოთ!..

თუმცა, ამ უსამართლო ქვეყანაში, ისევ ღმერთის იმედად უნდა იყოთ, ღმერთი შეგეწიოთ!

სანთელი

# ის ისეთი კაცი იყო...

## რეზო გუნცაძის გახსენება

**ცენზურა – ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი, ცენზურა – სიტყვა, რომელიც ტანში სცრიდა შემოქმედებით ინტელიგენციას, იგი ხომ სილაღის, თავისუფლების ფრთებს აკვეცავდა უნიჭიერესი ადამიანების შემოქმედებას...**

**ცენზურის, „კულტურულად", მთავლიტის, „შტაბ-ბინა" საქართველოში, თბილისში, გმირთა მოედანზე „თერთმეტსართულიანში" მდებარეობდა, ხოლო მისი განყოფილებები მთელ რესპუბლიკაში იყო მიმოფანტული. ცეკას გამომცემლობის ხუთსართულიან შენობაში (მოგვიანებით, „სამშობლო" რომ ერქვა და იქ განთავსებული რედაქცია-გამომცემლობები, შარშან აგვისტოში, მიშას ხელისუფლებამ ქუჩაში გამოყარა), მეხუთე სართულზე ორი ოთახი ეკავა მთავლიტს, რომელიც პრესას აკონტროლებდა, ანუ მისი ბეჭდის გარეშე ვერც ერთი გაზეთი დილის სინათლეს ვერ ნახავდა... ერთ ოთახში, განყოფილების გამგე, ცხონებული ციალა ამაშუკელი მუშაობდა, გვერდით ოთახში კი მისი რამდენიმე თანამშრომელი გულდაგულ ჩაჰკირკიტებდა სხვადასხვა დასახელების გაზეთის გვერდებს, ვაითუ, რაიმე „ანტისახელმწიფოებრივი" გაჰპარვოდათ... თუმცა, მე რომ იქაურობა და იქაურები გავიცანი, უკვე გვარიანი მოშვებული იყო ცენზურის „აღვირი" და ქალბატონი ციალა რომ საღამოს 6 საათზე სახლში წაბრძანდებოდა, იცოცხლეთ, ცენზურის ოთახებში ერთმანეთს ჭიქებს ვუჭახუნებდით რედაქციების ზოგიერთი თანამშრომელი და „მთავლიტის ბიჭები" – ჩვენი „მასპინძლები" (თუმცა თითო-ორ-ორ მანეთს ყველანი ვდებდით „საეროსა" და ძეხვის მოსატანად). ცხონებულმა ამირან ასანიძემ რესტორანი „უე" (მთავლიტის ბეჭედზე გამოსახული წარწერის – „უფლება ეძლევა" – აბრევიატურა) შეარქვა იქაურობას. დედა, რა ბიჭები იყვნენ ეს, ვითომ, „ცენზორები" – ოჯახიშვილები, ნიჭიერები, განათლებულები, უკეთესი სამსახურები რომ ვერ ეშოვნათ და, „გზას აცდენილები" უამრავ სისულელეებს (ზოგჯერ სიჭკვიანესაც) გულდაგულ კითხულობდნენ... ეს, პეტრე ლიკლიკაძეო, ეს, ამირან ასანიძეო (ნათელი დაადგეთ), ეს,**



**ტიტე ხუხუაო, ეს, გია სართანიაო და სხვები... ერთ დღესაც ახალი თანამშრომელი მიიღეს მთავლიტში. რეზო გუნცაძედ გამეცნო, „კომუნისტის" გვერდები რომ ავუტანე წასაკითხად. ამირან ასანიძეც იქვე იჯდა ერთი ბოთლი „საეროთი" და ფუნთუშებით... გაცნობისა დალიეთო, ამირანმა. ჩვენც დავლიეთ... მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდით. რეზო გუნცაძეს სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისურის განყოფილება დაემთავრებინა, ერთხანს ტექნიკურ ბიბლიოთეკაში ემუშავნა მთარგმნელად... მთავლიტში, თითქოს, სხვა სხივი შემოიტანა რეზომ. როგორც თევზი წყალში, ისე „დაცურავდა" იგი ბაირონის, ჯოისის, შელის, ჰაიდეგერის, სარტრის და სხვა დასავლეთევროპელ მწერალთა შემოქმედებაში და, პურობის ჟამს, ბევრ საგულისხმო რამეებს გვიყვებოდა ხოლმე მათზე. ლამაზი თვალები სიკეთით ჰქონდა სავსე, საერთოდ, გულიანი ბიჭი იყო... მოგვიანებით, რა მოხდა აღარ ვიცი, – რეზო გუნცაძე მშობლიურ გორში გადავიდა და იქვე, უნივერსიტეტში მოღვაწეობდა... იქ დაამთავრა სიცოცხლეც შუა ხნის კაცმა... ამ ორმოცი დღის წინათ ჩვენი ტიტე ხუხუა მოვიდა რედაქციაში და შეწუხებულმა რეზოს მოულოდნელი გარდაცვალება გვამცნო...**

**– ის ისეთი კაცი იყო, ნაღდად აგვისტოს მოვლენებმა და გორის უბედურებამ გაუხეთქა გულიო, – ამბობდა ტიტე.**

**რა გასაკვირია... ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ძმაო რეზო!**

პირველი შთაბეჭდილება

# გაუმარჯოს დონ კიხოტს!

**მიყვარს რენე კალანდიას ლექსების კითხვა. მათში უბედური სამშობლოს გამო ტკივილიცაა, დღევანდელობის სურათებიცაა, ბოჰემური „გრიალიცაა", ნაბახუსევი, ქაფქაფა ლუდს მონატრებული უფულო კაცის ირონიაცაა... ერთი სიტყვით, რენე კაი „მასტია" – ამ ყველაფერს ისე ხატავს, ისე თავისუფლად, ისე არაშაბლონურად ექცევა სტრიქონს, მთლიანად ფორმას, შეიძლება რეგვენმა იფიქროს, ასე მეც ქე დავწერდიო (სულმნათ აკაკიზეც ფიქრობდნენ).**

ნურას უკაცრავად, ეს თავისთავადი ნიჭის წყალობაა, რაც არაერთხელ უგრძვნია პოეზიის მოყვარულს მისი ლექსების კითხვისას. სწორედ თავისთავადი, ფილოსოფიური, ირონიულ-სარკასტული, ხშირად პარადოქსულია რენე კალანდიას ახალ კრებულში – **„მთავრობები და პოეტი" (უსახელო მარათონელი)** – თავმოყრილი ლექსებიც.

რენე მიდგას თვალწინ – სამი ძმის შუათანა კალანდია – ლაღი, თავისუფალი, ცოტაც შერეკილი, ხშირად სევდიანი, ბიბლიურად წვერმოშვებული, ნაღდი კოლხი – მწევარივით აწვართული, ჯავრიან გულზე არყის გადამხუხავი... ა, ბატონო, ბედი ხომ გინდა?.. ნაბახუსევზე გადავშალე და ერთსტროფიან „ნაბახუსევზე მინაწერს" გადავაწყდი:

**ეხ, უფულობის დედასა,**
**რა ეშველება სევდასა?!**
**არც გაცოცხლებს და არცა გკლავს,**
**ხან – ღმერთიც არა გხედავსა!..**

ანდა, ეს ნახეთ:

**ნაბახუსევზე – ლუდზე**
**ვფიქრობდი, არა შენზე**
**ან ჯოხზე: მე რომ მდრუზეს –**
**თავში... არაფრის შემძლე**
**ვიყავი: ხურდას ვითვლიდი**
**ჯიბეში, რადგან ყარდა**
**საწუთრო – მცირე თუ დიდი**
**დანტეს ჯოჯოხეთს ჰგავდა...**

გამგები – გაიგებს, ჩემო რენე...

პოეტის გრძნობათა მიღმა როგორ დარჩებოდა ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ქრონიკები.

აი, „ეროვნული მოძრაობის ისტორია":

**გული მიგრძნობდა: ვითომ გმირები,**
**რომ მუშაობდნენ „ჩაშვების" დარგში:**



**მეგაფონებით თუ საყვირებით**
**მოიმკეს სკამიც, ფულიც და ტაშიც...**
**წმინდაა მსხვერპლი! – ვზივარ და**
**ვგლოვობ,**
**პოეტი ხალხში მდგარიც მარტოა,**
**თუ ბედგამწყრალი არის სამშობლო –**
**ჟამით უფალმაც რომ მიატოვა...**

ამ მწარე სიმართლეს მოსდევს მწარე რეალობა: „ჯართის ჩაბარება ზუგდიდში":

**– ჯართს ვიბარებ, ჯართს ვიბარებ! –**
**ქუჩა-ქუჩა კივის ნატო,**
**რეჯიბი კი მოტორელს დააქროლებს...**
**კილოგრამი 20 თეთრი... ჩვენი**
**ფქვილიც იქცა ქატოდ...**
**– ოდაბადე, სი მუ ბღოლე?!**
**წამომცდება ბებერ პოეტს:**
**ჩავაბარე 20 კილო**
**და მივიღე 4 ლარი –**
**პურის ფული გაჩნდა...**
**აწმყო შენი – შეშლილი ხომ**
**მებრალება, მამულო,**
**მაგრამ, რა ვქნა? – ჩემს გვირაბში**
**უფლის სხივიც არ ჩანს!..**

„რენე კალანდია – წერს წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი,** – მომავლის პოეტია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ძნელი გასაგებია. პირიქით, „ადვილი" პოეტია, მისი ლექსი სავსებით შეესაბამება თანამედროვე გემოვნებასა და განწყობას, ზუსტად ასახავს დროს... და ამიტომაც ეკუთვნის მომავალს, როგორც თანადროულობის პოეტური დოკუმენტი".

ჭეშმარიტად! რენეს მეამბოხე სული, ცხოვრების წესი, ნონკომფორმისტობა ჩანს ამ კრებულის ყოველ გვერდზე:




**ყველა მთავრობის ჯინაზე,**
**აღარ ვყოფილვარ სინაზე**
**დაბმული ძაღლი: რკინაზე,**
**ოქრო-ვერცხლზე, კარგ ბინაზე**
**არ გამიცვლია მამული**
**„ტრამალზე" – ქინაქინაზე.**

იქვე ამასაც წერს:

**არ შეიძლება პოეტი გერქვას**
**და ტინგიცების ქადას ლოღნიდე!**

ამას, უპირველესად, საკუთარ თავს ეუბნება, თვითონ ცხოვრობს ასეთი სულისკვეთებით, არადა, ძნელია ამის გაკეთება, მეტადრე ამ საზოგადოებაში, მაგრამ, მადლობა ღმერთს, დღესაც არსებობენ დონ კიხოტები! მე დონ კიხოტს მაგონებს რენე კალანდია, მაშ, ერთი ქართველი მწერლისა არ იყოს: „გაუმარჯოს დონ კიხოტს!"

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

ხსოვნა

# ალექსანდრე (ღუტუშა) დანელია

ჩვენი ქვეყნის ამაგდარ და ღირსეულ ადამიანთა ძველი თაობის რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი სამხედრო ექიმი, შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება, სამედიცინო სამსახურის თადარიგის პოლკოვნიკი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ალექსანდრე სერგის ძე დანელია.



ქალაქმა, ოჯახმა, ახლობლებმა დაკარგეს ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი, ჭეშმარიტი პატრიოტი, მისაბაძი კეთილშობილებითა და ორიგინალობით აღსავსე, მუდამ შემართული და ზოზოქარი ადამიანი, დარბაისელი მოსიყვარულე მეგობარი.

ა. დანელიას, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა მისმა დიდებულმა ოჯახმა. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის სერგი დანელიას ვაჟი სწორედ აქ ეზიარა მაღალზნეობრივ ღირებულებებს და სასიკეთო ადამიანურ თვისებებს.

ალექსანდრე დანელიას ცხოვრების იოლი გზა არ აურჩევია. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტისა და სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს იგი მუშაობას იწყებს სამხედრო ნაწილის უმცროს ექიმად. შემდეგ წლებში იგი სამედიცინო-სანიტარიულ სამსახურებს ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში, მათ შორის, 1946-1950 წლებში, გერმანიაში, იყო ჯანდაცვის ექიმი ინსპექტორი. 1963 წლიდან იგი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგია, ხოლო შემდეგ, პენსიაში გასვლამდე, ამავე ინსტიტუტის სამხედრო-სამედიცინო მომზადების ციკლს ხელმძღვანელობდა, სადაც განსაკუთრებით გამოვლინდა მისი უდიდესი გამოცდილება და პროფესიონალიზმი.

ა. დანელიას საქმიანობა არაერთი სახელმწიფო ჯილდოთი არის აღნიშნული.

მხოლოდ რჩეულთა ხვედრია იყო სახელოვანი ადამიანის შვილი და შეინარჩუნო თავისთავადობა. ეს შესანიშნავად მოახერხა ა. დანელიამ. სათანადო ღირსებით წარმოჩენილი მისი ცხოვრების წესი და რიგი, განგებისგან მონიჭებული გარეგნული სილამაზე და ნიჭიერება, განსაკუთრებული ადამიანური თვისებები განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა მის პიროვნებას. არავის არ მოჰკლებია მისი კაცური თანადგომა და ყურადღება, რისთვისაც მას ყველა დიდ პატივს სცემდა, აფასებდა და უყვარდა.

მაღალი დონის პროფესიონალი, თავის ქვეყანაზე და ხალხზე უზომოდ შეყვარებული, ქართული ტრადიციების ღირსეულად მატარებელი, პოეზიის, სუფრისა და სიმღერის მოტრფიალე, დიდებული ოჯახის თავკაცი, ღირსეული შვილების მამა, — ასე იცნობდნენ ა. დანელიას და ასეთივედ დარჩება იგი, მისი გარდაცვალებით გამოწვეულ გულისტკივილთან ერთად, ჩვენს ხსოვნაში.

ღმერთმა ნათელი დაგადგას, კარგო კაცო. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, ჩვენო „ღუტუშა“.

ახლობლები, მეგობრები

მოგონება

# გურამ ქარქაშაძე



ლამაზი იმერული ეზო... კოხტა სახლი... გაშლილი სუფრა... და, რა თქმა უნდა, ტკბილი იმერული ჰანგები. ქარქაშაძეებთან ვართ სტუმრად ღვანკითში. სკოლის შენობის რეკონსტრუქცია დაამთავრა. ეამაყებოდა ბაგრატოვანთა სააგარაკო ადგილ-მამულში წამომართულ სკოლაში რომ სწავლობდა, რომელიც ადრე ბაგრატოვანთა სასახლეს წარმოადგენდა.

უზომოდ ბედნიერი იყო, ბავშვობის ოცნება რომ აისრულა და სკოლას უპატრონა. იმერლები, აბა რისი იმერლები არიან, თავი მოიკლეს, მისი დიდი პროტესტის მიუხედავად, სკოლას გურამ ქარქაშაძის სახელი მიანიჭეს. თბილისიდან ჩასული მთელი მისი სამეგობრო იქ იყო. მე, როგორც ძირძველი ღვანკითელი, მთელი არსებით ვიზიარებდი მის სიხარულსა და ბედნიერებას...

მერე თერჯოლის საპატიო მოქალაქეობაც მოგვანიჭეს. მახსოვს, ორივეს განსაკუთრებული სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა...

ისევ ღვანკითი, ისევ იგივე ლამაზი იმერული ეზო თავისი პურმარილით, სტუმრებითა და, რა თქმა უნდა, ტკბილი იმერული სიმღერებით. ისევ ქარქაშაძეებთან ვართ, მიზეზი კი გურამისათვის გენერალ-ლეიტენანტის წოდების მინიჭებაა. ის კი არ გამკვირვებია, გენერლობა რომ მიანიჭეს, მიკვირდა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტს დისერტაცია რომ ჰქონდა დაცული თემაზე „აკაკი ხორავას კინემატოგრაფიული მოღვაწეობა“. მიკვირს-თქო ვამბობ, თორემ უფრო სწორი იქნება ვთქვა მეამაყება-თქო. მეამაყება ასეთი მეგობარი რომ მყავდა, კაცი, რომელმაც შეძლო ყოფილიყო პოლიციის გენერალი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, და ისე ეცხოვრა ამ ქვეყანაზე, რომ მასზე აუგი არავის ეთქვა, ეწერა დისერტაციები ხელოვნებაზე და უხმაუროდ ეკეთებინა სიკეთე, რადგან სიკეთის კეთებას ხმაური არ უხდება, იგი ჩუმად უნდა აკეთო, ისე როგორც ამას გურამ ქარქაშაძე აკეთებდა.

ჯიმი ყიფიანი

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს კოოპერატივ „დიდიჭყონი № 1“-ის ს/ნ 235431537 (მდებარე: მარტვილის რ-ნი, სოფ. დიდი ჭყონი) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება კოოპერატივ „დიდიჭყონი № 1“-ის შემდეგი დასახელების ქონება:

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
|---|---|---|---|---|
| | | | [illegible] | [illegible] |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | [illegible] | 17445 კვ.მ | | 30000 |
| 2 | [illegible] | 1 ც | | 15000 |
| 3 | [illegible] | 1 ც | | 400 |
| 4 | [illegible] | 6 ც | | 2500 |
| 5 | [illegible] | 1 ც | | 200 |
| 6 | [illegible] | 2 ც | | 2000 |
| 7 | [illegible] | | | 1500 |
| 8 | [illegible] (15 [illegible]) | 1 ც | | 2500 |
| 9 | [illegible] | 8 კვ.მ | | 300 |
| 10 | [illegible] | 1 ც | | 300 |
| 11 | [illegible] | 100 გრძ.მ | | 1500 |
| 12 | [illegible] | 1 ც | | 220 |
| 13 | [illegible] | 388 გრძ.მ | | 1500 |
| 14 | [illegible] | 104 ძირი | | 3500 |
| 15 | [illegible] | 1 ც | | 500 |
| | [illegible] | | | 61620 |

**ქონების საერთო ღირებულება:** 61620 (სამოცდაერთიათას ექვსასოცი) ლარი

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტობრივი მისამართია: მარტვილის რ-ნი, სოფ. დიდი ჭყონი

**აუქციონი გაიმართება 2008 წლის 12 დეკემბერს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. № 10, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მარტვილის ოფისის შენობაში.**

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. **დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. № 7. ტელ: 8(293)2-07-04; 8(293)2-07-06.**

ირმა ჩხეიძე და ჯანსულ ჩარკვიანი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლღა აბულაძე-ჩხეიძისა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები, თემურ, ანიკო კუჭუხიძეები სამძიმარს უცხადებენ ზურაბ და ციცო მსხვილიძეებს სიდედრისა და დედის

ვენერა მიხეილის ასულ ჩაფიჩაძის

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ ამაშუკელი ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის

გელა გერაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ყველა ნათესავ-მეგობარს. პანაშვიდი 25, 26 XI, 16 სთ. ბახტრიონის, 24, გამოსვენება 27 XI, 14 სთ. ანტონ მარტყოფელის სახელობის ეკლესიიდან (საბურთალოს ქუჩა, კორტებთანძ, დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

---

შვილები თინათინ, კახა, თეა ჩარგეიშვილები, ძმა ვლადიმერ ჩარგეიშვილი, შვილიშვილები სპარტაკ, ზაალ სულავები, ძმისწულები სერგო, კაკო, ცოლისდები ციური, ციალა, ცოლისძმა გურამ კუტალიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მურად სერგოს ძე ჩარგეიშვილი

პანაშვიდი 25, 26 XI, 16 სთ. გამოსვენება 27 XI, 14 სთ. მისამართი: ბაგები, II კორპუსი, I სადარბაზო, მე-2 სართული.

---

შვილები დუდანა, გიორგი მაზმანიშვილები, სიძე რენე ჰიპენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი და დაუვიწყარი მამის

დავით მაზმანიშვილის

გარდაცვალების შესახებ. პანაშვიდი 25, 26 XI, 17 სთ. მისამართი: ამბროლაურის 166, VI კორპუსი, II სართული, ბინა 30, გამოსვენება 27 XI, 14 სთ. საბურთალოს ძმათა სასაფლაოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან.

---

დედა თინათინ შელია-მაზმანიშვილი, დები მარიზა, რუსუდანი, სიძე ველიმირ კალანდაძე, ცოლისძმა გუძა აფაქიძე, დისწულები გიორგი, დავით, მონიკა ხეჩინაშვილები, მარიამ კალანდაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით მაზმანიშვილი.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს „აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი რეპროდუქტოლოგი, მედიცინის დოქტორი

ევგენია (ჟენია)ძ ბოჭორიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

სახალხო დამცველი

# „ვარდების რევოლუციის“ საპირმო ნიშანი

24 ნოემბერს სახალხო დამცველმა ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს „შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შესახებ“ 2008 წლის პირველი ნახევრის მოხსენება წარუდგინა. სოზარ სუბარმა საზოგადოებას ამ მხრივ არსებული პრობლემები დეტალურად გააცნო და აღნიშნა, რომ როდესაც კონკრეტულ ფაქტებზე არ ხდება რეაგირება, ძნელია დემოკრატიის ახალ ტალღაზე საუბარი. სუბარის განცხადებით,



**მანიფესტაციების დარბევა იმ ხელისუფლების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად იქცა, რომელიც ქვეყნის სათავეში სწორედ მანიფესტაციის გზით მოვიდა.**

მიუხედავად იმისა, რომ მოხსენება 2008 წლის პირველი ნახევრის პერიოდს მოიცავს, სუბარმა აქცენტები წინა წლებში განვითარებულ მოვლენებზეც გააკეთა.

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევიდან ერთ კვირაში თერჯოლაში მოეწყო აქცია და ჩვენ მაშინ ვიხილეთ კადრები, თუ როგორი სისასტიკით გაუსწორდნენ აქციის მონაწილეებს პოლიციელები. მათ ხელკეტებით ყანებში დასდევდნენ და ისე უსწორდებოდნენ. იმავე წელს თბილისის მერიასთან განხორციელდა აქციის უსასტიკესი დარბევა. ადამიანებს, რომლებიც მიწისძვრით დაზარალებულთა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ და ხელისუფლებისგან კანონიერ დახმარებას ითხოვდნენ, დარბეულნი იქნენ იმავე ადამიანის მიერ, რომელიც ასეთივე წარმატებით შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც გამოირჩეოდა. მხედველობაში მაქვს თემურ მღებრიშვილი. 2006 წლის გაზაფხულზე, ასევე ქვემო ქართლის მოსახლეობამ მიწების გამოყოფის მოთხოვნით გზა გადაკეტეს. პოლიციამ ეს აქციაც ასეთივე სისასტიკით დაარბია და 16 ადამიანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. მე არ მეგულება ქვეყანა, რომელსაც დემოკრატიაზე აქვს პრეტენზია და მანიფესტაციაში მონაწილეობის გამო ადამიანს სისხლის სამართლებრივად ასამართლებდნენ. ფაქტია, რომ მანიფესტაციების დარბევა „ვარდების რევოლუციის“ საპირმო ნიშნად იქცა, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მოხსენების წარდგენისას იგი 7 ნოემბრის მოვლენებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს მინიმუმ ის ფაქტი, რომ აქციის დაშლისას გამოყენებული იყო რეზინის ტყვიები.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სანამ ამ ფაქტებს არ მოჰყვება რეაგირება და არ დაისჯებიან კონკრეტული თანამდებობის პირები, ქვეყანაში დემოკრატიაზე საუბარი თავის მოტყუება იქნება.

სუბარის მოხსენება პარლამენტში უკვე შესულია, თუმცა როდის განიხილავენ მას დეპუტატები, ჯერჯერობით უცნობია.

ოპოზიცია სახალხო დამცველის მოხსენებას „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ მნიშვნელოვან დოკუმენტს უწოდებს და მოითხოვს, ხელისუფლებამ, მასზე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს. სახალხო დამცველის ოფისში შეკრებილი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომელთაც სოზარ სუბარმა ომბუდსმენის მორიგი მოხსენება გააცნო, აცხადებდნენ, რომ მოხსენებაში მოყვანილი თითქმის ყველა ფაქტი მათთვის ცნობილი იყო, თუმცა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ეს ფაქტები რეაგირების გარეშე რჩება.

# რეზინის ტყვიები უკანონოა?!

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი არ ფლობდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ 7 ნოემბრის აქციის დაშლისას რეზინის ტყვიების გამოყენება უკანონო იყო.** ამის შესახებ განცხადება ზურაბ ნოღაიდელმა სახალხო დამცველის ოფისში გააკეთა, სადაც სოზარ სუბარმა „შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შესახებ“ მორიგი მოხსენება წარმოადგინა. ნოღაიდელი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ იგი არ იღებს პასუხისმგებლობას ნოემბერში განვითარებულ მოვლენებზე, რადგან სწორედ ამ მოვლენების შემდეგ მან პოსტი დატოვა.

ХО-ЭОБ-ЭБО

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

გვიმრავლოს!

# „ბზიკებმა“ გვასახელეს, ახლა ჩვენც გვერდით დავუდგეთ




**საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა “ევროვიზია ჯუნიორის“ წლევანდელი გამარჯვებულები – „ბზიკები“ დააჯილდოვა.**

მარიამ კიკუაშვილს, მარიამ თათულაშვილს და გიორგი შიოლაშვილს ლევან ყუბანეიშვილმა საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

მისი განცხადებით, დღეს საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა გამარჯვება, მით უფრო თუ ეს გამარჯვება საერთაშორისო დონეზე ხდება.

**„ბზიკები“** საუკეთესოები იყვნენ საუკეთესოთა შორის და ეს მაყურებელთა შეფასებამ დაადასტურა, – განაცხადა ყუბანეიშვილმა.

ქართული ჯგუფი „ბზიკები“ „საბავშვო ევროვიზია 2008-ის“ გამარჯვებული 22 ნოემბერს გახდა.

მარიამ კიკუაშვილმა, მარიამ თათულაშვილმა და გიორგი შიოლაშვილმა თითქმის მთელი ევროპა მოხიბლეს და უმაღლესი შეფასებები დაიმსახურეს.

15 ქვეყანას შორის, რომლებმაც ქართულ ჯგუფს უმაღლესი შეფასებები მისცეს რუსეთი, ბელორუსი და ლიტვა იყვნენ.

„ბზიკებმა“, რომლის წევრები 10-10 წლისანი არიან, შიდა შესარჩევი ტური თბილისში დიდი უპირატესობით მოიგეს.

სიმღერამ თავისი ორიგინალურობით გაამართლა და კვიპროსზე დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. ქალაქ ლიმასოლის სცენა „ბზიკებისთვის“ პირველი დიდი გამარჯვების ადგილი გახდა.

ინტერპრესნიუსი

კრიმინალი

# გაქცეული პატიმრები დაიჭირეს

**ქუთაისში აგვისტოს მოვლენების დროს ხონის კოლონიიდან გაქცეული კიდევ ორი პატიმარი დააკავეს.**

პოლიციაში დაკავებულთა ვინაობას არ ასახელებენ, თუმცა ცნობილია, ორივე მათგანს კოლონიიდან გაქცევის ორგანიზატორობის ბრალდებას წაუყენებენ.

ხონის კოლონიიდან აგვისტოს მოვლენების დროს 100-ზე მეტი პატიმარი გაიქცა. მათი უმრავლესობა დაკავებულია.

დამატებით სასჯელს სულ 30 პატიმარი მოიხდის. ისინი ბოლო ორი თვის განმავლობაში დააკავეს.

სასჯელს შეუმსუბუქებენ 50 პატიმარს, რომლებიც კოლონიაში ნებაყოფლობით დაბრუნდნენ.

ინტერპრესნიუსი

ანეკდოტები

ალიმენტი – ეს არის გადასახადი მოპოვებული თავისუფლებისთვის.

* * *

ამ თვეში არა მაქვს ცოლისთვის ალიმენტის გადახდის საშუალება. ჰკითხეთ, ხომ არ დამთანხმდება იგი, რომ 30 დღით დავუბრუნდე?

* * *



– მანქანა ძვირფასიანი სიამოვნებაა, – თქვა ძველი „ჟიგულის“ მძღოლმა, როდესაც ახალთახალ „მერსედესს“ შეასკდა.

* * *

რუსეთის დუმამ ერთხმად დაუჭირა მხარი დიმიტრი მედვედევის წინადადებას იმის თაობაზე, რომ გაუგრძელდეს ვადა: დუმას – 5 წლამდე, პრეზიდენტს – 6 წლამდე, ხოდორკოვსკის კი – 10 წლამდე.

* * *

– ძვირფასო, გამოიყვანე ბავშვი საბავშვო ბაღიდან? – ეკითხება ქმარი ცოლს.

– კი, აგერ ზის.

– მაგრამ ეს ხომ ჩემი შვილი არ არის?

– არც ის არის შენი შვილი.

ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge

ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.